

გარი ჩაფიძე

პედაგოგუირი ურთიერთობის ხელოვნება

გარი ჩაფიძე

პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნება

2019

ერთხელ, ღია ლექციის ჩატარების შემდეგ, აკადემიკოს გარი ჩაფიძის საუბრით მოჯადოებულმა დამსწრეთა ნაწილმა, მორიდებით შეჰკადრეს, საერთაშორისო დონის მეცნიერს, რომ მთელი აუდიტორია მიმართული იყო არა ილიას და ვაჟას, აკაკის და გალაკტიონისაკენ, არამედ მისკენ... რაზედაც აკადემიკოსმა უპასუხა: ძალიან კარგი, მოვიდნენ ჩემთან, შემდეგ კი ერთად დავადგებით კორიფეებისაკენ მიმავალ გზას, დიახ ლექტორისადმი ინტერესი, საგნისადმი ინტერესს ნიშნავს.

რედაქტორი: აკადემიკოსი **დარიკო ონიანი**

ISBN: 978-9941-8-0963-7

პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნება

ლექციის მსვლელობის დროს,ყველაზე საინტერესო,ყველაზე საჭირო და მნიშვნელოვანი შესავალია, ლექციის შესავალი, მეორე სიტყვა, პირველზე ძვირფასი უნდა იყოს, ყველგან, ყოველთვის, თითქოს უბრალო მაგრამ მიმზიდველი... საწარმოო საქმეში, ეკონომიკაში,მედიცინაში,პედაგოგიკაში თუ მეცნიერებაში სტუდენტმა უნდა გაითავისოს ლექციის მსვლელობის ერთიანი ხასიათი, სხვათა შორის სალექციო კურსს, ორი ნახევრისაგან ვაგებ,ესენია ცხოვრება და წიგნი! დიახ , წიგნი, რომელსაც ვერავითარი გლობალიზაცია, თანამედროვე ტექნიკური მიღწევები, თუ კომპიუტერიზაცია ვერ შეცვლის, რამეთუ წიგნიერების სიღრმეში შესასვლელი საფუძველია ცხოვრებისა! და ლექციების მსვლელობის დროს ეს მიმართულებები, ცხოვრება და წიგნი, არც თუ ხშირად, მაგრამ არც თუ იშვიათად, ერთურთს ადგილებს უცვლიან ხშირად იწყებენ წიგნიდან.ასეთი სტრუქტურა იძლევა ფართო გასაქანს სხვადასხვა შემოქმედებითი მანერებისათვის. ვიღაცას, დავუშვათ, სრული ძალით უყვარს და შეუძლია საკუთარი თავის გახსნა პირველ ნახევარში და მაშინ, ცხადია, მისგან არის სწორედ საჭირო დაწყება: ხოლო ვიღაცას-მეორე ნახევარში პირადად მე ერთნაირად გამომდის ერთიც და მეორეც.

იმისთვის,რათა კავშირი სასწავლოსა და აღმზრდელობითს შორის იყოს უფრო მტკიცე, იგი ხანდახან უნდა გავარღვიოთ და დავტოვოთ ლექციაში, აღმზრდელობით ამ ხერხს მე ვუწოდებ ღია ეთიკას.

უმაღლეს პიკს ლექცია აღწევს მომენტში ,როცა სტუდენტის მორალური შეგნება, მისი განწყობა,ტონუსი-მასწავლებლის მთავარი საზრუნავია.როცა მისი სიტყვა ზრდის და ამით ასწავლის და არა პირიქით.რო-

ცა,,კავშირებისგან'', ,,სინთეზისგან'' შემეცნებითისა

ზნეობრივთან გადადის ღია და გულახდილ ეთიკაზე ,პირდაპირ ,უეშმაკო კონტაქტზე სტუდენტთან,ადამიანურ და არა მხოლოდ პროფესიულ ურთიერთობაზე მასთან. ნამდვილი შეგნებულობა ცხოვრობს და გამოიხატება წვრილმანებში.მათი დანახვა უნდა შეგვეძლოს.

იმ წლებშიც კი, როცა ჯერ კიდევ მხოლოდ ვიწყებდი მასწავლებლობას, მე გავიგე ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება:არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს აბსოლუტურად სასიკეთო ბედი.ხან მარჯვენა,ხანაც მარცხენა ხელით ეძებ დასაყრდენს.ხოლო ისინი კი მხოლოდ ორია: ახლობელი ადამიანი და წიგნი. კარგია თუ ერთდროულად ორივე დაგეხმარება. მაგრამ ხშირად მას, ვისი იმედიც გაქვს, თავად სჭირდება უფრო დიდი დახმარება. რჩევა...არა,კულტურისთვის არ გვჭირდება ჩვენ წიგნი,არამედ იმისთვის რომ ცოცხლები დავრჩეთ,გავუძლოთ.კულტურა ხდება ის მოგვიანებით, როცა მთლიანად ვიგრძნობთ და შევაფასებთ მის მხარდაჭერას.

წიგნი,რომელსაც ვერავითარი ტექნიკა,კომპიუტერიზაცია თუ გლობალიზაცია ვერ შეცვლის, ცხოვრობს ყველა დროში და ეპოქაში, მაგრამ ,,მუშაობს''-აწმყოში. მხოლოდ გახდება რა ადამიანის საგანი, წიგნი ხდება ხელოვნების საგანიც. მთავარი სანიშნიც თავად წიგნში კი არაა, არამედ სადღაც წიგნსა და ცხოვრებას შორის, წიგნსა და ადამიანს შორის კავშირში, ,,სასწავლო-აღმზრდელობითი''აქცენტს ვაკეთებ ბოლო სიტყვაზე: შეისწავლო ლიტერატურა- ეს ნიშნავს მისით აღზარდო. აღმზრდელობითი მიდგომა ნამდვილად გადაარჩენს წიგნს,იმიტომ რომ ფსიქოლოგიურად ითხოვს ურღვევ,დაუნაწევრებელ მთლიანობას. წიგნი-ეს არის სულიერი მოღვაწეობა.მასთან მუშაობა

ჩვენ არ შეგვიძლია მთლიანად გადავიტანოთ ანალიტიკური გონების სტიქიაში და იგნორირება გავუკეთოთ,,გულის სფეროს“...

არა მხოლოდ რუსთაველის გმირებს, არამედ,,მესიტყვესაც”აქვს თავისი წაუგებელი კოზირები,მათ შორის დეტალი,შეკითხვა,ხერხი...

ხანდახან საკმარისია ერთი შტრიხი,რათა ალაპარაკდეს მთლიანი წიგნი და ყველა ვინც გაკვეთილზეა. ასეთ მიდგომაში ნამდვილად გამოვლინდება ხელოვნება: თითო ნახევრადმოგლეჯილი ღილის შეგროვებით აქ ხანდახან თავიდან აღდგება მთელი ხასიათი. ,,არამოცინარი” თვალები ლუარსაბისა, თხელი ირონიული ტუჩები რუსის გენერალისა , ,,ბრტყელი” სახე ლამაზისეულისა -ეს ყველაფერი შტრიხებია,რომელთაც შეუძლიათ არა მხოლოდ უბრალოდ გადაშალონ გვერდი,არამედ გახსნან მთლიანი წიგნიც.

მთლიანი გვაშინებს, უკან გვაგდებს, მაგრამ სამაგიეროდ გვიზიდავს მისი ნაწილი.იქნებ,იქიდან დავიწყოთ სვლა? დეტალი,როგორც თქვა ერთმა მოსწავლე გოგონამ, ეს არის დაწვრილებითობა, ასე ვთქვათ, ძაფებთან ერთად წვრილმანები-ეს არის ახლო კადრი! - აი საიდუმლო ანალიზისა. როცა მცირედში აკიაფდება შუქი დიადისა, ჩნდება ინტერესი ორივესადმი, ხოლო მთლიანობაში-მათი კავშირისადმი. პრობლემურობა, მთლიანობა, სახიერება-ყველაფერი, ყველაფერია მხატვრულ დეტალში, თავისებურ პატარა კვანძში ტექსტისა. ნებისმიერ ქსოვილში კვანძი-ხინჯია, მხატვრულში კი-აღმოჩენაა, მონაპოვარია, რისი წყალობითაც ბავშვები სწავლობენ წიგნის კითხვას, ანალიტიკურად... ამასთან ვეუბნები მათ:- დაიჭერ რა დეტალს, რომელიც მოგცა მასწავლებელმა, აუცილებლად იპოვე შენი საკუთარიც. დარწმუნდი შემიძლია თქმა და ვამბობ კიდეც, არ არსებობს ისეთი მოსწავლე და ის-

ეთი წიგნი ,რომელთაც არ შეაერთებდა ერთმანეთთან დიადი ,,წვრილმანი'' მხატრული დეტალი.

ჩემი შეკითხვა- განსაკუთრებულია: უმეტესწილად უპასუხოა,ზნეობრივი.ვუსვამ მას თითქოსდა საკუთარ თავს იმ იმედით , რომ გადავჭრი კლასთან ან აუდიტორიასთან ერთად.რა შეიძლება იყოს საკუთარ თავთან დასმულ კითხვაზე საინტერესო და უფრო მნიშვნელოვანი, როცა ის აღელვებს ყველას! განა ასეთ კითხვებს არ სვამს ჩვენს წინაშე მწერალი?

კითხვები,რომელთაც ვუსვამ აუდიტორიას, მოქმედებენ მაშინვე და დიდი ხნით.ხანდახან ისინი ჟღერენ პუბლიცისტურად , აღსარებასავით და ითხოვენ ბავშვებისგან წამიერ გადაწყვეტებს: მოახდინონ რეაგირება,ჩაფიქრდნენ-უკვე საკმარისია.ისეც ხდება,რომ ერთ კითხვაში მთელი კასკადია მისი მონათესავეებისა აზრით და პათოსით: მითხარით რატომაა გენიალური გალაკტიონის ლექსში , ,,მე და ღამე''-ღამე პოეტის მეგობარი,თანამზრახველი- ,,ჩვენ ორნი ვართ ქვეყანაზე, მე და ღამე, მე და ღამე, ხოლო ლექსში, ,,რომელი საათია'', შემოქმედი პათეტიკურად გვეტყვის :-,,აღარ გათენდება ღამე საზიზღარი?,რომელი საათია, რომელი საათია?!'' მოსწავლეები განსაკუთრებით აქტიურნი არიან, როცა ფიქრი საჭირო არაა.რა გაეწყობა, ვეცადოთ, მათ არ დავუსვათ ისეთი კითხვები,რომელთა შემდეგაც ხელი იმ წუთს ზევით კი არ აიწევს თავისით,

არამედ დაფიქრებულად, აუჩქარებლად დაიწყებს რაღაცის ხაზვას...აქედან, სწორედ, აქედან იწყება მკითხველიც.

ვერც ხელოვნება და ვერც პედაგოგიკა მას ვერ აუვლიან გვერდს. ამ სპეციფიკური ,,ინსტრუმენტით'' ვახერხებ ჩავძირო წიგნში მთლიანად აუდიტორია. აი როგორ მოვახდინე ერთხელ გაკვეთილის თემის ფორ-

მულირება: ვისშია ჩემი შეხედულებით, უფრო მეტი ,,ქალი''-თინათინში, ნესტან-დარეჯანში, ასმათში თუ ფატმან-ხათუნში (,,ვეფხის ტყაოსნის'') მიხედვით? ჩემი (!) შეხედულებით (!) ქალი (!). აი წაკითხულია კიდეც ეპოპეა თანამედროვეობის პოზიციებიდან. მთლიანი და ყველას მიერ.

შენი,შენებურად,ყველასთვის-შემოქმედებითი ხერხის საფუძველია.განსხვავებით ტრაფარეტისა და სტანდარტისგან იგი იძლევა მრავალ გზას წიგნისაკენ. ანუ ამდენივე ხერხს მასში შესასვლელად და მასში დასარჩენად.

ერთხელ კაბინეტში აღელვებული ქალბატონი შემოვიდა, მეხუთეკლასელი გოგონას დედა - ,,ბატონო დირექტორო, იცით თუ არა რომ სკოლაში ხულიგანი გყავთ, ჩემი ნინიკოს კლასში, მეხუთეში,სიცოცხლე გაუმწარა ბავშვს-ხან თმას მოქაჩავს,ხან ჩანთას წაართმევს... გუშინ გაკვეთილების შემდეგ,თოვლში ჩააგდო,ზურგში ჩაარტყა.მერე ჩანთა გამოსტაცა და სახურავზე შეაგდო ...'' დავიბარეთ ხულიგანი დედასთან ერთად. -რატომ ხულიგნობ?

-მე...როდის...მე...არ ვხულიგნობ,-წაილუღლუღა გალეულმა,შესახედავად ყოვლად უწყინარმა ბიჭუნამ.

-ნინიკოს რატომ აწვალებ?

-მე ... არ ვაწვალებ.მე ნინიკო მომწონს...

-მაშ რატომ სცემე?

-არ მიცემია.. ისე ჩავარტყი

იმან მე...წერილი მომწერა...

- რა წერილი?

ბიჭი შეყოყმანდა, აწრიალდა, მერე წერილი ამოიღო და ,,გიო, შენ მე ნუ დამდევ, იმიტომ რომ მე კახას დავდევ.ნინიკო'' ასე და ამ გვარად ყველაფერი გაირკვა:აბა რომელი თავმომწონე მამაკაცი მოითმენდა ასეთ

რამეს!

ელდანაკრავმა დედებმა და კლასის ხელმძვანელმა თავში იტაცეს ხელები: ,, ეს რა ამბავია, ხალხო! მეხუთე კლასში სიყვარული გაუჩაღებიათ! კოშმარია,ღმერთ-მანი''.მაგრამ თუ სიმართლე გნებავთ არავითარი კოშ-მარი აქ არ იყო და არც სიყვარული,სხვათა შორის.ყვე-ლაფერი რაც მოხდა ,სავსებით თავსდება მოზარდთა ასაკობრივი გამოვლინებების ჩარჩოებში, ეს, რასაკ-ვირველია, დელეკატურად ავუხსენი დედებს და მით უფრო კლასის ხელმძღვანელს.

ზუსტად ამ ასაკში ბიჭებს უჩნდებათ სიმპათიის გრძნობა გოგონებისა და,უწინარეს ყოვლისა, ცხადია თანაკლასელი გოგონებისადმი.ეს გახლავთ სავსებით ბუნებრივი ინტერესი საპირისპირო სქესის წარმომად-გენელთა მიმართ,დაკავშირებული ფიზიოლოგიური მომწიფების დასაწყისთან და ამ ინტერესს მიღმა არა-ვითარი სხვა რამ არ იმალება.

აქვე უნდა - ვთქვა,რომ მეხუთეკლასელთა ურთ-იერთობებს ერთი თავისებურება ახასიათებს: ბი-ჭები დაინტერესებული არიან თანაკლასელი გოგონებით,გოგონები კი არ თანაუგრძნობენ თანა-ტოლებს,რომლებიც მათ საგრძნობლად ჩამორჩებიან ფიზიკური განვითარებით: სიმაღლით მათ ყურადღე-ბას ამ პერიოდში უფროსი ბიჭები-მერვე, მეცხრე კლასელები იქცევენ.

მეხუთეკლასელი ბიჭები ყოველი ღონით ცდილობენ თანატოლი გოგონების ყურადღება მიიპყრონ და ეს მი-სწრაფება მათ ზოგჯერ აიძულებს თავის გამოსაჩენად თუ სიმპატიის გამოსახატავად მეტად ორიგინალურ ხერხებს მიმართონ .

დღეს - კლასში გოგონები დავინაწილეთ - გამ-ომიცხადა ერთ დღეს ჩემმა მეოთხეკლასელმა ვა-ჟმა- ყველას უნდოდა არჩევა,მაგრამ მე და ირაკ-

ლიმ ორ-ორი ავირჩიეთ-ამიტომ ასარჩევი არავინ დარჩა,ჩვენს კლასში ხომ გოგონების სიმცირეა... -როგორ თუ დაინაწილეთ? ვკითხე განცვიფრებულმა - რატომ? -ისე , სასადილოში რიგს დავუკავებ ხოლმე, ჩანთებს ვუტარებ, დავიცავ თუ საჭირო იქნება...

რა გვეთქმის. ჭეშმარიტად კეთილშობილი ზრახვებია. უბედურება მხოლოდ ის არის, რომ გოგონები ხშირად გუმანითაც ვერაფერს ხვდებიან ამ რაინდულ მისწრაფებებზე.თუმცა როგორც ზევითაც დავინახეთ, მეხუთე კლასში რაინდობა ნაკლებ კეთილშობილი ფორმებითაც ვლინდება ხოლმე, ზოგჯერ კი ,,რაინდმა ''შეიძლება აწყენინოს კიდეც თავის ,, გულის რჩეულს''არვის ეგონოს, რომ ამ ძალადობრივი ფიზიკური ურთიერთობის მომხრე ვიყო, მაგრამ... ეს ბულინგი ნამდვილად არაა... გაივლის ერთი ან ორი წელი და ვითარება შეიცვლება,მეშვიდე კლასში გოგონები თანდათან ხვდებიან რომ მათი ერთბაშად ტანაყრილი თანატოლები ბევრად უფრო სერიოზულ ყურადღებას იმსახურებენ. იწყება კომპანიონების წარმოქმნა.ძლიერდება ურთიერთობის, ,,ერთად სიარულის'' ბუნებრივი მოთხოვნილება.თანაკლასელთა წყვილები საღამოობით საათობით სეირნობენ ქუჩებში,ლაპარაკობენ როგორც პირადი ურთიერთობით ასევე ფეისბუქითა და მობილური ტელეფონებით, ათასგვარ უმნიშვნელო ამბებზე, დააბიჯებენ უზრუნველად ,კონკრეტული მიზნის გარეშე. მათ,უბრალოდ,-სიამოვნებთ ერთად ყოფნა, ესაა უმნიშვნელოვანესი და უწმინდესი ხანა მათი ცხოვრებისა, მათი ურთიერთობისა. ცუდია, როცა უფროსები ვერ ხვდებიან ამას, რადგან მაშინ კონფლიქტი გარდაუვალია.ცხადია კონფლიქტი თავისთავად არ არის სასიამოვნო ,მაგრამ იგი განსაკუთრებით სახიფათოა კიდევ ერთი მიზეზის

გამო: გაჯავრებული, განაწყენებული უფროსები ყმაწვილის,,გადასარჩენად" ზოჯერ თავისდაუნებ-ლიედ უბიძგებენ მათ, ყურადღება მიაქციონ ურთიერ-თობის ისეთ მხარეებს,რაც ჯერ სრულიად უცნობია მათთვის.ასე იბღალება მოზარდთა წმინდა, ლამაზი საქციელი, ერთიმეორის მიმართ ყურადღება და მეგო-ბრობა.

ზოგჯერ მშობლებს ვერც კი წარმოუდგენიათ, რომ მოზარდობის ასაკი სქესობრივი მომწიფების პერიო-დია და ყმაყვილის ინტერესი სქესთა ურთიერთობის საკითხებისადმი ამ პროცესის ერთ-ერთი გამოვლინე-ბაა. ამიტომაც არ ვარ წინაღმდეგი მოზარდებში სქესო-ბრივი განათლებისა, რასაკვირველია,საჭიროა ბავშ-ვი ამ მხრივ გავანათლოთ, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს ფაქიზად, ფრთხილად, ტაქტიანად, რათა მოზარდებს სქესთა ურთიერთობის პრობლემების მიმართ არაჯან-საღი ინტერესი არ გავუღვივოთ. ეს მხოლოდ ნაწილ-ია მუშაობისა. ნამდვილი სქესობრივი აღზრდა კი ის არის, რომ ადრეული ასაკიდანვე ვზრუნავდეთ ბიჭებსა და გოგონებს შორის პატივისცემის, მაღალზნეობრივი და ჰუმანური ურთიერთობის ფორმირებისთვის.უნდა გვახსოვდეს, რომ ბიჭი მომავალი მამაკაცია, ოჯახის მამა, საიმედო დამცველი. მან უნდა იცოდეს გოგო-ნას, ქალის პატივისცემა. უნდა იყოს ვაჟკაცური,მტ-კიცე,თავის თავში დაჯერებული, გოგონებს მუდამ რაინდულად ეპყრობოდეს. დედის ნებიერი, ზედმეტად განაზებული ბიჭები მხოლოდ სინანულსა და უსიამოვ-ნო გრძნობას იწვევენ. შეგახსენებთ, რომ ამ ბოლო ხანს

შეშფოთებით ლაპარაკობენ მამაკაცთა ფემინიზაცი-ის თაობაზე.თუმცა,არც გოგონების აღზრდაა ნაკლებ საზრუნავთან დაკავშირებული.არა გვგონია სწორი იყოს მშობელი,რომელიც ამაყობს ,,გოგო მყავს, ბიჭი მოგონილია იმასთან! კაციშვილს არაფერს შეარჩენს

ისეთი ჩხუბისთავია, ბიჭები მუდამ სიხარულით იღებენ თავიანთ წრეში ”ვითომ კარგია გოგოს ,,ნამდვილ ბიჭად” აღზრდა? გოგონას გოგონად უნდა ვზრდიდეთ, ესე იგი ისეთ ადამიანად, ვისაც არა მარტო თავისი თავის დაცვა შეუძლია , არამედ სხვა ღირსებებითაც არის შემკული-კლდემამოსილებით,ქალწულებრივი ღირსებით,თავისი მომავალი როლის - ქალისა და დედის როლის შეგნებით.

როგორც ვასილ სუხომლინსკი წერდა,მოზარდი თაობის აღზრდის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს მათ მომზადებას კარგ დედებად და მამებად. ამ პოზიციით უფრო ადვილია გაიგო და სწორედ შეაფასო გიოსა და ნინოს, ეკასა და როინის შორის მომხდარი ყოველი კონფლიქტური შემთხვევა,სწორედ გაერკვე უფროსკლასელთა ურთიერთობების რთულ გამაში ისე,რომ არც კოლიზიების დრამატულობა გააზვიადო, არც ამაო გულდამშვიდებას მიეცე. მოზარდობაში შესვლა ხშირად სრულიად მოულოდნელ გავლენას ახდენს ბავშვის ქცევაზე,მის დამოკიდებულებაზე მოვლენების ფაქტების, საკუთარი თავის მიმართ...

მარინა მეშვიდე კლასამდე მშვენივრად სწავლობდა, დისციპლინითაც გამოირჩეოდა, ამხანაგების მხრიდან პატივისცემა და სიმპათია არ აკლდა. მეტად ცოცხალი, აქტიური გოგონა იყო. გატაცებით მუშაობდა შემოქმედებითაც, თოჯინების თეატრი მოაწყო.კეთილი,ყურადღებიანი უფრო მეგობრულიც გახლდათ და აი მარინა ერთბაშად შეიცვალა.გაკვეთილებზე იჯდა და

გულგრილად გასცქეროდა ფანჯრებს.შესვენებებზე სადმე კუთხეში მიდგებოდა და იყო თავისთვის. ყოფილ მეგობრებს უხალისოდ ელაპარაკებოდა.ერთხელ მოულოდნელად იფეთქა, მასწავლებელს უხეშად შეეპასუხა, კლასიდან გავარდა და კარი გაიჯახუნა. შემდეგ

როცა ამგვარი საქციელის მიზეზი ჰკითხეს, ახსნა არ ისურვა, ჯიუტად სდუმდა... თოჯინების თეატრიც მიატოვა...

შეშფოთდნენ მშობლებიც: გოგონას შინაც ვეღარ სცნობდნენ.ნერვოპათოლოგსაც კი მიმართეს,მაგრამ ვერაფერი გაარკვიეს.მარინამ გაკვეთილების გაცდენაც დაიწყო.წლის ბოლოს ორ საგანში კინაღამ საშემოდგომო გამოჰყვა.არც საყვედური ჭრიდა,არც დასჯა.

ყველაფერი შემთხვევით გაირკვა: თურმე ერთ დღეს მარინამ დილის წარმოდგენა გამართა თოჯინების თეატრში. დარბაზში მარინას თანაკლასელებიც იყვნენ. უცებ ვიღაცამ ხმამაღლა თქვა: ,,პრინცესას შეხედეთ , სულ ჩვენ მარინას არა ჰგავს? ესეც იმისავით დუდრუქანაა!'' დარბაზში გაიცინეს და მარის მოეჩვენა, რომ გაიცინა იმ ბიჭმა, ვისი გულისთვისაც მან მთელი კლასი მიიწვია წარმოდგენაზე... მეორე დღეს ფიზკულტურის გაკვეთილზე მასწავლებელმა შენიშვნა მისცა: ,,მარინა ცოტა ცოცხლად! გაინძერი, თორემ რაღაც მოუხეშავი, ტლანქი მოძრაობები გამოგდის '' შენიშვნამაც მხიარულება გამოიწვია.

აი, ეს ორი რეპლიკა საკმარისი გახდა გოგონას მძიმე განცდების გამოსაწვევად. მოზარდობის ასაკში მოსწავლეები, პირველყოვლისა გოგონები, სერიოზულად არიან დაინტერესებული თავიანთი გარეგნობით. ზოგიერთის აზრით, ამ ინტერესს საფუძვლად უდევს მოთხოვნილება,რომ ირგვლივ მყოფს თავი მოაწონოს. რა არის სწორი, მოზარდს უყალიბდება,,კონცეფცია-მე'', ესე იგი გამოკვეთილი წარმოდგენა თავის პიროვნებაზე. ამასთან, ეს ეხება არა მარტო ზნეობრივ თვისებებს არამედ, ფიზიკურ ესთეტიკურ სახესაც. კერძოდ, ამ ასაკში გოგონებს უყვართ დედის კაბებსა და კოფთებში გამოწყობა, ოცნებობენ მოდურ ჩექმებ-

ზე,სამკაულებზე, ნამალევად კოსმეტიკასაც ხმარობენ, ყველაზე იოლია ამ გატაცებაში დავინახოთ მხოლოდ უფროსების მიბაძვა, დაბალი გემოვნება ან მოზარდის მისწრაფება, დიდი გამოვჩნდეო... არა საკითხი ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. ჩვენი დაკვირვებები გვარწმუნებენ რომ ამგვარ ეშმაკობას მიმართავენ მეტად მიმზიდველი გარეგნობის გოგონებიც და ის მოსწავლეებიც, რომელთაც რაიმე შესამჩნევი ნაკლი აქვთ. მოზარდების ამგვარ საქციელს საფუძვლად უდევს გაუცნობიერებელი სურვილი, რომ მიიღონ პასუხი კითხვებზე: ,,როგორი ვარ''? ,,არ შემიძლია კიდევ უფრო ლამაზი ვიყო''? ,,შემიძლია თუ არა ჩემი ნაკლი დავფარო''? მოგვიანებით გოგონების უმეტესობა ამ გატაცებას ივიწყებს. მოზარდებს ექმნებათ გარკვეული წარმოდგენა -ან საბოლოოდ ირწმუნებენ თავიანთ მიმზიდველობას ან სამწუხაროდ ხელს ჩაიქნევენ ხოლმე და ეს შეიძლება გახდეს უარყოფითი განცდების მიზეზი, რაც მოსწავლის ყველა საქციელში იჩენს თავს. ასე მოუვიდა მარინასაც, გოგონა მიხვდა, რომ მისი გარეგნული სახის მთავარი ,,დეფექტი'' ზედმეტი სიმსუქნე იყო. წინათ ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებდა,მაგრამ დადგა მომენტი და გოგონამ უკვე მწვავედ განიცადა თავისი ნაკლი.ხოლო იმ თანაკლასელი ბიჭის შეხედულება, რომელიც მას მოსწონდა,მარინასთვის სულ ერთი როდი იყო(გახსოვთ?-დარბაზში სხვებთან ერთად ისიც რომ იცინოდა?!) ამას საბედნიეროდ პედაგოგები მიხვდნენ, ყველაფერში გაერკვნენ და დაეხმარნენ მარინას სულიერი წონასწორობის აღდგენაში-შეიძლება ,,მოეხსნათ'' ზოგიერთი ისეთი მომენტი,რომელიც გოგონას წარსულ განცდებს ახსენებდა.ამ მუშაობაში მასწავლებელთან ერთად მარინას მშობლებიც მონაწილეობდნენ.

მსგავსი ფსიქოლოგიური მოვლენები, რაც ზოგჯერ სრულიად გაუგებარია ირგვლივ მყოფებისთვის,მოზარდ ბიჭებშიც ხშირია.მერვეკლასელი ნიკა წლების მანძილზე საკმაოდ კარგ მოსწავლედ ითვლებოდა და კარგი ბიჭიც იყო ,მერე კი უცებ ყველაფერი შეიცვალა. დედამისი ცრემლიანი მეუბნებოდა , ჩვენ ოჯახში რაღაც უბედურება ტრიალებსო,მშობლები საკუთარ შვილს ვეღარ სცნობდნენ. ალერსიანი, გამგები ბიჭი მოულოდნელად გარდაიქმნა. ყველაფრისადმი პასიური და გულგრილი გახდა, უხეშობდა, უკმეხად იქცეოდა...

შევეცადეთ სიტუაციაში გარკვევას .აღმოჩნდა რომ, მოზარდი მტკივნეულად განიცდიდა...თავის სიდაბლეს.ერთხელ სპორტდარბაზში თანაკლასელმა გოგონამ უცერემონიოდ უთხრა მე და შენ არაფერი გამოგვივა .,,შენ რომ ხარ ახლა მე ეგეთი ჯერ კიდევ მეშვიდე კლასში ვიყავი ...''აბა რა გუნებაზე დააყენებდა ბიჭს ამ სიტყვების მოსმენა გოგონასგან,რომელიც მოსწონდა სწორედ ეს ფრაზა იქცა მისი დათრგუნული მდგომარეობის მიზეზი და ალბათ სერიოზული დანაშაულისაკენ უბიძგა.

ნიკა მწვავედ განიცდიდა ყოველ გადაკრულ სიტყვას თავისი პატარა ტანის გამო ... იმ თანაკლასელი გოგონასაგან,რომელიც მოსწონდა.წყენა,გულისტკივილი,საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა მოზარდობაში ზოგჯერ მეტისმეტად უცნაურ,ახირებულ ქცევას იწვევს.ბავშვებს შეუძლიათ ,,განიმუხტონ''არაჩვეულებრივი გაბედულებითაც,უხეშობითაც,აულაგმავი მხიარულებითაც, ჩხუბითაც... და ა.შ (უფროსებიც ხომ სხვადახვაგვარად ინაზღაურებენ საკუთარი თავის დაუკმაყოფილებლობის გრძნობას-ზოგჯერ საზოგადოებისათვის მიუღებელი ფორმებითაც)

ნიკას ფსიქოლოგიური სტრესი...მშობლების მიმართ მტრულ გრძნობაში გამოიხატა:ასეთი პატარა რატომ გამზარდეთო.ამგვარ სიტუაციაში მეტად სახიფათოა მოზარდთა განცდების მიმართ გულგრილობა,თავის არიდება.ეს განცდები დიდ ადამიანს უმნიშვნელო და დროებითი ეჩვენება.მოზარდისთვის კი შეიძლება პირად დრამად იქცეს. ამგვარმა განცდებმა შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული გადახრები ყმაწვილის ქცევაში, წარმოშვას ღრმა კონფლიქტები მოზარდსა და მის ამხანაგებს შორის, მოზარდსა და მშობლებს შორის... ბავშვს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ ეს დახმარება, ცხადია, არ შეიძლება მეტისმეტად სწორხაზოვნად გავიგოთ. არც ზედმეტი სიმსუქნეა ყოველთვის ადვილი დასაძლევი ნაკლი, არც ბიჭის სიდაბლე და სიმაღლეა ვინმეს ნება-სურვილზე დამოკიდებული. მაგრამ ის, რომ მოზრდილს ვასწავლოთ ამ პიროვნებისეული პრობლემების სწორად შეფასება, აუცილებელიც არის. ეს მეტად მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ ამ ასაკში ყალიბდება მოზარდთა საერთო ფასეულობებითი ორიენტაციის სისტემა და მათმა მისწრაფებამ ფიზიკური სრულყოფილებისკენ არ უნდა დაჩრდილოს პიროვნების ზნეობრივი სრულყოფილების მოთხოვნილება. თუ უფროსები შეძლებენ ბავშვის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში გაერკვნენ, დროულად მიაწოდონ კეთილი რჩევა და განცდების დაძლევაში დაეხმარონ, მოზარდის აღზრდა უთუოდ სწორი გზით წარიმართება.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციართა დღის ცენტრში, ერთი მეცხრეკლასელი გოგონა გვყავდა, რომელიც ეტლით გადაადგილდებოდა, იგი ძალიან ხალისიანი, ღიმილიანი, იუმორის მოყვარული და რაც მთავარია, შესანიშნავი მოსწავლე იყო, სკოლა ამაყობდა მისი აკადემიური მაჩვენებლებით, უხაროდათ მშობლებს... გოგონას მოსვლის პირველი

დღიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდი, სხვა თანამშრომლებსაც მივუთითებდი, ბავშვი ყურადღების ცენტრში ჰყოლოდათ... თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა... მერე შევატყვე, რაღაცა გულჩათხრობილი გახდა, მიზეზს დელეკატურად ჩავეძიე და ... თურმე ზედმეტი ყურადღება აღიზიანებდა... მეც ისეთივე მინდა ვიყო, როგორც სხვები და მე მინდა ვიყო მე!-მითხრა გულწრფელად, მერე როდესაც პატარა პიესა დავწერე, ბენეფიციარ ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელთათვის, მას თავისი ყოველდღიური ცხოვრების როლი მოვარგე და სცენაზე სწორედ ეტლით თამაშობდა ერთ-ერთ მთავარ როლს სპექტაკლში.

პიროვნებათა კოლექტივის შექმნა მხოლოდ მასწავლებლის სულიერ საწყისზე არ შეიძლება. მისი დახმარებით და ყველას საფუძველზე წარმოიქმნება და ფორმირდება პიროვნება. აი რატომაა, რომ არა საკუთარი თავის ჩვენებას , არამედ ბავშვების და ყოველ მათგანში კოლექტიური ,,მე''-ს დანახვას ვისახავ საბოლოო და უმაღლეს მიზნად.არა ვქმნი სკოლის მოსწავლეში საკუთარ მსგავსს, არამედ ვაძლევ მას იმის საშუალებას, რომ გაიზარდოს საკუთარი თავისგან და ყველასაგან, როგორც პიროვნება. თუმცა, ხშირად ჩემით ვავსებ, ასე ვთქვათ, მოსწავლეს. მაგრამ არა როგორც მასწავლებელი, არამედ როგორც ,,მოსწავლე'', რომელსაც ურთიერთობს რა მის მსგავსებთან, აქვს კიდეც ამის უფლება. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებს ესმოდეთ, ვინ და რა მიზნით ავსებს მას, ამაშია არათანასწორებთან თანასწორობის დიალექტიკა.

დავფიქრდეთ:- თუ მოსწავლეს შეუძლია წამოგყვეს მხოლოდ შენ, მასწავლებელო, მაშინ იგი შენს გარეშე გაყვება ვიღაცა სხვას და საით წაიყვანს მას ეს ,,სხვა'' კაცმა არ იცის. ორიენტირებული თავად მოსწავლეზე და მის უნარზე, ენდოს თავის თავს და გაყვეს

თავისთავს,მაშინაც კი, როცა იგი ვიღაცას მიყვება, მე ყოველთვის ვაძლევ მას სიმყარის გარანტიას ნებისმიერ ცხოვრებისეულ სიტუაციაში.ჩვენთვის მასწავლებლებისათვის, ყველაზე მარტივი იქნებოდა ის, რომ ხელით გვეტარებინა ისინი, ვისაც ვითომ უნდა ჩვენს უკან სიარული, მაგრამ სინამდვილეში-ივლიან ნებისმიერის უკან, ოღონდაც თავისით არ იარონ. არა, ამიტომაცა მაქვს ლოზუნგი: ჯერ- თავად! თავად!

მნიშვნელოვანია არა უბრალოდ გავიდეთ მოსწავლეზე ან გავიყვანოთ იგი ამა თუ იმ პრობლემაზე, არამედ გადავაადგილოთ იგი ყველაზე წინა და გადამწყვეტ პოზიციაზე გაკვეთილისა.მონოლოგებში,ლექციებში მოუმწიფებელ, არაერუდირებულ მესიტყვეს ძალიან იოლად შეუძლია ,, დაიმალოს'' ბავშვებისგან; საუბარს ჭირდება კულტურა, ცოდნა, ოსტატობა. ეს ის ჟანრია გაკვეთილისა, როცა მასწავლებელი მთლიანად ბავშვებშია, ცდილობს რა ,,ამოქაჩოს '' მათგან და გახადოს ისინი ნიჭიერები, ინიციატივიანები...

ერთხელ მე მივეცი ბავშვებს თხზულება ,,მასწავლებელი რომელსაც ელიან...''და რა? ვის ელიან მოსწავლეები? ჭკვიანს?- დიახ, ერუდირებულს?-რა თქმა უნდა, შემძლებელს?-უდაოდ. მაგრამ ყველას პირველ ადგილზე ეყენა : საინტერესოს! ორიგინალურს! რათა მოგინდეს ის, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ჩაიწერო და ამავე დროს შეხედო მას, საკმაოდ რთულ სიტყვათა, ჟესტებისა, ინოვაციათა, მიმიკათა, პოზების და პაუზების თამაშს. მხოლოდ ხელოვნების გაკვეთილზე და ხელოვნების ხერხებით შეგიძლია დაარწმუნო ბავშვი იმაში, რომ ყველა გაკვეთილი საჭირო და საინტერესოა, ხოლო საკუთარი თავი კი იმაში, რომ შეგიძლია იყო საკუთარი გაკვეთილის: მხატვარი ,სცენარისტი,რეჟისორი,შემსრულებელი,კრიტიკოსი რომელმაც

იცის თავისი ღირსებებიც და ნაკლოვანებებიც,ლიტერ-ატურათმცოდნე, რომელსაც მეცნიერულად შეუძლია ახსნას თავისი და ბავშვთა ინტერესი წიგნისადმი. მას-წავლებელი არა მხოლოდ წიგნის გარანტია არამედ, იგი ამავედროულად არის შემქმნელი კულტურისაც, ამასთან ყველაზე ფაქიზისა, სულიერისა.როგორც თე-ატრში მას სჭირდება მეგობრული ემოციური გამოძახ-ილი მათი, ვისთანაც აქვს ურთიერთობა-ბავშვებისა. ხოლო წიგნს კი სჭირდება მასწავლებელი, რომელიც დაუფლებულია არტისტიზმს, როგორც მეთოდურ სა-შუალებას. მხოლოდ ამ ფუნდამენტზე გადააქცევს მეს-იტყვე ხელოვნებას ოსტატობად.

,,დედა, დედიკო ათიანი მივიღე დღეს, მასწავლე-ბელმა ოთხი სმაილი დამიწერა"- მხიარული ძახილით ამცნობს დედას თავისი პირველი მიღწევების ამბავს პირველკლასელი მოწაფე.

რომელ მშობელს არ განუცდია მღელვარება ამ სი-ტყვების გაგონებაზე? რომელი მშობლის გულს არ აღავსებს ის იმედითა და საკუთარი პირმშოს მომავალ წარმატებათა რწმენით?,, ჩვენ არ ძალგვიძს ამ პაწია ქმნილებებს არ ვუცქიროთ სიხარულის გრძნობის, თუ გნებავთ აღტაცების გარეშეც კი",- წერდა გოეთე და დასძენდა: ,, ისინი მუდამ მეტს გვპირდებიან, ვიდრე მერე შეუძლიათ განახორციელონ ". გადის წლები, ჩვენ სულ უფრო იშვიათად გვესმის მხიარული ძახ-ილი:,,დედა,დედიკო! ათიანი მივიღე!" იქნებ იზრდება ბიჭი და უფრო თავშეკავებული ხდება? არა, ათებს აღარ უწერენ, ეს არის და ეს... სკოლიდან ახლა სიხ-არულის ნაცვლად სახლებისკენ შავი აჩრდილივით მოიზლაზნება შიში და შფოთვა, რა მწარეა, რა მწარეა როცა იძულებული ხარ თავი ასე ინუგეშო: ,, როგორც ჩანს მეტი აღარ შეუძლია. რა ვქნა, მარტო ჩემი ხომ არ არის ასე. აგერ რამდენი არიან..."

გესმის, სკოლა?,, მარტო ჩემი რომ არ არის ასეთი...'' მაშ რატომ, რატომ გვინერგავდი რწმენას შენ, მასწავლებელო, რომ ,,თუკი მოისურვებს, ყველას შეუძლია?...,, ტყუილია! ყველას არ შეუძლია. აბა ერთი, გადაავლე თვალი სკოლის გამოშვებებს - ბევრი გამოვიდა გენიოსი იმ შენი მუყაითი და სანიმუშო მოსწავლეებიდან?

აი, წინ მიდევს ერთი ახალგაზრდა დედის,ოზურგეთელი ექიმის ბარათი. ,,ჩემი შვილი შვიდი წლისაა-მწერს ქალი.-ძალიან ცოცხალი,გულღია კეთილი ბიჭია. კარგად მღერის, ბევრს ხატავს, ძერწავს, უყვარს კონსტრუქტირება, შენება, განსაკუთრებული მიდრეკილება ტექნიკისადმი გააჩნია, ამიტომ სულ მობილურ ტელეფონში, პლანშეტში თუ კომპიუტერშია ,,ჩაძირული'' მოგეხსენებათ, ეს თაობა ინდიგო ბავშვები არიან...წელს პირველ კლასში უნდა შევიყვანო, მაგრამ ძალიან მეშინია : ვაი თუ უფრო მეტი დაკარგოს, ვიდრე სკოლაში შეიძენს რაღაც დაშტამპულია იქ ყველაფერი, ყველაფერს მოწყენილობის, ერთფეროვნების დაღი აზის. რა იქნება, რომ სკოლაში სულ არ მივიყვანო?''.

ჩემი სამუშაო მაგიდა სავსეა წერილებით. მოგეხსენებათ ეს ბუნებრივიცაა, საქათველოს პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარე ყოველთვის სახელმწიფო განათლების ეპიცენტრში უნდა იყოს, ბარათებს მიგზავნიან მშობლები, პედაგოგები, სხვადასხვა ქალაქებიდან, რაიონებიდან, სოფლებიდან...ისინი შეშფოთებით მწერენ რომ სასწავლო დღის შემდეგ ბავშვები მოდუნებულნი, არაქათგამოცლილი, გამოფიტულნი ბრუნდებიან შინ, მწერენ, რომ მასწავლებლებს უკანასკნელი ძალის დაძაბვა სჭირდებათ, ისინი ,,კი არ ზრდიან ბავშვებს ,აღზრდაში ვარჯიშობენ - ებრძვიან ზედმეტ დატვირთვას,ებრძვიან ზიზღს

სწავლისადმი''. მათი სიტყვით, მასწავლებლები კარგა ხანია შეეჩვივნენ იმას, მოსწრების ნაცვლად, რომ მოსწრების პროცენტზე უხდებათ თავის მტვრევა, უფრო მეტიც, კრედიტულობისათვის პედაგოგები, თითქმის საერთოდ ჩამორჩნენ სწავლის პროგრამას და მთავარი ის კი არ არის, რას აძლევ ბავშვის სულს, არამედ ის რა ქაღალდზე რას დაწერ და როგორ იმუშავებ, რომ მთავარია არა კეთება, არამედ გაკეთებულის ჩვენება.

სკოლას ალბათ არასდროს მიუღია იმდენი საყვედური, მისი მისამართით,ალბათ, არასოდეს გამოთქმულა იმდენი გულისწყრომა და პროტესტი რამდენიც ახლა, ამ ბოლო ათწლეულში. სიტყვა,,სკოლა'' აღარ შორდება ჩვენი მასობრივი ინფორმაციებისა თუ სოციალური ქსელების ყოველდღიურობას ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგივე პრობლემები წინათ არ იყო. არა, ეს ნიშნავს, რომ დადგა დრო,როცა უკვე აღარ შეიძლება, დავჯერდეთ მარტოოდენ პროგრამების ცვლას თუ ნაირ-ნაირ ცვლილებების შეტანას წესდებისა და ინსტრუქციის სხვადასხვა პუნქტებში სიტყვა ,,რეფორმამაც'' დაკარგა თავისი მეცნიერული ხიბლი.

ჩვენი პედაგოგიური პრაქტიკა ხშირად გვიჩვენებს უკუპროპორციულობას პედაგოგთა შრომისა და ამ შრომის შედეგებს შორის, სწავლაში წარმატება კი არ მატულობს,პირიქით,ნელ-ნელა კლასიდან კლასამდე ეცემა. დიდი პროცენტი სწავლას პირველი წლებიდან შესამჩნევად ჩამორჩება, სამაგიეროდ ვინც იმათგან, პირველ კლასებშივე ჩამორჩებიან სწავლაში, შემდეგ ერთიც კი ვერ დასძლევს პროგრამას წარმატებით. ამის გამო ჯერ კიდევ ვასილ სუხომლინსკი წერდა გულისტკივილით:,,დიდად შემაშფოთებელია ის ამბავი, ბავშვის გონებრივი შესაძლებლობები სიყრმის წლებში თითქოს თანდათან იშრიტება''...დაუფიქრდით ამ სიტყვებს: ბავშვის გონებრივი შესაძლებლობე-

ბი იშრიტება სწავლის წლებში!იშრიტება იმ დაწესებულებაში, რომლის წმინდათაწმინდა მოვალეობაა,, აზროვნების ცეცხლი აღანთოს''რომლის კედლებში აღზრდილი ყოველი ადამიანი მზად უნდა იყოს განუწყვეტელი სულიერი თვითსრულყოფისა და სრულფასოვნებისათვის

აი რატომ წარმოვთქვამთ ჩვენ, პედაგოგები და მშობლები, ასეთი მღელვარებით სიტყვა ,,სკოლას''.

ოციოდე წლის წინ, სკოლაში, რომ ვიწყებდი მუშაობას, სხვადასხვა კლასების მოსწავლეებს ასეთი შეკითხვა მივეცი:

,,შენ ახლა სკოლაში მიდიხარ, საცაა გაკვეთილების ზარი დაგერეკება, რა უფრო ზუსტად გამოხატავს შენს სულიერ მდგომარეობას-,,მშვიდად ვარ'', ,,მიხარია'' თუ ,,მეშინია''? გამოკითხული 300 ბავშვიდან 7-მა გვიპასუხა ,,ჩემთვის სულ ერთია '' ან ,, გააჩნია, როდის როგორ...'' ოთხმა მეოთხე კლასელმა გვიპასუხა,,მიხარია''. და დანარჩენი 289 ბავშვის პასუხები ასეთი იყო: ,,ვღელავ'' ,, მეშინია''...შემდეგ მე ეს შეკითხვა ბევრჯერ მიმიცია უკრაინის, საქართველოს, რუსეთის თუ ყაზახეთის სკოლის მოსწავლეებისთვის და პასუხად ,,მიხარია'' ძალზე იშვიათად მომისმენია.სამაგიეროდ თითქმის

უცვლელად მეორდებოდა პასუხები: ,,ვღელავ როგორღაც'', ,,თითქოს რაღაც სულს მიხუთავს'', ,,მეშინია''...

საიდან იღებს სათავეს ეს მღელვარება, შფოთვა ნერვიული სისტემის ასეთი არაჯანსაღი დაძაბულობა? ფსიქოლოგი ვ.პინი ესტონეთის სპეც სკოლა-ინტერნატის დირტექტორი, ამ კითხვაზე პასუხს წერს: წყარო ერთია გადაულახავი დაბრკოლებები... რადგან არ ძალუძს შეასრულოს ის რაც უთუოდ უნდა შესრულდეს, ბავშვი შფოთავს, ვეღარ ისვენებს, საში-

ში დაძაბულობა ეუფლება. ამასვე მოწმობს სკოლის წლებში ჯანმთელობის გაუარესების ფაქტებიც.ბოლო ხანს სულ უფრო ხშირად გაისმის განგაშის სიგნალი, რომ ბავშვის ზრდის კვალობაზე სწავლის , ახლის შეცნობის უნარი თანდათან ეცემა . საყურადღებოა , რომ ავტომანქანის მართვის სწავლებაშიც არის ერთგვარი ასაკობრივი ზღვარი და იგი ისევ ისე ყრმობის წლებს ემთხვევა. ადრეულ ასაკს იმედის თვალით უყურებენ პედაგოგი მათემატიკოსებიც,მუსიკოსებიც,მწერლებიც, ბალეტმესტერებიც... რაც უფრო რთულია სწავლება , მით უფრო სასურველია იგი დავიწყოთ ადრეული ბავშვობიდანვე.

ადრეული ასაკი ყველაზე ნაყოფიერი ხანაა მოზარდის განვითარებისთვის.ეს გახლავთ უზარმაზარი შემეცნებითი შესაძლებლობების, ძიების, გამოგონების, შემოქმედების ჭეშმარიტად ამოუწურავი ენერგიის პერიოდი.

არც ერთი სხვა ასაკი არ დგას ისე ახლოს გენიალობასთან, როგორც ადრეული ბავშვობა.მაშასადამე, ამ ასაკის ბავშვი რაღაც განსაკუთრებული,გამორჩეული თვისებებით არის დაჯილდოებული.სწორედ ეს თვისება აძლევს ყმაწვილს უმაღლეს შემეცნებით შესაძლებლობებს, რასაც იგი შემდეგ წლებში რატომღაც კარგავს. მაინც რა თვისებებია ეს და მართლა გარდაუვალია მათი დაკარგვა?

ბავშვი მოზრდილი ადამიანისგან განსხვავდება განსაკუთრებული ემოციურობით და აქედან გამომდინარე აღქმის ინტენსივობით. თანამედროვე სწავლულები ამტკიცებენ რომ ,,ბავშვის შემოქმედებით აქტს ხელს უწყობს წმინდა ბავშვური თავისებურებანი. მოზარდში აქტიური აღქმის სხვადასხვა ფორმები:- სმენითი, მხედველობითი,მოძრაობითი''.

არსებობს პირდაპირი კავშირი ბავშვის ემოციურო-

ბას, აღქმის გრძნობითი ფორმების აქტოვობასა და აზროვნების უნარს შორის. ამას ნათლად მოწმობს თვით ფაქტი ბავშვის მიერ მეტყველების დაუფლებისა. მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე ადამიანს, ალბათ აღარც შეხვდება უფრო რთული ამოცანა, ვიდრე ლაპარაკის სწავლაა-პირველი სიტყვების წარმოთქმა, მათი ურთიერთდაკავშირება და აზრით დატვირთული წინადადებების ჩამოყალიბება. ერთი შეხედვით სრულიად უმწეო ბავშვი,როგორც ირკვევა, უზარმაზარი შემოქმედებითი ანალიტიკური აზროვნების მფლობელი ყოფილა. ბავშვი ხომ დამოუკიდებლად სწავლობს ლაპარაკს და სწავლის მეთოდიკასაც თვითონ, სხვის დაუხმარებლად იმუშავებს. ,,ა''-ს წარმოთქმისას მას არავინ ასწავლის:-აბა რაც შეიძლება ფართოდ გააღე პირი დააგროვე ჰაერი, ენის შუა ნაწილი ოდნავ ასწიე... საბედნიეროდ, ბავშვი გადაურჩა ასეთ ,,სწავლებას'', ის მხოლოდ გვისმენს,კვლავ და კვლავ უდარებს, უპირისპირებს, აანალიზებს მოსმენილს, გამოაქვს დასკვნები, პოულობს კანონზომიერებებს და ნელ-ნელა მიიწევს წინ, მიზნისკენ...

რაოდენ მაღალი უნდა იყოს აზროვნების დონე, რომ მხოლოდ და მხოლოდ სამეტყველო გარემოში ყოფნით, დამოუკიდებლად გაერკვე მის მნიშვნელობაში, თითოეული სიტყვის მნიშვნელობაში, ხოლო როცა გაერკვევი, ისწვლო მეტყველების მთელი ურთულესი აპარატის ორგანიზება; როცა ჯერ კიდევ არ იცნობ არავითარ წესებს! ისწავლო წინადადების სწორად აგება და საკუთარი აზრის გამოხატვა! ჩემმა უკრაინელმა კოლეგამ, უკრაინის პედაგოგთა კავშირის თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა ვლადიმერ ვერბიცკიმ მეტყველების დაუფლების პროცესს ტალანტის გმირობა უწოდა.

და აი, მეტყველება ჩამოყალიბებულია. რა მოსდის

მის ,,მშობელს''-ხატისმიერ აზროვნებას?თავის ამოცანას შეასრულებს და კვდება?არა, რაღა თქმა უნდა! სიტყვა, როგორც ხატის აღმნიშვნელი, არ შეიძლება მოწყდეს თავის არსს, თავის ჭეშმარიტ შინაარსს. წინაღმდეგ შემთხვევაში პირველად სიგნალს, ანუ სინამდვილის ხატს მოწყვეტილი, იგი იქცევა ,,არარას სიგნალად'', უაზრო, ცარიელ ბგერად, დიდი რუსი ფსიქოლოგი ი.პავლოვი აღნიშნავდა:,,უნდა გვახსოვდეს რომ მეორე სასიგნალო სისტემას მნიშვნელობა აქვს მხოლოდ და მხოლოდ პირველი სასიგნალო სისტემიდან გამომდინარე, მასთან კავშირში ხოლო თუ იგი პირველ სასიგნალო სისტემას მოწყდა, მაშინ თქვენ უბრალო ყბედი, მოლაყბე აღმოჩნდებით და ცხოვრებაში თქვენს

ადგილს ვერ იპოვით... ნორმალური ადამიანი თუმცა იგი სარგებლობს მეორე სიგნალებით, რომლებმაც მისცეს მეცნიერების გამოგონების, საკუთარი თავის სრულყოფის საშუალება და ასე შემდეგ, ამ სისტემას ეფექტურად იყენებს მხოლოდ მანამდე, სანამ იგი მუდმივად და სწორად ეფარდება პირველ სასიგნალო სისტემას...სინამდვილის უახლოეს მეგზურს''.

ამავე დროს, მეცნიერმა აღმოაჩინა თვით მექანიზმი ორი სასიგნალო სისტემის ურთიერთკავშირისა მან დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ,,სიტყვისმიერ-ნიშნისმიერი ანუ სამეტყველო აზროვნება გამუდმებით მოითხოვს მუდმივ განმტკიცებას ხატისმიერი აზროვნებით, ხოლო ამ უკანასკნელს, თავის მხრივ სჭირდება დახმარება, რაც მხოლოდ გრძობათა ორგანოების აქტიური მუშაობით, გარე სინამდვილესთან მათი უშუალო კონტაქტით არის შესაძლებელი'' პავლოვის თანახმად ამგვარი განმტკიცება ,,აუცილებელი, განმსაზღვრელი'' პირობაა სიტყვის ნორმალური ფუნქციონირებისათვის.აქედან უნდა დავასკვნათ,

რომ აზროვნების (სიტყვის მიერ-ნიშნისმიერისა და ხატისმიერისა)სიჯანსაღე და აქტივობაა საბოლოო ანგარიშით სენსორული,ესე იგი გრძნობადი, აპარატის სიჯანსაღიდან და აქტივობიდან გამომდინარეობს.ამგვარად,გონებრივი ნიჭის განვითარება და სრულყოფა; უპირველეს ყოვლისა, მისი ფესვის- აღქმის გრძნობადი ფორმების განვითარება-სრულყოფას ნიშნავს. მაგრამ ეს წონასწორობა პირველივე ზარისთანავე ირღვევა...

დღეს ნებისმიერ სკოლაში ნახავთ პედაგოგთა ჩანაწერებს რომლებიც მოსწავლეთა ყოველმხრივ განვითარებაზე მოგვითხრობენ.იქ ამოიკითხავთ, რომ 40 ბავშვი მუსიკით არის გატაცებული,100 მოსწავლე სპორტში მეცადინეობს,ძირითად ნაწილს ტექნიკა უყვარს, ნაწილს... ახლა ეს ვიკითხოთ, რა კეთდება კონკრეტულად ერთი მოსწავლის ყოველმხრივი განვითარებისთვის? მაშინვე გადმოიღებენ კომპლექსურ გეგმებს, კომპლექსური მიდგომის თემებისადმი სემინარებისა თუ კონფერენციის მასალებს...მაგრამ მე მინდა ვკითხო მასწავლებელს: პაქტიურად რა არის თქვენი მთავარი ამოცანა,რისთვის გეკისრებათ პასუხისმგებლობა,რის შესახებ აბარებთ ანგარიშს ყოველ კვირას, ყოველ თვეში თუ ყოველ სემესტრში პედაგოგიურ საბჭოს? დიახ, დიახ! მთავარი ამოცანა სწავლებაა, მოზარდებისთვის ცოდნის გადაცემა . თქვენ მოგკითხავენ იმ ინფორმაციის სიუხვისთვის, რომლითაც ვალდებული ხართ ,,დატენოთ'' ბავშვები და რომელსაც მოსწავლეები აუცილებლად,,შემოქმედებითად უნდა იყენებდნენ'' სავსებით სამართლიანად სკოლაში უაღრესად დიდია სიტყვის ავტორიტეტი, მაგრამ სკოლა, ამავე დროს, ივიწყებს რომ სიტყვისმიერ-ნიშნისმიერი აზროვნება მხოლოდ დანამატია, მხოლოდ ნაწილია ერთიანი პროცესისა და მთელ თავის ყურადღებას სიტყვას უთმობს, სიტყვისკენ მიმართავს.

დღეს სკოლაში ეგრეთწოდებული, სულიერის, მაშასადამე, სიტყვიერის კულტი მეფობს. აქედან გამომდინარე, იქმნება შეხედულება: სულიერი ნიშნავს ამაღლებულს, ფიზიკური, გრძნობადი, მდაბალს პარადოქსია, მაგრამ უნდა ვაღიაროთ რომ ისე ვექცევით ბავშვს, ბავშვის ორგანიზმს, თითქოს სიცოცხლე გვეზიზღებოდეს ისეთი საგნები (სახვითი ხელოვნება, მუსიკა, ფისკულტურა, შრომა) რომლებიც ადამიანის უმთავრეს გრძნობად უნარს- ხედვის, სმენის, მოძრაობის უნარს სრულყოფენ, ფაქტიურად წლების განმავლობაში მეორე ხარისხოვან, დამხმარე საგნებად ითვლებოდა ისინი სასწავლო საგნების რიგში, მნიშვნელოვნობის მიხედვით ბოლო ადგილზე იდგნენ, ბოლო პერიოდში ჩვენთან ეს პრობლემა ნაწილობრივ თითქოს გამოსწორდა, მაგრამ...აშკარად ჩანს სასწავლო გეგმიდანვე, მოქმედების რომელ სახეებს მიექცევა მეტი ყურადღება მათემატიკას, კითხვას, წერას პირველ კლასებშიც კი, დამატებითი საშინაო დავალებების გარეშე, სავალდებულო სამეცადინო დროს მთელი სემესტრი ეთმობა. რაც შეეხება აღქმის ფორმებს,რომლებიც მოსწავლის სააზროვნო,შემეცნებით შესაძლებლობებს განსაკუთრებით კი ხატისმიერ აზროვნებას განსაზღვრავენ, მათი განვითარებისთვის კვირეული სავალდებულო სამეცადინო დროიდან გამოყოფილია მხოლოდ მცირე ნაწილი.

რაც უფრო ვუახლოვდებით უფროს კლასებს, მით უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა ცოცხალ გრძნობას, მოსწავლის ცოცხალ ორგანიზმს მით უფრო მოწყვეტილია ერთმანეთს სიტყვა და ხატი. ძალზე ცოტა რამ კეთდება აღქმის წამყვანი ფორმების (სმენითი,მხედველობითი, მოძრაობითი) სრულყოფისთვის რომლის აქტივობაზე უშუალოდ არის დამოკიდებული ადამიანის შემეცნებითი შესაძლებლობათა აქტივო-

ბა არადა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეცნიერები წერდნენ, რომ: ,,პედაგოგიკაში საყოველთაოდ ცნობილია ეგრეთ წოდებული ფორმალური განათლების

საფრთხე, რომელიც განათლების ჭეშმარიტ საფუძვლად მხოლოდ ენასა და მათემაკას მიიჩნევენ''ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ რომ სკოლა მოვალეა ადრეული ბავშობიდანვე განამტკიცოს და განავითაროს გარეგანი გრძნობები: მხედველობა, სმენა,შეხება და ა.შ, რადგან აღქმის ძალა და მრავალფეროვნება მათ სიმახვილეზე, მათ სრულყოფილ განვითარებაზეა დამოკიდებული.ამიტომ აუცილებელია ბავშვებს მივცეთ საშუალება გამუდმებით ავარჯიშონ თავიანთი გარეგანი გრძნობები

იმისათვის, რომ აღსაზრდელი მოვმართოთ საკუთარ ტალღაზე, არასაკმარისია ვიყოთ უბრალოდ არტისტი, არანაკლები ხარისხით საჭიროა,ვიყოთ ექიმიც იგი ერთხელ კიდევ თავისებურად შეგვახსენებს,რომ არა კლასთან,აუდიტორიასთან,დარბაზთან, არამედ, პირველ რიგში ადამიანთან ვმუშაობთ.ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი უნდა მოვარგოთ მას: - თემა,საკითხი,ხერხი,დავალება... გული არ გავუტეხოთ სწრაფი ტემპით, არ შევაშინოთ მოცულობებით, არ ჩავახრევინოთ თავები მერხებში ავისმომასწავლებელი ფრონტალური გამოკითხვებით და საერთოდ,ადამიანურად, ვიყოთ უფრო ჰუმანურები, უფრო კეთილები.. ასე ვთქვათ. გატაცება წიგნით- ეს ხომ ნიშნავს მის შესწავლას ყოველგვარი საყვედურების, მუქარების გარეშე. და ნიშნების გარეშეც კი.რომლებიც ყოველ შემთხვევაში, პირველი ნაბიჯებისას,უკუთესია შევცვალოთ შეფასებით.,,დღეს შენ იმუშავე, ყოჩაღ!''ხოლო ჟურნალში ათიანის ჩაწერა კი უკვე შეგვიძლია ხვალ, ან თუნდაც სემესტრის ბოლოს.

გაკვეთილი,ექიმის პოზიციიდან, ეს არის ორმოც-

დახუთი წუთი ჯანმთელი ცხოვრების წესისა! ექიმს ესმის,რომ არ შეიძლება ბავშვის გადატვირთვა აბსოლუტურად ყველა გაკვეთილზე,იმ რისკის გარეშე, რომ ვიღაცას ტრავმას მიაყენებთ,ნერვულად და ემოციურად გამოფიტავთ... სასწავლო აქტივობა, სხვათა შორის, უფრე მეტად არის პრობლემა ენერგეტიკისა, ვიდრე მეთოდიკისა, უფრო მარტივად რომ ვთქვათ,-ჯანმთელობისა.დაღლილები წიგნებს ვერ, ან არ კითხულობენ.

თუ მესიტყვე ჩუქნის გაკვეთილს მხატრულ სიტყვას, მაშინ მცოდნე ღირებულს; არტისტი-ხილვადს; ხოლო ექიმი ალერსიანს, ადამიანურს...

ანუ: მცოდნე-აუწყებს; არტისტი-უძღვნის;ექიმი-ურჩევს. შეგვიძლია სხვადასხვანაირად რეზიუმირებაც: პირველი იძლევა მსმენელს, მეორე- მაყურებელს, ხოლო მესამე შესაძლებლობას ვიყოთ ერთიც და მეორეც,ყოველ გაკვეთილზე, ყოველ ლექვიაზე, მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე.

სკოლა-ეს ის სამყაროა, სადაც ადამიანურ სიმპატიათა,ურთიერთგაგების, სულიერი თანასწორობისა და კონტაქტის გარეშე არ შეიძლება. გაკვეთილი- ეს პირველ რიგში შეხვედრაა და უკვე შემდეგ-საგანი, ანალიზი,ჟურნალი. პირველი წუთები- ნდობის, საშინაო საუბრებია. მანამ წიგნის გარეშე არ გამოდის. აი, შემდეგ კი უკვე ისმის ხმა ჩანთების, პორტფელებისა, ისმის წიგნის ფურცლების შრიალი... და ლაპარაკი წიგნის შესახებ წავა უკვე იმ ადამიანური წუთების დონეზე, რომლებიც დაიბადნენ შეხვედრით... ასე თანდათანობით ჩამოყალიბდა ჩემი მეთოდი გაკვეთილისა-ურთიერთობა. ეს არ არის კარგი ურთიერთობების თამაში, არამედ ხერხი მოსწავლის ასე ვთქვათ განთავისუფლებისა, იმისათვის, რომ მან ისწავლოს სრული დატვირთვით, იოლად და ხალისით, იკითხოს არა

მარტო თავისთვის, არამედ იმისთვისაც, რომ ჰქონდეს ურთიერთობები, გააკვირვოს და გაახაროს ხალხი მიხვედრილობით, წარმოდგენებით, აღმოჩენებით...

ჩვეულებრივ, პედაგოგთაგან, ერთნი დაეცემიან თავზე მოსწავლეს, არ აძლევენ მას არცერთი წუთი დასვენების საშუალებას; მეორენი- საკუთარ თავს, ბოლომდე იცლებიან და იქანცებიან მუშაობით. ურთიერთობა აცილებს ერთსაც და მეორესაც, ბადებს რა რაღაცნაერ სინთეზს საერთო მუშაობისას და აქედან გამომდინარე, საერთო შედეგისასაც. იგი, სხვათა შორის, ითხოვს მეტ თვითკონტროლსაც მასწავლებლის მხრიდან.რაც უფრო დიდხანს და უკეთ ემზადება იგი გაკვეთილისთვის, მით უფრო დიდი სურვილი აქვს მას თავად ლაპარაკისა, საკუთარი სმენისა. მაშინ უწევს მას საკუთარი მზადყოფნის შეკავება, მოსწავლის ინიციატივის გამოწვევით.

ჩვენ მივიღეთ და მხარი დავუჭირეთ იმას, რასაც ათწლეულობით ებრძოდა სკოლა-მდუმარე მოსწავლეს. საერთო გაცხარების დინამიკაში მას არ შეეძლო ყოფილიყო არც იყო ინერტული, განზე მდგომი ხოლო როგორ არის უფრო მოხერხებული საკუთარი აზრის გამოხატვა:დუმილით თუ სიტყვით ეს უკვე დაე მან თავად გადაწყვიტოს. ფონეტიკური და სულიერი აქტიურობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.ოდესმე გავიგებთ ამას და ვისწავლით არა შეფასებას, დაფასებას მაინც დუმილისას.

ვსარგებლობ რა თავისუფალი,თითქმის ოჯახური ურთიერთობით ბავშვებთან, თუ ტუდენტებთან გაკვეთილის თუ ლექციის მსვლელობისას ვუყვები მათ, თუ როგორ გამომდის ყველაფერი ისე, რამაც ააღელვა და დააინტერესა ისინი და რა სჭირდებათ იმისათვის, რომ მათ ჩემზე უკეთესად გამოუვიდეთ ყველაფერი. მასწავლებლის საიდუმლოებები-მოსწავლეს! ლექტო-

რის საიდუმლოებები სტუდენტს! - ასე განვსაზღვრავდი მე ამ უმნიშვნელოვანეს ზღვარს ურთიერთობის გაკვეთილისას.

თუ გაკვეთილი ყველაფრის დასაწყისია და ყველაფრის შემდეგი, საშინაო დავალების რაოდენობა-მინიმალურია. დავტოვოთ მათგან მხოლოდ ისინი, რომლებიც გვიქადიან აღმოჩენებს, სადაო გადაწყვეტილებებს,გვაღელვებენ სიახლით, რომლის გულისთვისაც სასიხარულო და სასურველია გონების დაძაბვა.დავალება კი არ ერთვის გაკვეთილს,არამედ ორგანულად გამომდინარეობს მისგან.გაკვეთილის ნაწილი შეიძლება ყველაზე, საინტერესო ნაწილიც. მაგრამ არარეალიზებული, არის სწორედ დავალება. არც გჭირდება დავალების მიცემა-თავად იღებენ. მხოლოდ ცოტანი გამოიცნობენ სამუშოს მოცულობას და მის სირთულეს-შემოქმედებითს, მაგრამ ასეთი სირთულე არ აშინებთ.გამონათქვამთა შესახებ იმსჯელებს არა მხოლოდ მასწავლებელი-მთელი კლასი. ყველა წაიკითხავს თავის პასუხს ხმამაღლა . ,,გამოკითხვა''მიიღებს თავისებურ ტურნირის სახეს, სადაც ბავშვები არჩევენ უნარს , რომლის უკანაც ცოდნა დგას. მათ მინიჭებული აქვთ უფლება დაიწყონ ახალი გაკვეთილი და არა გაიმეორონ წინა.ალბათ, ამიტომაცაა მათი ინტერესი გაკვეთილისადმი, და საერთოდ,საკუთარი თავისადმი ასეთი დიდი.

თუ წიგნთან მუშაობის მეთოდია: - ხელოვნების შესახებ-ხელოვნების ენით, მაშინ როგორ არ უნდა იყოს მასწავლებელი არტისტი? ისინი არა მხოლოდ იძლევიან, აცნობებენ,არამედ უძღვნიან ცოდნას, არა მოდიან, არამედ მოგვევლინებიან გაკვეთილზე,ემზადებიან მისთვის, ამზადებენ საკუთარ თავს. ,,ამოიღონ'' საკუთარი თავი საჭირო მომენტში, ,,მოუგონ'' დაღლილობას, ცუდ განწყობას, უამინდობას, გამართონ, დაჭ-

იმონ,როგორც საკრავის სიმი, ვლადიმერ ვისოცკის გამონათქვამი რომ ვიხმაროთ, საკუთარი ,,დასუსტებული ნერვი'' რათა აჟღერებენ მთელს ხმაზე - ეს არის ერთ ერთი შემოქმედებითი უნარი მასწავლებელ არტისტისა.

არტისტიზმი-ეს არ არის ახირება,ვინმეს ინდივიდუალური მანერის თავისებურება, არამედ არის უმნიშვნელოვანესი სასწავლო საშუალება, ურომლისოდაც არც წიგნი და არც გაკვეთილი, არ მუშაობს. არტისტს შეუძლია და უყვარს ლაპარაკი პაუზებით,ჟესტებით, მიმიკით-იმ ექსპრესიით, რომლიც სქოლასტიკამ უგულვებელყო. რაც შთამბეჭდავია,ის ფრთებსაც გვასხამს! ყველაზე უკეთ ესმის არტისტს. როგრც ის, რომ თავიდან საჭიროა ,,მოიპოვო'' აი შემდეგ კი უკვე ,,მიმართო'', ასწავლო, განავითარო, აღზარდო.იგი აძლევს გაკვეთილს მთავარს - ყურადღებას!

სწავლება და აღზრდა - ეს არის როგორც ქურთუკის შესაკრავი ეგრეთ წოდებული ,,ელვა'': ორივე მხარე იკვრება ერთდროულად მყარად და აუჩქარებელი მოძრაობით ჩამკეტისა - ანუ შემოქმედებითი აზრისა. როგორი უნდა იყოს ეგ ,,შემაერთებელი" აზრი?

დღეს წიგნი ბევრს ეძახის ცოდნით, იმ ცოდნით, რომელიც ილიასეულ ანთებულ სანთელს ჰგავს, ეს წიგნიერი ცოდნა, მხოლოდ წიგნზე დამყარებული საინტერესო ვერ იქნება, უკვე ვეღარ შეიძენს გამოძახილს სტუდენტთა დიდ უმრვლესობაში, წიგნი-წიგნს შეიყვანს ჩიხში, თუ არ ექნება მას ცხოვრებისეული საყრდენი

- ისევ გენიოს ილიას უნდა დავესესხოთ: - „არც უწიგნურობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდან გამოხედვა"...

ლექტორის ცხოვრების აზრია -სტუდენტი! იგი განსაზღვრავს ჩვენს პოზიციას და პრინციპებს... ამი-

ტომ სტუდენტსა და ლექტორს შორის მთავარი კოლეგიალური დამოკიდებულებაა, უფრო მეტიც შეიძლება ლექტორმა და სტუდენტმა, ერთ სპექტაკლში ითამაშოს კლასიკური როლები, გთავაზობთ ამონაწერს გაზეთიდან ,,საქართველოს რესპუბლიკა“ 19-მაისი 2010 წელი.

საქართველოსა და უკრაინის მრავალსაუკუნოვანი სამოყვრო ურთიერთობების ისტორიაში ახალ და საინტერესო ფურცლებს საქართველო - უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტის არაფორმალური პროფესიული განათლების ის სასწავლო ცენტრებიც წერენ, უკანასკნელ წლებში რომ შეიქმნა საქართველოში. მისი რექტორი გარი ჩაფიძე უკრაინის საპატიო მოქალაქე, უკრაინის პატრიოტი და უკრაინის განათლებისა და მეცნიერების ფლაგმინია, სრულიად ახალგაზრდამ, ბევრი რამ მოსწრო. საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს ბიზნესისა და მედიცინის აკადემიის რექტორი,ერთად არის კიევის პერსონალთა მართვის რეგიონალური აკადემიის პროფესორი, ამერიკის შეერთებული შტატების ლინკოლნის უნივერსიტეტის პროფესორი. ამერიკაში პენსილვანიის შტატის ქალაქ ფილადელფიაში არსებული პოლიტიკის საერთაშორისო ინსტიტუტი გარი ჩაფიძის სახელობისაა. იგი ახლახან აირჩიეს იაკობ გოგებაშვილის სახელობის საქართველოს პედაგოგიური კავშირის ხელმძღვანელად, სასწავლო-საგანმანათლებლო სისტემაში საკუთარი შესაძლებლობების ძიება გარი ჩაფიძისათვის თვითმიზანი არ არის. იგი ჩვენი ქვეყნის სოციალურ-კულტურული ყოფიდან გამომდინარე, ქართველი ახალგაზრდების ბედით დაინტერესებული, აარსებებს ისეთ სასწავლო ცენტრებს, სადაც მომავალი თაობა პროფესიულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს შეიძენს.

საქართველოს 11 რაიონში უკვე შეიქმნა და წელს პირველ კურსდამთავრებულთა ნაკადს გაუშვებენ სასწავლო ცენტრები, რომელთაც აქვთ კომპიუტერული სწავლების, დაცვა-პარულირების, მედდების მომზადების სპეციალობები. საყურადღებოა, რომ სასწავლი პროცესიდან და ხანგრძლივობიდან გამომდინარე, წელსაც არის მიღება განსხვავებულ სპეციალობებზე. კერძოდ სასწავლო ცენტრში, სადაც უკვე 800-მდე მოსწავლეა,დაფუძნდა ახალი მიმართულება - ეროსი მანჯგალაძის სახელობის კინოსა და თეატრის სპეციალობა, რომელიც თეატრალური სტატუსის მქონე დამწყებ მსახიობებს, ჯერჯერობით ქალაქ რუსთავს გაუზრდის, შემდგომ კი, ასეთი ფაკულტეტები სხვადასხვა რაიონში არსებულ ცენტრებსაც დაემატაება. საექსპრიმენტო პერიოდი გავლილია. რუსთავის სასწავლო ცენტრმა პოტენციური შემოქმედებითი შესაძლებლობები უკვე მოსინჯა და გამოავლინა კიდეც... უკრაინა, საქართველოს მსგავსად, უდიდესი თეატრალური ტრადიციების ქვეყანაა, სადაც ძალიან ხშირად იმართება საერთაშორისო დონის თეატრალური ფესტივალები.

დნეპროპეტროვსკის ოლქის ქალაქ დნეპროდერჟინსკში ჩატარდა საერთაშორისო პესტივალი თემაზე - „ კლასიკა - დღეს “. რუსთავის სასწავლო ცენტრშიც მოვიდა მოწვევა მონაწილეობისა, შეირჩნენ სტუდენტები, შეირჩა თემა, მოიწვიეს პროფესიონალი რეჟისორი ჯული ოშხერელი და დაიწყო სამზადისი.

აკაკი წერეთლის „კინტო და ბუტიაობა“ კომედიური ჟანრის ორმოქმედებიან სპექტაკლად მომზადდა, რომელშიც მონაწილეობდნენ პედაგოგი ელენე ქიბროწაშვილი, სტუდენტები ნანა მაჭარაშვილი, ვერიკი მაისურაძე, გიორგი ჯიქიძე, ანა გაგელაშვილი და...

სპექტაკლში მონაწილე ერთ-ერთი სტუდენტი, მთა-

ვარ როლს რომ ასრულებდა, ფეხის ტრავმის გამო უკრაინაში გამგზავრების წინა დღეს გამოეთიშა შემოქმედებით ჯგუფს. აღნიშნული როლის შესრულება იკისრა და ტექსტი თვითმფრინავში ისწავლა ინსტიტუტის რექტორმა პროფესორმა გარი ჩაფიძემ.

მოწვევა მიღებული გვქონდა. ჩვენი მონაწილეობის შესახებ უკრაინის მხარემ უკვე ოფიციალურად იცოდა, სხვა გზა არ მქონდა, სპექტაკლის გმირის ილიას როლი ორ-სამ საათში გავითავისე თვითმფრინავით ფრენისას, - ამბობს ბატონი გარი.

უამრავი ქვეყნიდან მოწვეულ შემოქმედებით დელეგაციებს შორს მოწონება დაიმსახურა და ერთგვარი აჟიოტაჟიც გამოიწვია აკაკი წერეთლის კლასიკურ ლიტერატურულ მასალაზე შექმნილმა მშვენიერმა სპექტაკლმა და იმ ფაქტმა, რომ მთავარ როლში სოლიდური პიროვნება, თავად რექტორი მონაწილეობდა.

ქართული სპექტაკლის ჩვენება მრავალდღიან ფესტივალში 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისათვის დაიგეგმა, რამაც გარკვეულწილად ამაღლებული განწყობა შექმნა სტუმრებსა და მასპინძლებს შორის ყველასთვის გასაგებ თემაზე, სიყვარულზე დადგმულ სპექტაკლს, დიდი მოწონება ხვდა წილად, რის გამოც ფესტივალის შემაჯამებელ საღამოზე საქართველო-უკრაინის სოციალურ ურთიერთობათა ინსტიტუტი სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა, ხოლო ინსტიტუტის რექტორს პროფესორ გარი ჩაფიძეს აღნიშნული ფესტივლის ფარგლებში მაყურებელთა სიმპატიის სპეციალური საპატიო ჯილდო გადაეცა. შემოქმედებითი დელეგაციის ყველა მონაწილეს, მათ შორის სპექტაკლის რეჟისორს, ჯული ოშხერელს, პედაგოგს ელენე ქიბროწაშვილს, ორგანიზაციულ მხარდამჭერს, დუშეთის სასწავლო ცენტრის განათლების ხარისხის მართვის სამსახურის უფროსს,

პედაგოგ თამარ ალუდაურს ხაზგასმული მადლობა გადაუხადეს ახალგაზრდების თანადგომისთვის. უამრავი საჩუქარი, რევერანსი და აპლოდისმენტიც დაიმსახურეს ქალაქ დნეპროდერჟინსკის ოფიციალური პირებიდან და ფესტივალის ორგანიზატორებიდან, რაც უდავოდ სიამაყის საბაბია.

... მდინარე დნეპრის ორივე მხარეზე გაშენებული ქალაქი ნამდვილად ორიგინალურია, მარჯვენა სანაპიროზე მსოფლიო მნიშვნელობის სამრეწველო ობიექტებია, მარცხენა სანაპიროზე მოსახლეობა ცხოვრობს. ქალაქს აქვს საამაყო ისტორია, ჰყავს უამრავი მეცნიერი, ღვაწლმოსილი ადამიანი პოლიტიკოსი, მათ შორის საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერი ლეონიდ ბრეჟნევი ამ ქვეყნიდანაა და აქვს ულამაზესი დღევანდელობა ძლიერი ეკონომიკით, სოციალური ყოფით, კულტურით, მეცნიერული მიღწევებით, ქართული დელეგაცია იქ ყოფნის მანძილზე მუდმივად გრძნობდა სიყვარულსა და მხარდაჭერას, რაც კონკრეტულად მიღების, დაბინავების, ურთიერთობების დროს ხაზგასმულად გამოიხატა. მაღალი კლასის სასტუმრო, კვება, ბანკეტები, სეირნობა, შეხვედრები, დათვალიერება-უფასოდ, სხვა დელეგაციებისგან განსხვავებით, რაც, ასევე თვით გარი ჩაფიძის მიმართ გამოხატული ერთგვარი პატივისცემის ჟესტი იყო.

... ფესტივალი დამთავრდა , ფესტივალი გრძელდება...

ადგილობრივმა მედიასაშუალებებმა ყველაფერი ვრცლად გააშუქეს, მსახიობ რექტორზე კი განსაკუთრებით გაამახვილებინეს ყურადღება მკითხველს, მსმენელსა თუ მაყურებელს. „ჩემი ტავრია“ - ასეთი სახელწოდებით გაიმართება მომავალ წელს საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი უკრაინაში, კერძოდ, ქალაქ ხერსონში, რომელშიც აუცილებლად

მიიღებენ მონაწილეობას რუსთაველი და არა მხოლოდ რუსთაველი მოსწავლე-მასწავლებლები. სპექტაკლის სცენარს ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას“ მიხედვით თვით გარი ჩაფიძე ამზადებს, 80 სამეცნიერო წიგნის ავტორს, შემოქმედს.

აქვს სურვილი და ამბიციაც, რომ თეატრალურ ხელოვნებაშიც გამოსცადოს თავისი შესაძლებლობები.

წინ მთელი ცხოვრებაა უამრავი მიზნით და ოცნებით. გარი ჩაფიძისთვის არ არსებობს პატარა და დიდი საქმის ცნება, იგი ყველაფერს უდიდესი გატაცებით აკეთებს. მისი მრავალწლიანი ფიქრის ნაყოფია რუსთავის აკადემიური ქალაქიც, უახლოეს თანამოაზრეებსაც კი წლების წინათ უტოპია, რომ ეგონათ.

ასე კი ეგონათ, მაგრამ რეალობა სხვაა: რუსთავის ერთ - ერთი ნაგავსაყრელის (300 სატვირთო მანქანით გაიტანეს ნაგავი) გაწმენდისა და გასუფთავების შემდეგ იქ მინი აკადემიური ქალაქი გაშენდა სადაც ყველაფერი გამიზნულია ახალგაზრდა თაობისთვის. აქ, ჩაფიქრებული, საბავშვო ბაღიდან დაწყებული - უმაღლესი, ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ჩათვლით, ყველას გავლას შეძლებს მსურველი. ჰო, საბაშვო ბაღიდან დაწყებული...რომელიც მოქმედ ავიალაინერში, თვითმფრინავ-იაკ-40-ში გაიხსნა.

შენობები აშენდა, კიდევ შენდება, მოეწყო და გალამზდა ტერიტორია, პირველი კურსდამთავრებულები სულ ჩქარა მიიღბენ სამენოვან სერთიფიკატს - ქართულ, უკრაინულ და ინგლისურ ენოვანს.

სასწავლო საგანმანათლებლო სისტემის სიახლეს ქალაქ რუსთავის ხელმძღვანელებიც უჭერენ მხარს, გარი ჩაფიძე უკრაინის საერთაშორისო რეგიონალური აკადემიის ქალაქ რუსთავის საკონსულტაციო ცენტრის დირექტორია. მან სულ ახლახან გამოსცა პირვე-

ლი უკრაინულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული, რომელსაც დღემდე ანალოგი არ გააჩნია!

მეცნიერი, რექტორი, სცენაზე და სპექტაკლის მთავარ როლში!

და ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდული მსოფლმხედველობა და გატაცებები თავის საკუთრებად აქციოს, იცხოვროს იმათი ინტერესებით, ვისთვისაც ქმნის და აშენებს, გაითავისოს ის პირობები და წინააღმდეგობები, რაც უნდა დაიძლიოს თაობათა კავშირით. და ყველაზე მთავარი - სასწავლებელში მოსულ ახალგაზრდებს შეაყვაროს ეროვნული ღირებულებანი“ თითოეულ საზოგადოებას გააჩნია საკუთარი ღირებულებები. მათ ჩამოყალიბებას განაპირობებს ისტორიული წარსული და კულტურული მემკვიდრეობა, ისევე როგორც ყოველდღიური ცხოვრება და თვითონ საზოგადოების შემადგენელი ინდივიდები. დაკვირვების შედეგად მივალთ იმ დასკვნამდე რომ , სხვდასხვა საზოგადოებაში ღირებულებები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად ამერიკულ საზოგადოებაში ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს პიროვნული წარმატება, როცა აფრიკის ზოგიერთ ტომში უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ჯგუფურ წარმატებას. ინდუსტრიულ საზოგადოებებში გაქრობის გზას ადგას ისეთი ღირსებები როგორიცაა: ერთგულება, მეგობრობა, ხელგაშლილობა, სიყვარული. დღეს უფრო აქტუალურია: - მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა, ცივსისხლიანობა... როგორია საქართველოს მდგომარეობა ამ ასპექტში? როგორი სახეცვლილება განიცადა ქართულმა კულტურულმა ღირებულებებმა? დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ ქართული საზოგადოება ჯერ-ჯერობით გაურკვევლობაშია. მას სურს ტრადიციების შეცვლა ან გათანამედროვეობა, მაგრამ ამავდროულად კარგად ვერ აცნობი-

ერებს მსოფლიოში გაბატონებული თანამედროვე ღირებულებების რეალურ არსს. ჩვენ განვიხილავთ ქართულ ტრადიციულ ღირებულებებს, რომლებიც ისტორიულად დამკვიდრდა ჩვენს საზოგადოებაში და ვნახავთ, თუ რა სახის ცვლილება ან დეგრადაცია განიცადა თითოეულმა მათგანმა.

პატრიოტიზმი - ნებისმიერი ქართველი გიპასუხებთ, რომ მისთვის მთავარია ერთგულება. ეს მართლაც ასეა. გადავხედოთ თუნდაც ისტორიას:ერგული ადამიანები ყოველთვის ფასდებოდნენ და მათ გმირებათაც კი რაცხავენ (ცოტნე დადიანი, დემეტრე თავდადებული) მოღალეტები კი ყოველთვის იდევნებოდნენ ქართულ საზოგადოებაში და მათ საკმაოდ მკაცრადაც სჯიდნენ (გავიხსენოთ კახაბერ ყორღანაშვილი, რომელიც საჩინო ბარათაშვილმა კლდიდან გადააგდო, ღალატისათვის). პარადოქსია, მაგრამ ერთგულების დაფასების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი მოღალატეების საკმაოდ დიდი რაოდენობაც გახლდათ.

სტუმართმოყვარეობა - ქართველი ოდითგანვე გახლდათ სტუმართმოყვარე. სტუმარ-მასპინძლის ინსტიტუტი იმდენად მძლავრი იყო, რომ ხანდახან სტუმრად მოსულ მტერსაც კი არაფერს შეჰკადრებდა ქართველი. ვაჟა ფშაველას მშვენივრად აქვს აღწერილი ქართული სტუმართმოყვარეობა პოემაში ,,სტუმარ-მასპინძელი''.

კომუნიკაბელურობა - ქართული საზოგადოებისთვის მიუღებელია კარჩაკეტილი ცხოვრება. აუცილებელია მეზობლობა მეგობრობა... ადამიანები ერთმანეთს გვერდში უნდა ედგნენ ჭირშიც და ლხინშიც... ძველი ქართული სოფლები მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება ურთიერთდახმარებით იარსებოს საზოგადოებამ, ერთი ადამიანის გაჭირვება მეორე ადამიანის გაჭირვებაცაა. კომუნიკაციის გარეშე ადამიანი გარი-

ყულია.

კონსერვატიზმი - ტრადიციების და ადათ-წესების დაცვა ქართველთა უმთავრესი საზრუნავია! ჩვენ ყოველთვის ვერიდებოდით რამე ახლის მიღებას, თავგამოდებით ვიცავდით მამა-პაპურ ადათ-წესებს, წეს-ჩვეულებების დაცვა უმთავრესი გახლდათ ალექსადრე ყაზბეგის მოთხრობაში,,ხევისბერი გოჩა"მამა საკუთარ შვილს კლავს თემური ცხოვრების წესის დარღვევისათვისთვის და მამაპაპური ტრადიციების უგულებელყოფისათვის.

რელიგიურობა /მართლმადიდებლობა/ - ქართველი მუდამ რელიგიასთან აკავშირებს საქართველოს წარმატებას თუ წარუმატებლობას. წარმატებული მეფე ღვთისგან კურთხეული იყო, ხოლო წაგებული ბრძოლა ჩვენი ცოდვების საზღაური გახლდათ. ქართველი მუდმივად იბრძოდა მართლმადიდებლობისთვის, ყოველთვის მიაჩნდა იგი ერთადერთ ჭეშმარიტ რელიგიად. ქართული საზოგადოებისთვის წარმოუდგენელია ქართველობა მართლმადიდებლობის გარეშე.

ხელგაშლილობა - ეს ღირებულება გარკვეულწილად სტუმართმოყვარეობასა და კომუნიკაბელურობასთან პირდაპირ კავშირშია, ძუნწი ადამიანი ყოველთვის გარიყული იყო ქართულ საზოგადოებაში" რასაცა გასცემ შენია რაც არა დაკარგულია"– გვასწავლის სულმნათი რუსთაველი ალბათ არცერთ სხვა საზოგადოებაში არ არის დაფასებული ხელგაშლილობა ისე როგორც საქართველოში.

ზემოთ ჩამოთვლილია ქართული ღირებულებები ისტორიულ ასპექტში.მე–19 საუკუნიდან ამ ღირებულებებმა საგრძნობლად იცვალეს სახე და შეიძლება ითქვას ფსევდო–ღირებულებათაც კი გადაიქცნენ.

ეროვნული ღირსებების სახე დღეს ასეთია:

პატრიოტიზმი - სამწუხაროა მაგრამ რეალობაა–ქართველთა უმრავლესობას სამშობლო მხოლოდ სადღეგრძელოებში და ლექსებში უყვარს, ქართველი აღარ არის საკუთარი ქვეყნისა და ერის ერთგული.სიტყვით ყველა ქართველი პატრიოტია,საქმით კი სულ სხვაგვარი მდგომარეობაა... 90 პროცენტი სიამოვნებით გამოიყენებს ქვეყნის დატოვების პირველივე რეალურ შანსს.ქვეყანა იცლება ქართველებისგან, რაზეც მეტყველებს სტატისტიკური მონაცემები, რომლის მიხედვითაც ბოლო 15 წლის მანძილზე მოსახლეობის ქართული შემადგენლობა დაახლოებით ერთი მილიონით შემცირდა.ყოველდღიურ ცხოვრებაში გაუფასურდა ერთგულების მცნება. თითოეული ადამიანი

თავისი მიზნებისთვის ადვილად უღალატებს მეორე ადამიანს. საზოგადოება უფრო ლმობიერი გახდა ,,მოღალატეების'' მიმართ.

ერთი შეხედვით, ქართველი ერი ისევ სტუმართმოყვარეა, გულღიად ხვდება ყველას და ბოლო კაპიკებსაც კი ხარჯავს მის გასამასპინძლებლად. რეალურად კი ეს ყველაფერი ერთ დიდ სპექტაკლს ჰგავს, რომლის მიზანია პიროვნების მიერ საზოგადოებაში დამკვიდრებული იმიჯის შენარჩუნება, რას გულისხმობს სტუმარ–მასპინძლობა–სტუმრისთვის ყველაფრის მიცემას და ოჯახის მშიერ დატოვებას? სტუმარ–მასპინძლობა ტრადიციული გაგებით ნიშნავს განაწილებას, საკუთარი შესაძლებლობებისამებრ გამასპინძლებას და არა ,,გადაყოლას''. რა ხდება დღეს ქართველი ისესხებს ფულს და მდიდრულად გაუმასპინძლდება სტუმარს, მომდევნო ორ თვეს კი ვალების გადახდაში გაატარებს,ცოლ–შვილს ლუკმა პურს მოაკლებს... ასეთი სტუმარ–მასპინძლობა საერთოდ ეწინააღმდეგება ტრადიციულ გაგებას. დღეს არასწორად გვესმის ეს მცნება და ხშირ შემთხვევაში სტუმარ – მასპინძლობა

პირფერობაში და ბაქიაობაში გადაგვდის.

კომუნიკაბელურობა - კომუნიკაბელურობა ასე თუ ისე ინარჩუნებს თავის ნამდვილ სახეს, საქართველოში კვლავ არ უყვართ კარჩაკეტილი ცხოვრება. მეზობლობის ინსტიტუტი კვლავ არსებობს (შედარებით განსხავებულ ფორმებში), ადამიანები შეძლებისდაგვარად უდგებიან ერთმანეთს მხარში, თუმცა ისევე როგორც ყველაფერი, ეს ღირსებაც ოდნავ დეგრადირდა. ამის მიზეზი ალბათ მძიმე სოციალური პირობებია – რთულია გვერდში დაუდგე სხვას,როდესაც შენ თვითონ უკიდურესი სიღარიბის ზღვარზე დგახარ.

კონსერვატიზმი - ადათ-წესების შენარჩუნება კვლავ მთავარ საზრუნავად მიგვაჩნია. თუმცა თვალში საცემია საზოგადოებაში დამკვიდრებული ტენდენცია-ტრადიციის არასწორი ინტერპრეტაცია. პრობლემის უკეთ გასაგებად მოვიყვანოთ რამოდენიმე მაგალითი:

ქართული სუფრა - ხშირად შეხვდები ქართულ სუფრაზე,,მოძალადე ელემენტებს'': ,,დალიე რა, ქართველი არ ხარ ?'' კიდევ - ,,ქართველობა ძნელია ძმაო-,აბა რა გეგონა?!''. რა ფენომენთან გვაქვს საქმე? პასუხი მარტივია -ეს არის ტრადიციის დამახინჯება და არასწორი ინტერპრეტაცია.ცნობილი ფაქტია,რომ ქართული სუფრის კანონი ითვალისწინებდა მხოლოდ 3 სადღეგრძელოს დალევას, ქეიფი გრძელდებოდა თითქმის მთელი დღე მას თან ახლდა გართობა, ცეკვა, თამაში და შაირობა. როგორ გამოიყურება დღევანდელი ''სუფრა,,? თეფშზე დაძინებული მამაკაცები, სამზარეულოში ,,მოფუსფუსე''ქალები, ლიმონათის ბოთლებით მორბენალი ბავშვები და უყურადღებოდ დატოვებული სუფრასთან მსხდომი მანდილოსნები-მამაკაცებს მათთვის აღარ სცალიათ რადგან ,,ცოტა'' ზედმეტი მოუვიდათ...

ქართული სუფრის დღევანდელი სახე სრული ანტიპოდია ქართული ტრადიციისა.

ქალიშვილობის ინსტიტუტი - ქართული ტრადიციები მოითხოვს, რომ ქალს მამაკაცთან სექსუალური ურთიერთობა ჰქონდეს მხოლოდ ქორწინების შემდეგ, ჩვენ ამ ტრადიციას ვიცავთ, ისე რომ არ ვცდილობთ უფრო ღრმად გავაანალიზოთ იგი და რაიმე ცვლილება შევიტანოთ მასში, ეს ტრადიცია საუკუნის წინ დამკვიდრდა საქართველოში.ყურადღება მინდა გავამახვილო ფააქტზე,რომ ძველად საქართველოში მანდილოსნებს ათხოვებდნენ 14-15წლის ასაკში,შესაბამისად მათთვის არ წარმოადგენდა არანაირ პრობლემას ამ წეს-ჩვეულების დაცვა.რა ხდება დღეს: 14წლის ასაკში აღარავინ არ თხოვდება (ერთეული გამონაკლისების გარდა)ზოგი კი საერთოდაც ვერ თხოვდება (გარკვეული სოციალური მიზეზების გამო). სექსუალური კავშირის არქონა კი იწვევს უამრავ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ

დაავადებას.გასათვალისწინებელია ის ფაქტი,რომ ძველად საქართველოში თითქმის ყველა ქალი თხოვდებოდა და მათ შესაბამისად არასდროს არ ჰქონდათ სექსუალური პრობლემები(გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რაიმე თანდაყოლილი ნაკლი გააჩნდათ). ქალიშვილობის ინსტიტუტის არასწორი

ინტერპრეტაცია და გაგება იწვევს დღევანდელ საზოგადოებაში მცხოვრები მდედრობითი სქესის ადამიანების გარკვეულ პრობლემებს.კონსერვატიზმი

კარგია, მაგრამ ხანდახან საჭიროა ტრადიცია დროის განვითარებასთან ერთად მოდიფიცირდეს.

ამ ორი მაგალითის საფუძველზე კარგად ჩანს, თუ როგორ არასწორად ესმის საზოგადოებას კონსერვატიზმი.

რელიგიურობა/მართლმადიდებლობა - რელიგიაზე გამუდმებით საუბარი დღესაც დამახასიათებელია ქა-

რთული საზოგადოებისთვის.ჩვენს დროშიც წარმოუდ-
გენელია ქართველობა

მართლმადიდებლობის გარეშე. თუმცა არის ერთი მაგრამ-საზოგადოებამ დაკარგა ჭეშმარიტი რწმენა. ისევე როგორც სტუმარ-მასპინძლობა,ერთგულება და კონსერვატიზმი, რწმენაც გადაიქცა თვალთმაქცობის და საკუთარი თავის მოტყუების საშუალებად.

უმეტესობას ჰგონია, რომ ორშაბათს ჩადენილ მძიმე ცოდვას შაბათ-კვირას წირვაზე დასწრებით და აღსარების თქმით გამოისყიდის. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის რომ ვიცხოვროთ რელიგიურად, ოღონდ რელიგიური წესების დარღვევით. რელიგიურად ცხოვრება გადაიქცა საზოგადოებაში სატარებელ ნიღბად და ქვეყნის ერთ-ერთი უბედურება სწორედ ამაში მდგომარეობს.

ხელგაშლილობა - ხელგაშლილობაც გადამეტებულად გვესმის. ხელგაშლილობა არ ნიშნავს ყველაფრის სხვისთვის მიცემას. დღეს ეს ღირებულება გარკვეულწილად ასეა გაგებული, რეალურად ხელგაშლილი ადამიანები, ისეთი რომლებიც გულით გასცემენ მონაპოვარს (როგორც თინათინი ,,ვეფხისტყაოსანში''), საქართველოშიც თითზე ჩამოსათვლელად დარჩნენ. დღეს საზოგადოებაში არ არის ცხოვრების ის პირობები,რომ ადამიანმა სხვაზე იფიქროს.თითოეული წევრი საკუთარი თავის გადარჩენისთვის იბრძვის.''ხელგაშლილობის,, მაგალითები ხშირ შემთხვევაში თვალთმაქცობის გამოვლენაა, როდესაც ერთი ადამიანი თავს იწონებს საკუთარი შესაძლებლობებით და საზოგადოების თვალში ამაღლება სურს, თუმცა არიან ჭეშმარიტი მეცენატებიც, რაც ძალიან იშვიათი და მისაბაძია.

ჩვენ განვიხილეთ ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი რამოდენიმე ღირებულება.ვნახეთ თუ

რაოდენ დეგრადირდა საზოგადოებაში ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების გაგება. ჩემი აზრით ქართულ საზოგადოებას უჭირს არჩევანი გააკეთოს ეროვნულ ტრადიციებსა და ლიტერატურულ კულტურას შორის. შინაგანად ქართველი ერი აზიატია, ლიბერალურ გარეგნულად ევროპისკენ მიიწევს, ეს იწვევეს უდიდეს კონფლიქტს ფასეულობებს შორის, რასაც საბოლოოდ მივყავართ ღირებულებათა გადაგვარებისა და საზოგადოების დეგრადირებისკენ,არადა ქართველმა ქართველობა, ქართული აღზრდა და გენი არასოდეს არ უნდა დაკარგოს, სულმნათი ილიაც ამას გვასწავლის:-,,ერის დაცემა მაშინ იწყება,როდესაც ის თავის ისტორიას ივიწყებს''

საიდუმლოებებით მოცული და არაპროგნოზირებადია ადამიანის მეხსიერება.ხანდახან ძალებს არ ზოგავ იმისთვის, რომ მოსწავლემ დაიმახსოვროს სწორედ ეს, ის და არა სხვა რამ, მაგრამ რატომღაც მას ამახსოვრდება სულ სხვა რამ, ხოლო ,,ეს'' და ,,ის'' მეორე პლანზე გადაინაცვლებს.

ჩემი ახალგაზრდა კოლეგები, თურმე დააინტრიგა (ამიტომაც ალბათ დაამახსოვრდათ) ისე წამოსროლილმა ფრაზამ: ,,ოდესმე მოგიყვებით ტოლსტოის დღიურების, აკაკის ჩანაწერების, სუხომლინსკის უბის წიგნაკის, ჩემი საკუთარი ბლოკნოტების და პედაგოგიური დიალოგების შესახებ'' გავიდა კვირეები, თვეები... და აი, მოულოდნელი თხოვნა: მოგვიყევით ბლოკნოტებზე! უნდა ვაღიარო, მე უკვე აღარც მახსოვდა საკუთარი დანაპირები. სერიოზულად ალბათ არც მიფიქრია მასზე: უბრალოდ მინდოდა აქცენტირება გამეკეთებინა, პედაგოგისა, მეხსიერების განვითარებაში.

-რა გაეწყობა მოგიყვებით ტოლსტოის დღიურებისა და აკაკი წერეთლის ჩანაწერების შესახებ...

-საკუთარ ბლოკნოტებზეც!-არ ცხრებოდა აუდი-

ტორია, იმ დღეს მე გავიგე რაღაც მნიშვნელოვანი, ჯერ ეს ერთი, არ უნდა დააინტრიგო დაპირებებით და მერე დაივიწყო ეს დაპირება, იმ იმედით, რომ სხვებიც მიივიწყებენ; მეორეც-მაძიებლები და თანაც რაღაცის მწერალი რაღაც უფრო მეტად საინტერესოა(ახლოა), ლექტორ სტუდენტებისათვის ვიდრე თავად ტოლსტოი და თუნდაც აკაკი...

... ამ შეხვედრაზე მე მივდიოდი არა ტომეულით აკადემიური გამოცემებისა, არამედ დრო-ჟამის მიერ გაცვეთილ-გაცრეცილი

ბლოკნოტებით. ვფიქრობდი გზაში: ყველაფერი წავიკითხო, თუ ფრაგმენტები მხოლოდ? გადავწყვიტე: ყველაფერი! რასაც აქვს კავშირი ჩემთან, როგორც პედაგოგთან. დაე, იყოს ეს ლექცია პედაგოგიური დღიურისა ან ბლოკნოტისა. მინდოდა მესწავლებინა სტუდენტებისათვის, ხელოვნება ნამდვილად მუშა და მომუშავე დღიურისა. მაგრამ დაე, ეს იყოს არა მხოლოდ საუბარი და არა კითხვა კომენტარებით,არამედ ნამდვილი ლექცია ეს ნიშნავს,რომ საჭიროა თამამად ... დაიწყო ლექცია განცალკევებული, მაგრამ ერთმანეთთან ერთი თემით დაკავშირებული ,,დაკვირვებისა,'' ,,შენიშვნისა,'',,ნაფიქრალისა.''

ერთხელ 50 კაციანი სემინარის მსვლელობისას, როდესაც პედაგოგიური განვითარების ამ სემინარის ფარგლებში ,, მწვერვალს'' მივუახლოვდი, მოულოდნელად ლექცია შევწყვიტე და აუდიტორიას ჯგუფური სამუშაო შევთავაზე...ყველას ბუშტები დავურიგე,რომელზეც თითოეულ მათგანს მარკერით თავისი სახელი უნდა დაეწერა, ბუშტები გვერდით ოთახში გავიტანე, ერთმანეთში ავრიე და დავალების არსი

გამოვაცხადე:- 5წუთის განმავლობაში ყველას ,,თავისი სახელის'' ბუშტი ეპოვა... გამალებით ეძებდნენ თავის სახელს, ერთმანეთს ეჯახებოდნენ,ხელს კრავდ-

ნენ...იყო სრული ქაოსი... მაგრამ რეგლამენტის ამოწურვის შემდეგ ვერცერთმა მსმენელმა,,თავის ბუშტს'' ვერ მიაგნო,მაშინ ვთხოვე აუდიტორიას აეღოთ ნებისმიერი ბუშტი,რომელიც ხელში მოჰყვებოდათ და გადაეცათ იმ პიროვნებისთვის ვისი სახელიც იქნებოდა მასზე... 5-წუთის შემდეგ ყველას ჰქონდა ,,საკუთარი ბუშტი'' და სწორედ მაშინ დავმოძღვრე სტუდენტები, რომ ასე ხდება ჩვენს რეალურ ცხოვრებაში,ირგვლივ ყველა გამალებით ეძებს ბედნიერებას,თუმცა არავინ იცის ის სად არის, ჩვენი ბედნიერება კი სხვა ადამიანთა ბედნიერებაშია, მიეცით მათ ბედნიერება და ჩვენ მივიღებთ საკუთარს... ეს არის ადამიანის სიცოცხლის აზრი...

- როდესაც მეკითხებიან თუ რა არის პეაგოგიკაში ჩემი მთავარი წარმატება, პირუთვნელად ვამბობ იმას,რომ პრაქტიკით დავამტკიცე, ყოველი სტუდენტი, საინტერესოა და მას უნდა სწავლა.

- ჩართო სტუდენტი სალექციო კურსის მსვლელობაში, ეს ნიშნავს ყველაფერი მოაწყო ისე, რომ დროებით დაივიწყოს, რომ ეს ლექციაა და ის ლექციაზეა...

ერთხელ გლეხმა საფულე დაკარგა, რომელშიც სიმწრით ნაგროვები ფული ედო. მთელი სახლი გადააბრუნა, მაგრამ საფულეს ვერსად მიაკვლია. ამის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ მისი საფულე მოიპარეს... დაჯდა და დაწყო ფიქრი, თუ ვის შეეძლო მოეპარა საფულე. გაიხსენა ყველა,ვინც იმ დღით იყო მასთან მისული და ბოლოს გადაწყვიტა რომ იცის ვინც არის ქურდი...ეს იყო მეზობლის ბიჭი. სწორედ მეზობლის ბიჭმა მიუტანა მას იმ დღეს წერილი და აქედან გამომდინარე, საფულეც მისი მოპარული იყო.

მეორე დღეს გლეხი ქუჩაში შეხვდა ეჭვმიტანილ ყმაწვილს და გამოელაპარაკა, გლეხმა ბევრი დამადასტურებელი ფაქტი შენიშნა ყმაწვილში. მეზობლის

ბიჭი აშკარად უხერხულად გრძნობდა თავს და თვალს არიდებდა გლეხის გამჭოლ მზერას, ერთი სიტყვით თითოეული ჟესტი და მოძრაობა ქურდს ააშკარავებდა მასში, მაგრამ გლეხს არანაირი სამხილი არ გააჩნდა და პირდაპირ ვერ ადანაშაულებდა ბიჭს. ყოველ შეხვედრაზე ბიჭი სულ უფრო და უფრო დაბნეულის და დამნაშავის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რაც სასტიკად აღიზიანებდა გლეხს.

ბოლოს და ბოლოს მოთმინების ფიალა აევსო გლეხს, ბიჭის მამასთან მისვლა და ყველაფრის მოყოლა გადაწყვიტა ის - ის იყო გაემზადა მოხუცი მეზობელთან გასასვლელად, ცოლმა დაუძახა

-ნახე, რა ვიპოვე საწოლის უკან,- და დაკარგული საფულე გაუწოდა. მეორე დღეს გლეხი კვლავ შეხვდა მეზობლის ბიჭს. ამჯერად ყმაწვილი, არც ჟესტებით და არც უცნაური მოძრაობებით აღარ გავდა ქურდს.

...და ამ ამბის მოთხრობის შემდეგ, ლექციაზე ვკრავ კვანძს, რომ ჩვენ ვხედავთ იმას, რაც გვსურს, რომ დავინახოთ. ის რაც ხდება ჩვენს გარესამყაროში, ჩვენი შინაგანი სამყაროს პროექციაა, იმიტომ რომ სამყარო სარკეა... და როგორც ჩვენ აღვიქვამთ მას, სწორედ ისე აღგვიქვამს ის ჩვენ!

-დისტანცია ლექტორსა და სტუდენტს შორის საჭიროა, მაგრამ ის არ უნდა იყოს კედელი, რომელსაც ვერ გადააბიჯებ,არამედ საფეხური, რომელზედაც სტუდენტები სიხარულით უნდა ავიდნენ... და რომელზედაც თავად აგვიყვანეს ჩვენ... -როგორც დამწყებ პედაგოგს,ყოველთვის მაღელვებდა ის, თუ რას ვაძლევ სტუდენტებს, ახლა მაღელვებს - რას მაძლევენ მე ისინი როცა ისინი გასცემენ და არა მე, ეს ნიშნავს, რომ იღებენ კიდევ უფრო მეტს-როგორც თავისთავად,ასევე ჩემი მეშვეობითაც.

- იყო ერთი მეფე, რომელსაც ძალიან უყვარდა თა-

ვისი დედა. ერთხელ მან ქვეყანას ამცნო თავისი გადაწყვეტილება, რომ დედის, დედოფლის და ზოგადად ყველა დედისადმი თავისი სიყვარულის და პატივისცემის ნიშნად, წელიწადში ერთ დღეს აცხადებს დედის დღედ. და აი საზეიმო დღეც დადგა. ქალაქის მთავარ მოედანზე თავმოყრილი უამრავი ხალხი ათვალიერებდა იქ გამოფენილ ხელოვნების ნიმუშებს, მხატვრების, მოქანდაკეების ნამუშვრებს, ისმენდნენ, თუ როგორ ასხამდნენ ხოტბას დედობრივ სიყვარულს პოეტები და მომღერლები. ესწრებოდნენ თეატრალურ წარმოდგენებს და ძალიან ნასიამოვნები და გახარებულები ჩანდნენ. მაგრამ თვითონ მეფე მაინც არ იყო კმაყოფილი. - რად მოგიწყენია მეფეო? ჰკითხა მას უხუცესმა ბრძენმა ვეზირმა, რომელიც ამავე დროს მისი გამზრდელიც იყო.

-ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მაინც ვერავინ შეძლო დედისა და დედობრივი სიყვარულისათვის საკმარისად ხოტბის შესხმა, ნუთუ ჭეშმარიტი ხელოვანები აღარ არიან?

-არიან მეფეო. როგორ არა,-უპასუხა ვეზირმა,- მაგრამ დედობრივი სიყვარული ისეთი დიადი და ღვთიურია, რომ მას ვერც მხატვრის ფუნჯი აღწერს, ვერც პოეტის კალამი... ყველაფერი რაც დიადია და მშვენიერი ამ ქვეყნად,დედის წყალობით არის შექმნილი, დედა-ეს არის სამყაროს უპირველესი საოცრება, იმიტომ, რომ სწორედ დედამ შობა და აღზარდა ისინი, ვინც შექმნა მსოფლიოს დანარჩენი 7 საოცრება.

აქ სტუდენტებს, ჩემი მესამეკლასელი ვაჟისადმი, სკოლაში დედაზე მიცემულ ლექსს მოვუთხრობ:

,,დედა ჰქვია დედა ციხეს,
დედაქალაქს,დედამიწას, დედაბოძს
თუ დედა ენას
დედას ძალა დედამ მისცა...

დედა უძღვის წინ ყველაფერს-
ჩვენ სალოცავს,
ჩვენს საფიცარს
რადგან ძალა დედამ მისცა
დედა იცავს დედამიწას...''

თუ წიგნი, გერცენის თქმით, ეს არის,,სულიერი მემკვიდრეობა ერთი თაობისა-მეორესადმი''-მაშინ კი არ უნდა გავართულოთ ისედაც ძალიან რთული გზები,წიგნისაკენ მიმავალი, განსაკუთრებით ახლა, როცა წიგნზე უფრო დიდი სიამოვნებით,, კითხულობენ'' კომპიუტერებსა და ტელევიზორებს.

- უნდა იყო მომთხოვნიც, მკაცრიც, სამართლიანიც და გულითადიც, შუალედი საჭიროა'' მართალია! მაგრამ რომ იყო ისიც, ისიც და ისიც... ეს უკვე შუალედი კი არა მწვერვალია! პედაგოგიკაში კი მწვერვალზე ასვლა უდიდესი ფენომენია!

- ,,მშობლებს არ ირჩევენ''! ცნობილი აქსიომაა-მაგრამ ლექტორის არჩევანის საშუალება, აუცილებლად უნდა მივცეთ სტუდენტს.

'' ავიაკატასტროფის დროს, როდესაც თვითმფრინავი ზღვაში ჩავარდა, გადარჩენილმა ცოლ-ქმარმა სამაშველო ტივტივამდე მიაღწია, მაგრამ იქ მხოლოდ ერთი ადგილი იყო.უეცრად ქმარი ტივტივზე ავიდა. ქალმა კი სიკვდილის წინ რაღაც ფრაზა დაიყვირა.,,

აქ თხრობა შევწყვიტე და მოკლე პაუზის შემდეგ სტუდენტებს ჩავეძიე: ''როგორ ფიქრობთ რა იყო ეს ფრაზა?

უმრავლესობამ თქვა: ,,ვერ გიტან''ან,, რა ბრიყვი ვიყავი რომ შემიყვარდი''.

ამ დროს ერთ-ერთი სტუდენტი შევნიშნე,რომელიც ჩუმად იჯდა და აზრი მას დავეკითხე.

''ჩვენ შვილზე იზრუნე,,!-მიპასუხა

გავვოცდი, ნუთუ იცოდა მან ეს ისტორია, სტუდენტ-
მა კი მიპასუხა

,,არა მე ეს ისტორია არ ვიცი, უბრალოდ სწორედ ეს
უთხრა მამამ დედას სიკვდილის წინ.''- თქვა ბიჭმა და
მხრები აიჩეჩა.

აღელვებულმა, ისე რომ სტუდენტებს არ შეემჩნიათ,
წყნარად ვთქვი „სწორია" და თხრობა განვაგრძე: „მამა
გადარჩა და როგორც ცოლმა სთხოვა შვილი გაზარდა.
წლების შემდეგ,როდესაც მამა გარდაიცვალა გოგო-
ნამ მისი დღიური იპოვნა,სადაც ეს წაიკითხა:

"მას საშინელი დიაგნოზი დაუსვეს, როდესაც სამოგ-
ზაუროდ მივდიოდით ეს უკვე ვიცოდით, ჩემი ცოლი
კვდებოდა, როგორ მინდოდა, რომ მის მაგივრად მე
დავმხრჩვალიყავი, მაგრამ ჩემი პატარა გოგონას გამო
ეს ვერ გავბედე.''

ამით ისტორია დასრულდა, აუდიტორიაში ყველა
სტუდენტი ჩუმად იყო, მე ვხედავდი, რომ მათ უმრავ-
ლესობას თვალები აუცრემლიანდა და მაშინ მათ პირ-
ველად გაიგეს, რომ წინასწარ არავინ უნდა განსაჯო,
რადგან სხვებზე ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით.

შთაგონებამ არასოდეს არ უნდა მიგვატოვოს ჩვენ,
იგი დაპროგრამებულია მაღალი,თუ გნებავთ უტილ-
იტარულ, მიზნით. დღეს სტუდენტები აუდიტორიაში
არიან, ხოლო ხვალ იქნებიან პედაგოგები, ექიმები, ინ-
ჟინრები.... როგორები გახდებიან ისინი-ამაზეა ჩემი
და თქვენი სიცოცხლე დამოკიდებული და საზოგადოე-
ბის ბედი, მთლიანობაში.

ველოდებოდი: აი, ახლა იქნება თავისუფალი წუთი.
გადავხედავ განვლილს, წარსულს. გავიგებ „საიდუმ-
ლოებებს," ვიტყვი მათ შესახებ. მაგრამ სულ გზაში
ვარ და გზაში. ვმუშაობ და ვმუშაობ. იგი

იმითაა საშინელი, რომ არასოდეს არ არის დას-
რულებული. მთელი ცხოვრება ემზადები და არ ხარ

მაინც მზად. გათვლას აკეთებ შემდეგ ლექციაზე და ვერ ამჩნევ,როგორ მიდიან წლები. მაგრამ მე მაინც ბედნიერი ვარ, იმიტომ რომ ყოველთვის ვცხოვრობდი და ვცხოვრობ სტუდენტებს შორის, მათთან ერთად და მათთვის.

გაკვეთილის უმწარესი წუთი მოსწავლის არაფრისმთქმელი თვალების დანახვაა, ამიტომ ყოველ გაკვეთილზე ვიბრძვი არა სიჩუმისთვის,დისციპლინისთვის, უსიტყვო მორჩილებისათვის, არამედ ინფორმაციის, მოსწავლის ყურადღების მიპყრობისათვის.

გამოცდილებით ვიცი: ყოველი ბავშვი თავისებურად „ძნელადაღსაზრდელია.“ ამიტომ მათი ყურადღების დაუფლება მათსავე დაპყრობას ნიშნავს, მაგრამ როგორ? ამას მხოლოდ ის მიხვდება, ვინც ბავშვთან უბრალოდ კი არ მივიდა, არამედ გამოეცხადა მათ და გამოსავალსაც ყოველთვის იპოვნის. ერთ დროს ისიც ხომ ისეთივე იყო, როგორიც დღეს მისი მოსწავლეები არიან. ამიტომ კლასში უნდა შეხვიდე ისეთივე, როგორიც ერთ დროს იყავი, ოღონდ უკვე გაზრდილი, დაბრძენებული, უნდა შეძლო ყველაფერს შორეული ბავშვობის თვალით შეხედო და ერთმანეთს შეუპირისპირო ის, რაც ბავშვებს ახლა უნდათ, და ის, რაც მომავალში ენდომებათ; იმ ხელოვნური პედაგოგიურობის გარეშე, რაც პირველკლასელებსაც კი გუნებას უშხამავს. ყველაზე ძნელია შეიყვარო ბავშვის ასაკი, უფრო სწორად, თავად ის - ბავშვი. აქ მთელი სიბრძნე ბავშვებთან, ესე იგი შენს საქმესთან დამოკიდებულებაშია, ეს დამოკიდებულება უცებ გადაედება კლასს და მაშინვე გადაიქცევა ხოლმე გაკვეთილისადმი, წიგნისადმი, მოსწავლის დამოკიდებულებად... მაგრამ ისევ ეს,,ძნელადაღსაზდელები?!’’-თუმცა, ჩემთვის ამ სიტყვის გამოყენება, უხერხულობას იწვევს, რამეთუ

,,ძნელადაღსაზრდელები'' არ არსებობენ,, ადვილი შესაძლებელია, არსებობდნენ რთული ბავშვები, რომ-ლებთან ურთიერთობაზეც ბევრი ჩემი კოლეგა თავს იკავებს,ეს ყოვლად დაუშვებელია, ეს იგივეა ექიმებმა რომ უარი თქვან რთული ოპერაციების

ჩატარებაზე, ან პოლიციელებმა საშიშ დამნაშავეთა დაკავებაზე...დაუშვებლად მშობლების მიერ სასწავ-ლო პროცესში ეხეშად ჩარევაც მიმაჩნია,დიახ გაზ-რდა და აღზრდა ერთმანეთში არ უნდა აგვერიოს... ამიტომაცაა აუცილებელი პედაგოგიკაში ინოვაცი-ური გარემოს დანერგვა, დიახ განათლებაში ინო-ვაციური პროცენტების კვლევისათვის დიდი მნიშვნ-ელობა აქვს ცნებას,,საზოგადოებრივი ინოვაციური გარემო,''რომელშიც წარმოიქმნება ინოვაციური პრო-ცესები.ეს ცნება იშლება სამ ძირითად ასპექტად-სო-ციალურ-ეკონომიური, ფსიქოლოგიური და ორგანი-ზებულ-მმართველობითი. ეს ასპექტები ახასიათებენ ინოვაციური პროცესების მიმდინარეობის სხვადასხვა პირობებს, მის საერთო სოციალურ კლიმატს, რომელ-იც ხელს უწყობს ან უშლის ამ პროცესებს წარმოქნასა და რეალიზებაში... ინოვაციური პედაგოგიური პრო-ცესების ტოპოლოგია შეიძლება მოწოდებული იქნას სხვადასხვა საფუძვლების მიხედვით. უპირველესად ეს მიმართულებები ჩნდებიან განათლებისა და აღზ-რდის მიზნებსა და პროცესებში, ცვილებები განათლე-ბასა და აღზრდის მიზნებისა, ცვლილებას იწვევენ ში-ნაარსშიც, ხოლო შემდეგ კი პედაგოგიური პროცესის ტექნოლოგიაშიც.

დღემდე პედაგოგიკურ ლიტერატურაში,ინოვაცი-ურ პროცესებში გარკვევის მხოლოდ ცალკეული შემთხვევები გვხვდება, მეცნიერი პედაგოგები თავი-ანთ ნაშრომებში განიხილავენ ისეთ პრობლემებს, რო-გორიცაა:

პრაქტიკული პედაგოგიური აზროვნება და ინოვაციები;

პედაგოგიური ინოვაციების ფუნქციონირების პრობლემები;

ტრადიციები და ნოვაციები;

ინოვაციური საქმიანობის ინტენსიფიკაციის საკითხები;

სასწავლო დაწესებულება, როგორც მართვადი ინოვაციური სისტემა...

ინოვაციური საქმიანობა გულისხმობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სიახლეების ათვისებას, რომელთაც განათლების სისტემის,მისიის, ქვესისტემისა და რგოლების განვითარების ფუნქციონირების მდგომარეობის შეცვლა შეუძლიათ.

როგორც კვლევები გვიჩვენებს, ინოვაციური პროცესების სფეროში ახლადშემოღებულების კლასიფიკაცია შეიძლება აიგოს განათლების საფუძვლებზე (სიახლე ორგანიზაციაში,სიახლე ტექნოლოგიაში,სიახლე სასწავლო პროგრამებში და ა.შ) შეტანილი ცვლილების ხასიათის მიხედვით პედაგოგიური სიახლეები იყოფიან სიახლეებად, რომელთაც ძირეული, პრინციპული ცვლილება შეაქვთ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესებში და სიახლეებად. რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ განაახლებენ მათ.

მთლიანად პედაგოგიური ინოვაციის კლასიფიკაცია შეიძლება დაიყოს შემდეგი პარამეტრების მიხედვით გამოვლენის ადგილი, გამოვლენა დროში და პედაგოგიური ცოდნის დარგი ინოვაციურ პოლიტიკაში, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, ინოვაციურ რეჟიმში მომუშავე, სასწავლო დაწესებულებების მართვის პრობლემა, სამეცნიერო პედაგოგიურ წრეებში ამ პრობლემის აქტიური განხილვა, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო.

მეცნიერი პედაგოგები თვლიან,რომ განვითარების პროცესში მყოფ სასწავლო დაწესებულებებში განვითარების ობიექტად მიჩნეული უნდა იქნას ინოციური პროცესი, მისი მიზნები,შინაარსი,მეთოდები... აგრეთვე ინოვაციური ხასიათის ორგანიზებული ფორმები.მართვის მთელი სისტემა მიმართული უნდა იქნეს იმ პირობების ერთობლიობის შესაქმნელად,რომლებიც შეძლებენ ინოვაციური პროცესის შემდგომი -წარმატებული განვითარების უზრუნველყოფას:

-ოპერატიულობისა და ხანგრძლივი დაგეგმვის შეთავსების საფუძველზე ,სამეცნიერო პროგნოზზე დაყრდნობით მემკვიდრეობისა და პერსპექტიულობის უზრუნველყოფა:

-სამეცნიერო-მეთოდური,მატერიალურ-ტქნიკური,-ფინანსურ-ეკონომიური ბაზრის განვითარების უზრუნველყოფა:

-საძიებო საქმიანობის სტიმულირების ოპტიმალური სისტემის არსებობა.ექსპერიმენტატორი პედაგოგებისთვის დახმარების აღმოჩენა:

პედაგოგიური კოლექტივის ინოვაციური საქმიანობის წარმატება პირდაპირ კავშირშია სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობაში ისეთი თვისებების არსებობასთან. როგორიცაა მოქნილობა,ადაპტაცია,სიტუაციის შეფასება და პროგნოზირების უნარი. სიახლეების რეალიზაციის დაწყებისას აუცილებელია ყურადღების მიქცევა ინოვაციური პროცესის ორგანიზაციისათვის განკუთვნილ რეკომენდაციებზე:

-შეიქმნას ინოვაციური კლიმატი,რომელშიც შესაძლებელია მოქმედებათა თავისუფლება.

- თანამშრომლები ჩაებან რეფორმების დაგეგმვის პროცესში, რაც დაეხმარება მათ გაიგონ ცვლილებების მიზნები და მიზეზები

- მოხდეს თანამშრომლების ინფორმირება ინოვა-

ციების მომზადების,განხორციელებისა და შედეგების შესახებ.

- დაეხმარონ თანამშრომლებს შესაბამისი უნარების დაუფლებაში.

ძალიან მნიშვნელოვანია პედაგოგებში ფსიქოლოგიური მომზადების ფორმირება სიახლის მისაღებად. პედაგოგიური ინოვაციების ასათვისებლად. ამ მიზნით პედაგოგებმა უნდა შეისწავლონ ვარიატიული განათლების ტიპობრივი მოდელები.

ინოვაციური ტექნოლოგიების მიხედვით სწავლება ხელს უწყობს მოტივაციას და სიახლეების ათვისებისათვის მზადყოფნას. ამ თვალსაზრისით ფართოდ უნდა გამოიყენონ ისეთი აქტიური მეთოდები, როგორიცაა: საქმიანი თამაშები, პრობლემური სემინარები, ღია მეცადინეობები, კონსულტაციები.

საძიებო საქმიანობაში პედაგოგების მონაწილეობისათვის აუცილებელია მოტივების ფორმირება შეცნობის ან საკუთარი პრობლემების გათვალისწინებით.

ამ შემთხვევაში მათ ნოვაციებს ექნებათ პირადული მნიშვნელობა(დაინტერესება), რომ განხორციელდეს შეგნებულად, მოტივი ნამდვილად ექნება მყარი.

სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობამ მხარი უნდა დაუჭიროს მოტივაციას ინოვაციების დანერგვის ყველა ეტაპზე.განსაკუთრებით პირველზე. ამ შემთხვევაში მოტივაცია მიმართული უნდა იყოს ადამიანის ცნობიერებაში უარყოფითი სტერეოტიპის გადალახვაზე სიახლეებთან მიმართებაში და პრობლემური ცნობიერების ფორმირებაზე,რომელიც თავის საკუთარ საქმიანობაში პრობლემების დანახვის საშუალებას იძლევა.

ამ საკითხის განხილვის პირველ ეტაპზე გვსურს ყურადღება გავამახვილოთ მოზარდებისა და მშობლების ურთიერთობის სიძნელეებზე,რამეთუ გარ-

დამავალ ასაკში (13-17 წელი ბიჭებისთვის; 12-16 წელი გოგონებისთვის) მთელი რიგი ცვლილებები ხდება მოზარდების ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების თვალსაზრისით. მოზარდის მიერ მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარების, სქესობრივი მომწიფების გაცნობიერებას მოჰყვება საკუთარი თავის უკვე მოწიფულ ადამიანად წარმოდგენა.

მოწიფულობის გაცნობიერება, მოზარდის მიერ, გამოიხატება იმაში, რომ იგი ახალი ცხოვრებისეული პოზიციის დაკავებას ცდილობს. მას აღარ აკმაყოფილებს ის დამოკიდებულებები, რომლებიც მის მიმართ აქვთ უფროსებს. ისინი მშობლების, მასწავლებლებისა და სხვა უფროსი ადამიანებისაგან თავიანთი მოწიფულობის აღიარებას ითხოვენ. იმის გამო, რომ მშობლებს ძალიან უჭირთ შეცვალონ მოზარდებთან დამოკიდებულობის სტილი, მათ ისინი ჯერ კიდევ ბავშვებად მიაჩნიათ. მოზარდები უარს ამბობენ ძველებურად მჭიდრო ურთიერთობის შენარჩუნებაზე მშობლებთან და თავს თანატოლთა წრეს აფარებენ. შვილებს მაგნიტივით იზიდავთ ქუჩა და თანატოლები,რადგან ამ საზოგადოებაში არავინ ითხოვს მათგან მორჩილებას და დაკმაყოფილებულია მათი მთავარი მოთხოვნა, თანასწორად აღიარების შესახებ. მოზარდი საკუთარ თავს თვლის. პიროვნებად და ამის გამო მოითხოვს, რომ მას ისეთივე უფლებები ჰქონდეს, როგორც უფროსებს. როდესაც მშობლების მხრიდან, ამ საკითხზე, უხეშ წინააღმდეგობას აწყდება, ცდილობს პროტესტი გამოხატოს ამა თუ იმ ფორმით. გამოცდილება იმისა, რომ მშობლები ხშირად უარყოფენ გაიზიარონ მათი შეხედულებები, მოზარდს აიძულებს საერთოდ უარი თქვას მათთან კომუნიკაციაზე და დამოუკიდებლად განახორციელოს საკუთარი სურვილები.უფროსები ხვდებიან, რომ შვილთან ურთიერთობის

ძველი ფორმები შესაცვლელია, თუმცა,როგორც უკვე აღვნიშნეთ,უჭირთ მათთვის მეტი ავტონომიის მიცემა. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ხშირად არის სიფრთხილე და ზრუნვა შვილებზე .თუმცა აკრძალვას, არც თუ იშვიათად. უარესი შედეგები მოაქვს . ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური გარემოება იმის შესახებ , რომ მშობლები უარს ამბობენ, აღიარონ თავიანთი შვილის მოწიფულობა არის ისიც, რომ ამ ფაქტით ისინი განიცდიან საკუთარი სიბერის ნიშნების მოახლოებას. მათ სურთ შეინარჩუნონ ჰარმონიული მდგომარეობა. როდესაც ისინი ახალგაზრდები, მათი შვილები კი მცირეწლოვნები იყვნენ. თუ უფროსი მოზარდში ვერ შეამჩნევს „უფროსს“ და მას ძველებურად უყურებს, როგორც ბავშვს, არ შეიცვლის მასთან ურთიერთობის მბრძანებლურ ფორმებს, იგი კონფლიქტებს თავს ვერ დააღწევს. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ უფროსებსა და მოზარდებს შორის ახალ ურთიერთობაზე გადასვლის ინიციატივა უფროსებისგან უნდა მოდიოდეს. რადგან მათ გაცილებით მეტი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დადის ყველა პრობლემა მინიმუმამდე.

მეტად საინტერესოა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მშობლებზე ოცნებობენ მოზარდები.პირველ რიგში, ისინი მშობლებისგან მხარდაჭერას ითხოვენ. მათ სურთ, რომ მშობლები იჩენდნენ ყურადღებას, მზრუნველობას და უწევდნენ მხარდაჭერას. მხარდაჭერა ბადებს ნდობის ატმოსფეროს და ასეთი ურთიერთობისას მოზარდს მაღალი თვითშეფასება უვითარდება. მოზარდების დიდი სურვილია ისიც , რომ მშობლებს მათ მიმართ ჰქონდეთ ემპათია , ე.ი. მშობლებს უნდა შეეძლოთ თავიანთი თავის წარმოდგენა მოზარდების ადგილზე, მათი აზრების და გრძნობების გაზიარება. ზოგიერთი მშობელი,სამწუხაროდ,ძალიან გულგრილ-

ია მოზარდის განცდებისა და ემოციების მიმართ. ასეთ ოჯახში აღზრდილი ბავშვები ასევე ძალიან ინდიფერენტულნი იქნებიან მომავალში სხვისი აზრებისა და გრძნობების მიმართ. მოზარდების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთხოვნაა. აგრეთვე მოწონება და აღიარება. მათ უნდათ რომ მშობელმა ისინი მიიღონ თავიანთი დადებითი და უარყოფითი თვისებებით, ისე როგორიც ისინი არიან. ხშირად მშობელს უნდა, რომ მისი შვილი იყოს ყოველმხრივ სრულყოფილი. ასეთი მშობლები მუდმივად უკმაყოფილონი არიან თავიანთი შვილების საქციელით, მუდმივად აკრიტიკებენ მათ , რაც საბოლოოდ,ბავშვში ავითარებს დაბალი თვითეფექტურობის განცდას და სიმორცხვეს საკუთარი ინიციატივების გამომჟღავნებაში. თითქმის ყველა მოზარდის მოთხოვნაა, რომ მშობლებს ჰქონდეთ იუმორის გრძნობა. მოზარდებს უნდათ, რომ ოჯახებში სუფევდეს დადებითი ფსიქოლოგიური მიკროკლიმატი. მათ აწუხებთ კონფლიქტი მშობლებს შორის, ოჯახის წევრთა გათიშულობა. იშვიათი მოალერსება მშობლების მხრიდან. ასეთ შემთხვევაში ისინი საკუთარ თავში ჩაკეტილნი ხდებიან და უჭირთ დადებითი ემოციების გამომჟღავნება სხვებთან ურთიერთობაშიც.

მკვლევარები თვლიან, რომ ნორმალური აღზრდის პირობებში მშობელმა იმ დონით უნდა მისცეს შვილს თავისუფლება, რომ მათ გამოხატონ თავიანთი შვილების საქციელით, მუდმივად აკრიტიკებენ მათ, რაც საბოლოოდ, ბავშვში ავითარებს დაბალი თვითეფექტურობის განცდას და სიმორცხვეს საკუთარი ინიციატივების გამომჟღავნებაში. თითქმის ყველა მოზარდის მოთხოვნაა, რომ მშობლებს შორის, ოჯახის წევრთა გათიშულობა, იშვიათი მოალერსება მშობლების მხრიდან ასეთ შემთხვევაში ისინი საკუთარ

თავში ჩაკეტილნი ხდებიან და უჭირთ დადებითი ემოციების გამომჟღავნება სხვებთან ურთიერთობაშიც.

მკვლევარები თვლიან, რომ ნორმალური აღზრდის პირობებში მშობელმა იმ დოზით უნდა მისცეს შვილს თავისუფლება, რომ მათ გამოხატონ თავიანთი ინდივიდუალური მოთხოვნილებები და გრძნობები. თვითონ მიიღონ გადაწყვეტილებები თავიანთი ცხოვრების შესახებ და პასუხიც თვითონ აგონ მათზე. თავისუფლების მინიჭების საკითხში ამგვარი ზღვარის დაცვა ხშირად უჭირთ მშობლებს. არიან მშობლები, რომელთაც არასწორად ესმით ეს საკითხი და მოზარდებს სრულ თავისუფლებას აძლევენ. მშობლის პასუხისმგებლობის შესახებ დამახინჯებული წარმოდგენა კი ზრდის მოზარდებში მაღალი ნარკოტიკების მოხმარებისა და ანტისოციალური ქცევების რისკს.

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ საუკეთესო გზა გარდამავალი ასაკის პრობლემების დასაძლევად არის მშობლების მიერ მოზარდების ჩართვა ოჯახურ ცხოვრებაში, მათი აზრის გათვალისწინება, დამოუკიდებლობის მიცემა, საუფროსო საქმეების ნდობა და თანაცხოვრების თანაბარი პირობების შექმნა.

აუცილებელი არაა, ჩვენს გარშემო მყოფებისაგან მხოლოდ პოზიტივებზე გავამახვილოთ ყურადღება, ნუ დაგვავიწყდება ნეგატიურის არსებობაც, მთავარია ნეგატივიც და პოზიტივიც კომპლექსურად აღვიქვათ.

რამოდენიმე ხნის წინ ლოს-ანჟელესში გამოიცა საკმაოდ თხელი წიგნი- „მერფის კანონები“ / ავტ. არტურ ბლოხი /. წიგნს დიდი და ხმაურიანი წარმატება ერგო. მკითხველებმა „მერფის კანონი“ უნივერსალურ ფილოსოფიურ პრინციპად მიიჩნიეს: „თუ რამე უსიამოვნება შეიძლება მოხდეს-ის მოხდება“, „გაიღიმეთ... ხვალ ხომ შესაძლოა უარესი მოხდეს“

ანდაზურ თქმად ქცეულ ამ გამონათქვამებს საუბარ-

ში თუ სიტუაციის შეფასების დროს ამერიკელები ხშირად იყენებენ როგორც ნეგატივისტის „ფიშკას“.

მოდით ჩვენც განვსაჯოთ პოზიტიურ, თუ ნეგატიურ ხედვად მივიჩნევთ „მერფის ფილოსოფიას“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ აზროვნების პოზიტიურ ან ნეგატიურ კატეგორიებს განაპირობებს ერთი და იმავე საგნის ან მოვლენის პოლარულად განსხვავებული შეფასება, შეჯერება და დაპირისპირება: „ნეგატივიზმის პოლუსი“ - ახდენს ჩვენი ყურადღების აქცენტირებას იმაზე, რაც ჯერ არ გაგვაჩნია და რაც გვაკლია, ის გვაიძულებს ვიფიქროთ საფრთხეზე, საშიშროებაზე,სიფრთხილეზე, ნაკლოვანებებზე; „პოზიტივიზმის პოლუსი“ - ცდილობს ჩვენი ყურადღების ფოკუსირებას იმაზე, რაც უკვე გაგვაჩნია, პოზიტივისტი კონცენტრირებულია იმაზე რის მიღწევაც სურს საკუთარ მიზნებში, ოცნებებში, იმედებსა და შესაძლებლობებში და რაც პასუხობს სამყაროში მიზნობრივ ორიენტაციას. ნეგატივისტი კი პირიქით იწყებს საქმეში მინუსების ძებნას და მხოლოდ შემდეგ გადადის შესაძლო სარგებელზე.

ქმედებაში პოზიტივისტი პრიორიტეტს ანიჭებს დადებითი ეფექტის მიღწევას და არა უარყოფითი შედეგის თავიდან აცილებას,ნეგატივისტი კი საპირისპირო პრინციპით ხელმძღვანელობს- ის მნიშვნელოვნად მიიჩნევს შესაძლო უარყოფითი შედეგის მინიმიზაციას.

სიტვაციის შეფასების დროს პოზიტივისტი, როგორც წესი, რეალურად არსებულ სურათს ასახავს, მაგლითად ,,ამინდი-კარგია!’’,,ცა მოწმენდილია!’’, ხოლო ნეგატივისტი აქცენტირებას იმ მახასიათებელზე გააკეთებს, რომელიც იმ მომენტში არ არის წამყვანი, მაგალითად: ,,ამინდი ცუდი არ არის’’. ,,ცაზე ღრუბელი არ ჩანს’’

ინტელექტუალურ დონეზე პოზიტივიზმი ვლინდე-

ბა ისეთი ტიპის აზროვნებაში, რომელსაც ახასიათებს მსგავსი კატეგორიების გამოყენება, ხოლო ნეგატივიზმი-განსხვავებულობისა და პირველ რიგში, დაპირისპირებულობის კატეგორიებით აპელირებს. პოზიტივისტისთვის დამახასიათებელია კონვერგენციული აზროვნება, მან უნდა შეაფასოს ყველა შეთავაზება, გამოყოს ერთი-ყველაზე საუკეთესო და მიიღოს გადაწყვეტილება. ნეგატივისტის აზროვნება განსხვავდება იმით, რომ იგი დივერგენტულია, ამწვავებს ურთიერთობებს და უმეტესად იძლევა ამოცანის გადაწყვეტის რამდენიმე ალტერნატიულ ვარიანტს.

პოზიტივიზმი-ნეგატივიზმი ცალსახა პრობლემას არ წარმოადგენენ, ამის გამო ისინი მარტივად არ უნდა აღვიქვათ. ალბათ დაგაინტერესებთ, რომ პოზიტივიზმის წინაპირობების ფილოსოფიური ფორმულირება ჯერ კიდევ სენ-სიმონმა მოახდინა. მისი კონცეპტუალური ჩამოყალიბება კი ამ მიმართულების ფუძემდებლად აღიარებულმა ოგიუსტ კონტმა დაასრულა.

ნეგატივიზმის პრინციპები ნაწილობრივ გამოიყენება ისეთ ფილოსოფიურ მოძღვრებებში, როგორიცაა მაგალითად აგნოსტიციზმი, სკეპტიციზმი და ათეიზმი. საერთოდ კი სხვა და სხვა მიმართულების ფილოსოფოსები ნეგატივიზმს მხოლოდ უარყოფად არ აღიქვამდნენ, ზოგი მას უფრო ვრცლად უდგებოდა, მაგალითად, სპინოზამ გამონათქვამი - ,,დეტერმინატიონ ესტ ნეგატიონ'' გამოიყენა იმ თვალსაზრისით,რომ ,,შეზღუდვა-უარყოფას წარმოადგენს'', ამგვარი აზრი და მსგავსი მიდგომა ჰეგელის შრომებშიც იკითხება.

ფსიქოლოგიის თვალთახედვით პოზიტივისტი-დადასტურებაში,დამტკიცებაში,ხოლო ნეგატივისტი კი-უარყოფაშია ძლიერი.ნეგატივურ აზროვნებაში აქტიურად გამოყენებული საწინააღმდეგო, საპირისპირო მტკიცება ხშირ შემთხვევაში ადამიანის

მეტყველებაშიც გამოიხატება. დააკვირდით საკუთარ თავს და თქვენ მეგობრებს: პოზიტიურად მოაზროვნე ადამიანი უმეტესად იყენებს სიტყვებს ,,დიახ'' ,,უდ-აოდ'' ,,რა თქმა უნდა,'' ჩამოთვლის დროს კავშირს- ,,და'',ხოლო ნეგატივისტი საწინააღმდეგოს -,,არა''-ს, ,,მაგრამ'', ,,ოღონდ'', ,,არამგონია'', ,,არვფიქრობ'', სხვა და ა.შ.

სოციალურ დონეზე პოზიტივიზმ-ნეგატივიზმი განსაკუთრებულად იკვეთება გარშემო მყოფი ადამი-ანების გაცნობის დროს და მათ მიმართ ნდობის გამ-ოვლენის ხარისხში. პოზიტივისტი ნეგატივისტზე მეტად ენდობა უცნობ (ან უცხო) ადამიანს. ნეგატივ-ისტი- ყოველთვის ეჭვიანი და დაძაბულია. დროთა განმავლობაში სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს: თუ პოზიტივისტი დარწმუნდება, რომ ამ ურთიერთობაში დაშვებული აქვს შეცდომა ის ვარდება გაუმართლებ-ელ, ხშირ შემთხვევაში უკიდურეს ეჭვიანობაში.

კოლექტივი, რომელშიც ჭარბობენ ნეგატივისტე-ბი, თანაბარ კოლექტივთან შედარებით, რომელ-შიც დომინირებენ პოზიტივისტები, საგრძნობლად მეტადაა პოლარიზებული.

ნეგატივისტი უპირატესობას ანიჭებს შრომის და-ნაწილებასა და ფუნქციონალურ ზონალურობას, ანუ შრიმითი პროცესის განხორციელებას მისთვის მი-კუთვნებულ ადგილზე. პოზიტივისტს უკეთ გამოსდის სხვა და სხვა სახის საქმიანობის შეთავსება: შრომა და დასვენება, დაძაბულობა და მოდუნებულობა მათ ქმედებაში ხშირად არის გადახლართული. პოზიტივ-ისტები ნეგატივისტებისგან აგრეთვე განსხვავდები-ან გუნდური მუშაობის დროს გამოვლენილი ტენ-დენციებით: პოზიტივისტი ყველას გადასდებს თავის ენთუზიაზმს ხოლო ნეგატივისტი- ყველას დატანჯავს შემოწმებებისკენ, დიქტატორობისკენ უზომო მიდრე-

კილებით მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ ნაპოლეონი და მისი ენთუზიაზმის გავლენა: მას მიაჩნდა, რომ ყველა ვინც მის გვერდით დგას- მის მსგავსად დარწმუნებულია გამარჯვებაში, არჩეული გზის სისწორეში და წარმატებულია...

საერთოდ ცნობილია, რომ პოზიტივიზმით მანიპულირება ფსიქიკის მთლიანობას ერთიანობას(ინტეგრირებულობას) უწყობს ხელს პოზიტივისტის ფსიქიკა ჩვეულებრივია, ის მეტადაა მთლიანი, მან კონკრეტულად იცის თუ რა სურს. ნეგატივისტური ფსიქიკის ბუნება წინააღმდეგობებით აღსავსეა, ხშირია საპირისპირო მისწრაფებებისა და სურვილების შეტაკება. ამის გამო ნეგატივისტი უფრო მეტად ავლენს მიდრეკილებას ფსიქიკის დეზინტეგრაციისკენ. იმავ დროულად უფრო იტანს შინაგან კონფლიქტს. ნეგატივისტი აქტიურდება როდესაც სიტუაცია არახელსაყრელად ლაგდება, მჭიდროვდება ვადები, არ არის საკმარისი რესურსი, ხოლო როდესაც საქმე კარგად მიდის ის დუნდება და კარგავს ენერგიულობას. პოზიტივისტი კი აქტიურდება იმ დროს, როცა მას ყველაფერი გააჩნია.

ბედნიერებისა და კეთილდღეობის თაობაზეც პოზიტივისტისა და ნეგატივისტის წარმოდგენა აგრეთვე რადიკალურად განსხვავდება. პოზიტივისტს ურჩევნია დახუჭოს თვალი ცხოვრების ,,მუქ მხარეზე'' და გაამახვილოს ყურადღება მის ,,ნათელ ასპექტებზე''. ნეგატივისტმა კი ძალიანაც, რომ მოიწადინოს, მაინც გაუჭირდება საკუთარი ცნობიერებიდან განდევნოს არასასიამოვნო აზრები. ნეგატივისტს ახასიათებს ფსიქოლოგიური პრობლემების გამძაფრების მიდრეკილება. მეორეს მხრივ, თუ პოზიტივისტი აღმოჩნდა, მაგალითად დეპრესიულ მდგომარეობაში, ამ ვითარებიდან გამოსვლის მოძებნა მას უფრო გაუჭირდება

ვიდრე ნეგატივისტს.

მოახლოებული მოვლენების ოპტიმალური პროგნოზისთვის პოზიტივისტისთვის უფრო ხელსაყრელია იყო ოპტიმისტი ხოლო ნეგატივისტისთვის - პესიმისტი პოზიტივისტს შეუძლია ფსიქოლოგიური დაძაბულობის შერბილება, მისი კომუნიკაციური ფუნქციები პირობითად შეგვიძლია მოვნიშნოთ პლიუსით. ხოლო ნეგატივისტების - აღინიშნოს მინუსით. თუ პოზიტივისტის შემთხვევაში მიღებულია ურთიერთობა დიალოგის ფორმით და საუბრის მანერა კითხვა-პასუხის სახით, მეორე ანუ ნეგატივისტის შემთხვევაში აზრის დასრულებამდე ჭარბობს- მონოლოგი და ამ პროცესში ნებისმიერი სახის შეკითხვის დასმა მიუღებელია. ლექსიკაში პოზიტივისტი იყენებს საკუთარი თავისადმი,, პირველი პირისგან'' მიმართვის მსგავს მოდელს(,,მე''-,,მე''-ს). ხოლო ნეგატივისტი- გარე, ,,მესამე პირისგან''(,,მე'' -,,ის'') მიდგომას.

ფიზიკურ დონეზე, პოზიტივისტები და ნეგატივისტები განსხვავებულად წყვეტენ ფიზიკური ენერგობალანსის პრობლემას: თუ პოზიტივისტი განიცდის ფიზიკური დამუხტვის მოთხოვნილებას, მისგან განსხვავებით ნეგატივისტისთვის აქტუალურია დაგროვებული ენერგიისგან განმუხტვა რომელიმე სახის ქმედებაში ტრანსფორმირება, თუ კონკრეტული, მიზნობრივი ხასიათის ქმედებისთვის პოზიტივისტს ესაჭიროება ,,დაქოქვა'' ზოგ შემთხვევაში კი გაბრაზებაც იგივე ვითარებაში ნეგატივისტს- პირიქით უნდა შეექმნას ნეგატივის ,,ჩამოგდების'' შესაძლებლობა.

რიგი სპეციალისტების ხედვით პოზიტივიზმი ასოცირდება ქალურ თვისებებთან, ნეგატივიზმი კი- მამაკაცურთან ამ სახის შეფასებას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ მამაკაცთან შედარებით ქალში უფრო მეტადაა წარმოდგენილი ერთიანი, მთლიანი პიროვნული

თვისებები.გაინტერესებთ- როგორ მოვიქცეთ?...

ფსიქოლოგები უპირველეს ყოვლისა გვირჩევენ საუბრის დროს უარი ვთქვათ უარყოფაზე, მაქსიმალურად მოვერიდოთ და მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ვიხმაროთ სიტყვა-,,არა''.აგრეთვე გვაძლევენ რეკომენდაციას, რომ საქმიანობის ან ცხოვრებაში განსახორციელებელი ცვლილებების დაგეგმვის დროს ჩამოვთვალოთ მხოლოდ სასურველი ფაქტორები და ავარიდოთ თავი ისეთებს რომელთა დანახვა მომავალში არ გაგვახარებს. ზუსტად ამ მოსაზრებით ზოგი, უკვე გამობრძმედილი ნეგატივისტი გულმოდგინედ აკონტროლებს საკუთარ მეტყველებას და გაურბის ნეგატივისტურ ფორმულირებებს, რის გამოც რთულდება დასკვნის გამოტანა ადამიანის პოზიტივიზმის თაობაზე თუ ის ამ ხერხის მეშვეობით ცდილობს დამალოს ან აშკარად არ გამოავლინოს ნეგატივიზმის ნიშნები.

ხშირ შემთხვევაში „მერფის კანონის"-ს იუმორი საკმაოდ სევდიანად ჟღერს. გვესმის, რომ უკმაყოფილებამ კურსით,რომელიც ტარდება ეკონომიკასა და პოლიტიკაში, განათლებასა თუ მეცნიერებაში ადამიანი შესაძლოა უსაშველობის გრძნობამდეც მიიყვანოს. მაგრამ ყველაფრის მიუხედავად ცალსახად ნუ მიჰყვებით „მერფის ფილოსოფიას". „თუ რამე უსიამოვნება შეიძლება მოხდეს, ის მართლაც მოხდება", „ყველაფერი რაც კარგად იწყება-ცუდად მთავრდება", რაც ცუდად იწყება-უფრო უარესად სრულდება" და ა.შ.

როგორ უნდა მოიქცეთ?

მხოლოდ საკუთარ თავს ნუ მიაწერთ ყველა არასასურველ მოვლენას, არ დაიბრალოთ ყველა უსიამოვნო ფაქტი, ზოგი უსიამოვნება ან მარცხი პირადად ხომ არც გეკუთვნით, ან თქვენს გამო არ არის მომხდარი, როგორც იტყვიან ხოლმე ამგვარ სიტუაციაში -ყველას თავისი ხედვა და საკუთარი გზა აქვს: „ფილოსოფია

გვასწავლის - მშვიდად მოვეპყროთ სხვების წარუ-მატებლობას“, /ოსკარ უაილდი/.

და ბოლოს, რაც მთავარია - ნუ აღიქვამთ ყველაფერს მხოლოდ პოზიტივად ან ნეგატივად, აღიქვით - კომპ-ლექსურად!

საქართველოში განათლების კუთხით არსებული რეალური სადღეისო გამოწვევები, შეიძლება ითქვას საგულისხმოა, რამეთუ სკოლის როლსა და მასწავ-ლებლის ავტორიტეტის ასამაღლებლად შიდა სასკო-ლო-საატესტატო გამოცდების აღდგენა მართლაც რომ დროულია.

პროფესიული უნარები კი, რომელიც რეფორმ-ის ერთ-ერთ ასპექტს შეადგენს და სუფთა წყლის ფსიქოლოგიური ცოდნის გამოყენებას გულისხმობს აღზრდის პროცესში არის წინგადადგმული ნაბიჯი. მე, პირადად, მივესალმები ამას,ბოლოს და ბოლოს დავინახეთ, რომ ფსიქიკის სიღრმეებში წვდომის გა-რეშე შორს ვერ წავალთ.

ამ გზით კი ფსიქოლოგია უფრო და უფრო უახლო-ვდება მეცნიერების მრავალ დარგს, უპირველეს ყოვლი-სა, კი –პედაგოგიკას. პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში არსებული ცოდნა, რომელიც დროთა განმავლობაში მივიწყებული იყო, დღეს ისევ განიცდის აღმასვლას. მეცნიერების ამ დარგს აინტერესებს ადამიანის ქცევა სწავლის პროცესში. მასწავლებელი მუდმივად რაღა-ცას ცვლის მოსწავლეში, ახდენს მისი პიროვნების კო-რექციას, სწავლის უნარ-ჩვევები მემკვიდრეობით არ გადაეცემა ბავშვს, ამიტომაც ექცევა ფსიქოლოგიურ ცოდნა გამოცდილებას დიდი ყურადღება , თუ რატომ გაჩნდა ასეთი ინტერესი განათლების მიმათ - ამ კითხ-ვაზე საკმაოდ მარტივი პასუხი არსებობს–ყველაზე ძვირფასი რესურსი, რომელიც გააჩნია ქვეყანას, არის ადამიანური რესურსი, ამიტომაც მისი ოპტიმალური

განვითარება და გამოყენება უმნიშვნელოვანესია ჩვენი ქვეყნისთვის.

მრავალი თეორია მიეძღვნა ბავშვთა განვითარების შესწავლას განათლების პროცესში . ერთ-ერთი არის დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორია. შემდეგი მოსაზრება ნამდვილად ჭეშმარიტია–უზნაძე, რომ საბჭოთა კავშირის პერიოდში არ დაბადებულიყო, მის გენიალობას დღეს მსოფლიო უდავოდ აღიარებდა. იგი, მართლაც რომ ღირსეულ ადგილს იჭერს ისეთი ცნობილი ფსიქოლოგების გვერდით, როგორებიც არიან: პიაჟე, ერიქსონი, ფროიდი და ა.შ. უზნაძის განწყობის ფსიქოლოგიის როლი პედაგოგიკაში ძალიან დიდია, მისი კონცეფცია 1910-1916 წლებში ჩამოყალიბდა. მისი აზრით პიროვნება არის აქტიური არსება. რომელიც ექვემდებარება აღზრდას–ეს იდეა დაედო საფუძვლად განწყობის თეორიას.

ის პრაქტიკული პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელსაც ეწეოდა დიმიტრი უზნაძე, დიდი მნიშვნელობის მატარებელია მისი თეორიისთვის. სწორედ ამ გზით მივიდა იგი იმ დასკვნამდე, რომ პედაგოგიკის ძირითადი დანიშნულება აღზრდაში მდგომარეობს. აღზრდა კი თავის თავში გულისხმობს სრულყოფილებისკენ სწრაფვას, ამ გზაზე ადამიანი ცდილობს მაქსიმალურად კომფორტული გარემო შეიქმნას და მიაღწიოს კეთილდღეობის მაქსიმუმს. წარსული შეიძლება ჩაითვალოს ერთგვარ სახელმძღვანელოდ, რომლის მეშვეობითაც ინდივიდი აგებს საკუთარ აწმყოსა და მომავალს. პედაგოგიკის დანიშნულების რეალიზაცია კი მოითხოვს აღზრდის ობიქტს, რომელსაც ბავშვი წარმოადგენს. ხშირად ბავშვის ფენომენი არასწორად არის გაგებული, ბავშვი არ უნდა ჩაითვალოს პატარა მოზარდად, ამიტომაც აღზრდისას არ უნდა მოხდეს მოვლენების დაჩქარება და ბავშვს არ უნდა მოვთხოვ-

ოთ მოზარდებისთვის დამახასათებელი ქცევები.

ერთი სიტყვით, ბავშვს არ უნდა წავართვათ ბავშვობა. ცხოვრების ამ ეტაპის არასრულფასოვანი და რაადეკვატური გავლა განაპირობებს იმას, რომ მოზარდობისას ინდივიდისთვის დამახასიათებელი იქნება ბავშვური ქცევები. ანუ ის დანაკლისი რაც მან საწყის ეტაპზე განიცადა უარყოფითად იჩენს თავს ცხოვრების შემდგომ წლებში. ასევე არასწორად არის გაგებული თამაშის ფენომენი. დღესდღეობით თამაშებით სწავლა საკმაოდ აქტუალურია. ბაგა-ბაღიდან ბავშვი პირველად სასკოლო მერხთან ხვდება, ბაღში კი მას თამაშის მეტი არაფერი უკეთებია, სკოლამდელი აღზრდის დანერგვა კი გულისხმობს ბავშვის მომზადებას სასწავლო პროცესისათვის. სკოლაში კი ბავშვის დიდად შეზღუდვა, თამაშის უფლების ჩამორთმევა, მისი მაქსიმალური გაკონტროლება იწვევს ბავშვის სურვილების ფრუსტრაციას. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თამაში ეს არის იდეებისა და ფანტაზიების რეალიზაციის ერთ-ერთი საწყისი ეტაპი - სწორედ ამიტომ ექცევა მას დიდი ყურადღება აღზრდის პროცესში.

ნებისმიერი ბავშვი არის უნიკალური თავისი არსით და მის ინდივიდუალობას კი პედაგოგი უნდა ჩასწვდეს. ამის გარეშე იგი აღზრდის პროცესში დიდ წარმატებას ვერ მიაღწევს. უზნაძე ასევე საუბრობს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც თან ახლავს აღმზრდელობით პროცესს, მან ამ ეტაპს „აღზრდის ძირითადი ტრაგედია“ უწოდა. ბზარი აღმზრდელისა და

აღსაზრდელის მისწრაფებებში ჩნდება. ეს პრობლემა აღმოცენდება სწორედ მაშინ, როდესაც პედაგოგი არ აქცევს ყურადღებას მოსწავლის ინდივიდუალურობას, მის სურვილებს და მხოლოდ საკუთარი მოტივებით ხელმძღვანელობს. ეს საკითხი მწვავე პრობლემად

დგას დღევანდელ სკოლებში „ის რაც, აღმზრდელის აზრით კეთილდღეობას წარმოადგენს, აღსაზრდელისთვის ხშირად წვალებად ითვლება“-ამბობს უზნაძე. ამ

მდგომარეობის შერბილების ერთ-ერთი გზა არის მოსწავლის განვითარების ეტაპის შესწავლა. თითოეული სტადიისთვის დამახასიათებელი კანონზომიერების ცოდნა.

მხოლოდ ბავშვის ფსიქოლოგიის ათვისება გახდის შესაძლებელს ეს ბზარი შევავსოთ. უზნაძე ეწინააღმდეგება აღზდის ცალმხრივობას. მისი აზრით პროცესი, რომელიც გულისხმობს სრულფასოვანი პიროვნებების ჩამოყალიბებას უნდა ემყარებოდეს ადამიანის მიერ საკუთარი ცხოვრების დანიშნულების განხორციელებას. სკოლა კი არის გამაშუალებელი რგოლი,რომლის დახმარებითაც ხდება ცხოვრების ლაიტმოტივის რეალიზაცია და ადამიანის შესაძლებლობების ზრდა. უზნაძე შემთხვევითად არ მიიჩნევს პედაგოგიკას ხელოვნების ნიმუშად, სადაც მასწავლებელს გარდა აღმზრდელობითი ნიჭისა, სჭირდება პედაგოგიური უნარ-ჩვევები. უზნაძე განასხვავებს ერთმანეთისგან პრაქტიკულ და თეორიულ პედაგოგიკას, ეს უკანასკნელი საშუალებას აძლევს მასწავლებელს აკეთოს თავისი საქმე საზოგადოებისა და ბავშვის პიროვნების განვითარების საკეთილდღეოდ. უზნაძის აზრით აუცილებელია სკოლაში შეიქმნას ისეთი პირობები რომლებიც „მოითხოვს ბავშვის არა მხოლოდ ინტელექტუალური ძალების, არამედ მთელი მისი ბუნების მოქმედებაში მოყვანას“.

უმნიშველოვანესი აღზრდის პროცესში არის დისციპლინა, სწორედ მისი საშუალებით ვითარდება ნებისყოფა, თუმცა გადამეტება არც აქ ვარგა. ძლიერი ნებისყოფა შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს. ნებისყოფის შენარჩუნება დამოკიდებულია გავარჯიშება-

ზე და სკოლა კი ამის საუკეთესო ადგილი გახლავთ. უზნაძე ასევე საუბრობს სასწავლო პროცესიდან ციფრებით შეფასების მეთოდის განდევნაზე. ეს მეთოდი სუბიექტური ხასიათის მატარებელია, რომელიც არის ერთგვარი უნდობლობის წყარო მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. ნდობისა და სიყვარულის ატმოსფერო კი არის უმნიშვნელოვანესი, რათა ბავშვი იყოს გახსნილი სწავლების პროცესის მიმართ. განწყობის ფსიქოლოგია ადამიანს მთლიანობაში განიხილავს და არ ყოფს მას ცალკეული პროცესების ჯამად. უზნაძის მიხედვით განწყობა წარმოადგენს ადამიანის მთლიან პიროვნულ მზაობას გარკვეული ქცევებისადმი.

„სანამ ცოცხალი არსება რაიმე ქცევას მიმართავდეს, მას უკვე მანამდე აქვს ეს ქცევა განწყობის სახით მოცემული". განწყობა აისახება, როგორც ინდივიდის მიზანშეწონილი ქცევა, ადამიანის ქცევას კი განსაზღვრავს მოთხოვნილება, რომელიც წარმოადგენს რაიმეს დეფიციტს. გარდა სუბიექტური ფაქტორისა აუცილებელია იმ ობიქტური ფაქტორების არსებობა, რომელსაც გარემო ეწოდება. გარემო არის აუცილებელი ფაქტორი ქცევის განხორციელებისთვის. თუმცა ადამიანის ქცევისადმი მზაობა იცვლება იმ სიტუაციის შესაბამისად, რომელშიც იგი იმყოფება.

ანუ სიტუაცია ადამიანის ქცევას მანამ განსაზღვრავს, სანამ ეს ქცევა რეალიზდება. სიტუაციისადმი დამოკიდებულება კი ორგვარი არსებობს - დადებითი და უარყოფითი. ამ დამოკიდებულების ხასიათი კი განაპირობებს ადეკვატურ ქცევას, ამიტომაცაა მნიშვნელოვანი ბავშვს სწავლის პროცესისადმი დადებითი განწყობა შეუქმნათ, მოვახერხოთ მისი მთლიანი პიროვნების ჩაბმა სწავლის პროცესში და მასალა აუცილებლად უნდა მოვარგოთ ბავშვის შესაძლებლობებს.

მოსწავლის ქცევის განხორციელება აუცილებელია მოხდეს ისეთ გარემოში, სადაც სრულფასოვნად დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნილებები. ამ ყველაფრის ცოდნა არის უმნიშვნელოვანესი თითეული პედაგოგისათვის. სწორედ დაგეგმილი აღზრდის პროცესის შედეგად ბავშვი ყალიბდება სრულფასოვან პიროვნებად, რომელმაც იცის თუ რა სურს ცხოვრებაში. რა არის კარგი და რა არის ცუდი, იგი რეალურად აფასებს საკუთარ შესაძლებლობებს. რასაც მივყავართ იქითკენ, რომ ადამიანი სწორად გეგმავს საკუთარ მომავალს და წარმატებაც გარანტირებული აქვს.

ასეთი ინდივიდები კი ქვეყნის განვითარების საწინდარს წარმოადგენენ და მათ ჩამოყალიბებაში თითოეულ ჩვენგანს დიდი წვლილის შეტანა შეუძლია. ყველანი რაღაცას ველოდებით. ადამიანისთვის-ეს ბუნებრივია. საუბარი ავტობუსის ლოდინზე კი არაა, არამედ რომელიმე გეგმის რეალიზაციის, სურვილების, სიტუაციის შეცვლის მოლოდინის თაობაზეა. თუ ეს მოლოდინი მხოლოდ ჩვენს ცხოვრებას ეხება - კიდევ არაუშავს, მაგრამ ხშირად ის ხომ სხვა ადამიანის - ჩვენი ახლობლის, ნათესავების, მეგობრების, კოლეგების, თანამოაზრეების ცხოვრებას ეხება. თქვენ რა ხასიათის მოლოდინი გაგაჩნიათ? საერთოდ, რამდენად სასარგებლოა - ელოდო? პირადი მიღწევებისა და წარმატების აღიარებული კონსულტანტი

ბრაიან ტრეისი (რომელიც თქვენთვის ალბათ უკვე ცნობილია პორტალზე Education.ge გამოქვეყნებული პუბლიკაციიდან „წარმატების საიდუმლოებები“ მოლოდინის კანონზომიერების თაობაზე აცხადებს: “ ყველაფერი, რასაც მტკიცე რწმენით ელოდებით, თვითშესრულების წინასწარმეტყველებად იქცევა“ თუ გიფიქრიათ ამგვარად? თურმე ჩვენს მოლოდინს აღსრულების ტენდენცია გააჩნია!

ცნობილია, რომ ყველა მოლოდინი ოპტიმისტური ან პესიმისტური შეიძლება იყოს. პირველ შემთხვევაში თქვენ მას ელოდებით, რომ კარგი, კეთილი, პოზიტიური მოხდება. პირადად თქვენ რომელი სახის მოლოდინი გახასიათებთ უფრო?

კითხვაზე - რატომ არის ამდენად მნიშვნელოვანი საკუთარ მოლოდინზე დაფიქრება პასუხი ცალსახადაა - იმიტომ რომ ისინი ჩვენი მომავლის ფორმირებას ახდენენ!

თუ გვსურს, რომ დავრწმუნდეთ ამაში უნდა ჩავატაროთ მარტივი ექსპერიმენტი. მოდით განვიხილოთ თქვენი ცხოვრების ნებისმიერი სფერო: მაგალითად, ოჯახური ცხოვრება ან სასიყვარულო ურთიერთობები, საქმიანობა ან კარიერა, ფინანსური შესაძლებლობები, ჯანმრთელობა ან თქვენი პიროვნული განვითარება.

დავიწყოთ იმით, რომ საკუთარ თავს დავუსვათ კითხვა - ამჟამად /ბოლო დროს (ბოლო თვის, უკანასკნელი ორი, სამი, თვის განმავლობაში) როგორ მიდის საქმე ნებისმიერ ჩამოთვლილ სფეროში? რამდენად გაწყობთ არსებული მგომარეობა? თუ უფრო განხვავებულის დანახვას ისურვებდით?

იმის შემდეგ, რომ ამის თაობაზე საკუთარ თავს წარუდგენთ მცირე ანგარიშს, დასვით შემდეგი კითხვა: „რა მოლოდინი გამაჩნია (მქონდა) ამ სფეროში?“ მაგალითად, ექსპერიმენტისთვის თქვენ აირჩიეთ საქმიანი სფერო, ანუ საქმიანობა სამსახურში და ამ სფეროში სიტუაცია ისე არ ყალიბდება როგორც გსურდათ. კერძოდ, თქვენ ვერ აღწევთ მაქსიმუმს და ბოლომდე ვერ იყენებთ საკუთარ შესაძლებლობებს. მოლოდინის თაობაზე კითხვას თუ დავუსვამთ საკუთარ თავს, შესაძლოა აღმოაჩინოთ რომ ამ სფეროში ყოველთვის, გამოკვეთილად თქვენ მხოლოდ სირთულეს ელოდებოდით: ახლობელიც გეუბნებათ ამის შესახებ, რომ ამ

სფეროში ძნელია რამის მიღწევა და თქვენ მას უსმენთ, ხელმძღვანელიც სათანადო პატივს არ გცემთ და არ გიწევთ ანგარიშს იმდენად, რამდენადაც ეს სასურველია თქვენთვის, ისიც მიგაჩნიათ, რომ ახლანდელი სამსახური არ გიქმნით პოტენციალის რეალიზაციის საჭირო პირობებს. ანუ საქმიანობის შედეგი - პასუხობს თქვენს მოლოდინს.

ახლა კი მოდით სხვა ტიპის საწინააღმდეგო მაგალითი და სულ სხვა სფერო განვიხილოთ. დაუშვათ, რომ თქვენ კმაყოფილი ხართ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობით: თუ ავადმყოფობთ - მხოლოდ ძალიან იშვიათად და მსუბუქად. წამლებს არ ღებულობთ ექიმებს იშვიათად მიმართავთ და არაფერს არ უჩივით, იმავდროულად თქვენი თანატოლების ნაწილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები გააჩნიათ, ამ სურათის ფონზე ჯანმთელობის მიმართ თუ გადახედავთ საკუთარ მოლოდინს შესაძლოა გაოცებულიც დარჩეთ როდესაც აღმოაჩენთ, რომ საკუთარ თავს ყოველთვის ძალიან ჯანმრთელ ადამიანად თვლიდით, ყოველგვარი დაავადებების ან მათ მიმართ ყველანაირი მიდრეკილების გარეშე და მოლოდინი მხოლოდ ამ სახის გაგაჩნიათ.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინსა და ცხოვრებაში მომხდარს შორის პირდაპირი კავშირი არსებობს. ჩვენი ექსპერიმენტიც ადასტურებს ამას, რა თქმა უნდა მხოლოდ იმ შემთხვევში თუ საუბარი ნამდვილად, სიღრმისეულ მოლოდინზეა და არა თვითშეგნებაზე. როგორიცაა მაგალითად: „ჩემს ცხოვრებასა და საქმეებში ყველაფერი საუცხოოდაა (და მე თითქმის მჯერა რომ ეს ასეა)“

მოლოდინი გარდა პოზიტიურად და ნეგატიურად დაყოფისა. გახმოვანებულად და გაუხმოვანებულად შეიძლება დავყოთ. ვფიქრობთ, რომ სხვაობაში

გარკვევა არ უნდა წარმოადგენდეს დიდ სირთულეს. ამ სახის გრადაციასთან დაკავშირებით საკითხი კი სულ სხვა კუთხით შეიძლება დაისვას: ახდენს თუ არა მოლოდინის გახმოვანება გავლენას მათი რეალიზაციის შესაძლებლობაზე? პასუხად უნდა გაცნობოთ, რომ მრავალი დაკვირვების შედეგად ფსიქოლოგები ცალსახად უარყოფენ ამას და გვარწმუნებენ, რომ იმის მიუხედავად გაუზიარეთ ჩვენ ისინი ვინმეს თუ არა, მათი რეალიზაცია თანაბარია.

ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ იწყება „პრაქტიკული მაგია“.

ბ.ტრეისის აზრით: ნებისმიერი ადამიანი მიისწრაფის მასზე დაკისრებული მოლოდინის რეალიზაციისკენ იმის მიუხედავად იცის მათ შესახებ თუ არა!

პირველ რიგში, ყველანი ვცდილობთ იმ მოლოდინის განხორციელებას, რომელიც გააჩნიათ ჩვენს მიმართ ჩვენს მშობლებს, ხელმძღვანელებს, ახლობლებს - ბავშვები, მეუღლეები და მერე უკვე ჩვენ თვითონაც. ამ პროცესში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას პოზიტიური თუ ნეგატიურია ეს მოლოდინი თავისი არსით. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანში ჩადებულია მექანიზმი, რომელიც ავტომატურად ახდენს მის დამიზნებას საკუთარი თუ სხვების მოლოდინის რეალიზაციაზე. სწორედ ამის გამო გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩვენი ცხოვრება შესაბამისობაში მოდის პირადად ჩვენი და ჩვენი ახლობლების მოლოდინთან. ამიტომ არა მხოლოდ არასასურველი, არამედ სახიფათოცაა, იქონიოთ ნეგატივური მოლოდინი, ვინაიდან თქვენი ცხოვრება იმ დონემდე დაიმუხტება უარყოფითად, რა დონეზეც თქვენ (ან თქვენს გვერდით მყოფი ადამიანები) ელოდებოდით ამას.

მადლობა უფალს, რომ მოაზროვნე არსებები ვართ და შეგვწევს იმის უნარი, რომ გავუწიოთ კონტროლი

საკუთარ აზრებსა და მოლოდინს. კონტროლის გაწევა შესაძლოა არ აღნოჩნდეს მარტივი და უცბად არც გამოგვივიდეს, მაგრამ ხომ შეგვიძლია ვეცადოთ მაინც. მცდელობის ჯილდო კი - სრულყოფილი და ლამაზი პირადად თქვენი და არა სხვისი ცხოვრება იქნება.

რა გავაკეთოთ თუ ცხოვრების რომელიმე სფეროში გვსურს სიტუაციის შეცვლა?

დაიწყეთ იმით, რომ უნდა ისწავლოთ უკეთესობის ლოდინი!

ხომ ვიცით ყველამ, რომ „პლიუსის“ თუ „მინუსის“ ნიშნით სიტუაციის განვითარება ნებისმიერ შემთხვევაში დაახლოებით თანაბრადაა შესაძლებელი. ამის გათვალისწინებით კი გაუგებარია-რატომ უნდა გადავიხაროთ მაინც და მაინც პესიმისტურ ნახევრისკენ? ხომ შეგვიძლია გამოვიჩინოთ უკეთესისკენ მისწრაფება და პოზიტიურად ვიცხოვროთ? მოდით სვლა სწორედ აქედან დავიწყოთ! და მაშინ აუცილებელი იქნება გამოვიყენოთ სხეულის ენა, რომელიც არის არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე. არავერბალური კომუნიკაცია ნიშნავს კომუნიკაციას სიტყვების გარეშე. იგი გულისხმობს კომუმუნიკაციას ხმის ტონის მეტყველების ტემპის, ჟესტების, სხეულის, გამომეტყველების, თვალით კონტაქტის შეხების, გარეგნობისა და ურთიერთობისას დაკავებული მანძილის მეშვეობით.

კაცობრიობის ისტორიაში არავერბალური კომუნიკაცია დროში ბევრად წინ უსწრებდა ვერბალურს. ენის წარმოშობამდე ადამიანები ჟესტების, გამომეტყველების, ტირილის, სიცილის, ყვირილის და შეხების მეშვეობით ერთმანეთს ატყობინებდნენ თუ სად იყო ცხოველი, რომლის მონადირებაც შეიძლებოდა, რას გრძნობდნენ ერთმანეთის მიმართ ან რას განიცდიდნენ, თავად შიოდათ თუ წყუროდათ.

დღესაც მოზრდილი ადამიანი არავერბალურ კომუნიკაციას ფართოდ იყენებს. დადგენილია რომ კომუნიკაციის 60%-ზე მეტს სწორედ არავერბალური კომუნიკაცია შეადგენს. არავერბალური კომუნიკაცია უნარია, რომელიც სწავლას და გავარჯიშებას ექვემდებარება. თუმცა არსებობს გარკვეული თანდაყოლილი მიდრეკილებებიც. მაგალითად, ქალები კაცებზე უკეთ ახერხებენ არავერბალური კომუნიკაციის გაგებას და მის გამოყენებას. კომუნიკაციის არავერბალური ხერხების ფლობა ძალზე მომგებიანია. მასში გაწაფული ადამიანები უფრო წარმატებულნი არიან.

როგორც აღვნიშნე, სხეულის ენა არის არავერბალური კომუნიკაციის ერთ-ერთი სახე. ვფიქრობ, საინტერესოა მისი დეტალურად განხილვა. სხეულის ენას შეუძლია იმოქმედოს ჩვენს სასარგებლოდ და ასევე ჩვენს საწინააღმდეგოდ. საკუთარი სხეულის მართვა ადამიანს დიდ შესაძლებლობებს ანიჭებს, სხეულის ენაში კარგად ჩახედული ადამიანები ასევე ფლობენ იმის უნარს, რომ უკეთ აღიქვან არავერბალურ კომუნიკაციაში ჩადებული კოდები და სწორად შეაფასონ გარშემო მყოფთა რეაქციები, რაც მათ საშუალებას მისცემს, თავისთვის სასურველი მიმდინარეობა მისცენ მოვლენებს ადეკვატური ნაბიჯების გადაგმის შემთხვევაში.

სხეულის ენის ტექნიკის კარგად ფლობა ასევე დიდ როლს თამაშობს ტყუილის გამოაშკარავებაში. ამ ტექნიკას იყენებენ პოლიციაში, სასამართლო ფსიქოლოგები, უსაფრთხოების ექსპერტები და სხვა გამომძიებლები. ამის ცოდნა ასევე სასარგებლოა მენეჯერებისთვის, დამსაქმებლებისთვის რათა თავიდან აიცილონ თაღლითობა და შეცდომები.

სხეულის ენამ ხუთი ტიპის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს. ეს ტიპებია: ემბლემები-სიტყვების ნა-

ცვლად იხმარება, მაგ: თავის დაქნევა „ კი“ - ს წარ-მოთქმის ნაცვლად.

ილუსტრატორები - ახდენენ წარმოთქმული სი-ტყვების ილუსტრაციას. მაგ:მარჯვენა ხელის მოძრაო-ბა გარედან სხეულისაკენ ახდენს სიტყვა „წავედით“ ილუსტრაციას.

გრძნობის მაჩვენებლები - სახის მეშვეობით ხდება სიხარულისა და მწუხარების, გაოცებისა და ინტერე-სის გამოხატვა.

რეგულატორები - მოსაუბრის მეტყველებას აკონ-ტროლებს. მოსმენისას ჩვენ თავს ვაქნევთ, მოსაუბრეს მზერას ვაპყრობთ. სხვადასხვა ხმებს გამოვცემთ.

რეგულატორები მოსაუბრეს მიანიშნებენ გვსურს თუ არა კიდევ რამის გაგება, თუ მიგვაჩნია რომ თემა ამოწურულია.

ადაპტორები - ჩვეულებრივ ადამიანის რაიმე მოთხ-ოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება, ხშირად ისინი ავტომატურად გაუცნობიერებლად მიმდინარე-ობენ. მაგ: ნაკბენის მოფხანა, უსიამოვნო პირის მოახ-ლოებისას მკლავების მკერდზე გადაჯვარედინება, მოსმენისას ფანქრის ღეჭვა და სხვა.

ის რისი ცოდნაც სასარგებლოა

– სწრაფი მეტყველების დროს - იზრდება ნათქ-ვამის შინაარსის ზეგავლენა ადამიანზე და ამ შემთხ-ვევაში ნათქვამი უფრო სარწმუნო ხდება.

– საათზე ყურება და საკუთარი ფრჩხილების შემოწმება - ეს მოწყენის აშკარა ნიშანია. არასოდეს დახედოთ საათს როდესაც ვინმეს ესაუბრებით. ასევე, თავი აარიდეთ ფრჩხილებზე ყურებასაც.

– თვალების დავიწროება - თუ გინდათ, რომ ვინ-მეს აგრძნობინოთ, რომ არ მოგწონთ ის ან მისი იდეა, თვალები დაავიწროვეთ მისი ყურებისას, ოდნავ თვალების დავიწროება ინსტიქტური, უნივერსალ-

ური გამომეტყველებაა ბრაზის გამოსახატავად. ცხოველთა სამყაროს სხვადასხვა სახეობებში (ვეფხვი, ძაღლი და ა.შ) ზოგიერთი ადამიანი შეცდომით თვალებს ავიწროვებს საუბრისას იმის საჩვენებლად, რომ ფიქრობს, ნუ შეიყვანთ ადამიანებს შეცდომაში, ნუ დაავიწროვებთ თვალებს.

– მზერა - მიღებულია, რომ მზერა 3 წამი, ურთიერთ თვალებში ყურება კი 1,20 წამი უნდა გრძელდებოდეს, ამ ნორმებზე ხანმოკლე მზერა ინტერესის არ ქონად, ხოლო უფრო ხანგრძლივი, ზედმეტი ყურადღების გამოხატულებად აღიქმევა.

– თავის ორიენტაცია - მაღლა აწეული თავი წინ წამოწეული ნიკაპით, თვითრწმენას, სიმამაცესა და შეუპოვრობაზე მეტყველებს. გვერდზე გადახრილი თავი მორჩილებასა და დაქვემდებარებაზე მიუთითებს.

წინ დახრილი თავი უარყოფით და აგრესიულ დამოკიდებულებაზე.

– სახის შეხება საუბრისას - სახის შეხება და განსაკუთრებით ცხვირისა, ჩვეულებრივ ტყუილის ნიშნად აღიქმევა. პირის ხელით დაფარვაც ტყუილის გადასაფარი ბუნებრივი ჟესტიკულაციაა. საუბრისას ყოველთვის შორს გეჭიროთ ხელები სახისგან.

– ყალბი ღიმილი - ესეც ტყუილის ნიშანია. ბუნებრივი ღიმილი თვალის კუთხეებს ანაოჭებს და მთელი სახის გამომეტყველებას ცვლის. ყალბ ღიმილში მხოლოდ პირი და ტუჩებია ჩართული. ამ ორის გარჩევა ძალიან ადვილია. ნუ დააძალებთ საკუთარ თავს გაღიმებას... თუ ეს კამერისთვის არ გჭირდებათ.

– ხელების თავქვეშ ან თეძოებზე მოთავსება - ჩვეულებრივ აღიქმება, როგორც ამპარტავნების ნიშანი. მხოლოდ ახლობელთან შეიძლება ამგვარი ხელის მოძრაობის გამოყენება. სიარულისას ხელების უკან დაწყობას ძირითადად კაცები მიმართავენ და

თავის ძალაუფლებას მიანიშნებენ.

– გადაჯვარედინებული ფეხებით დგომა - საკუთარ თავში დაურწმუნებლობის და დაბნევის ნიშანია. ჯდომისას ფეხების გადაჯვარედინება საკუთარ თავში ჩაკეტვაზე და უსაფრთხოების სურვილის არ ქონაზე მიუთითებს.

– კეფის და კისრის მოფხანა - ეს ეჭვის და დაურწმუნებლობის ტიპიური ნიშანია. ასევე ეს შეიძლება მიიღონ, როგორც ტყუილის ნიშანი. შეეცადეთ საუბრისას ხელები თავისგან შორს გეჭიროთ.

– ძალიან ახლოს დგომა - ეს ადამიანებს დისკომფორტს აგრძნობინებს. ადამიანები თავის საკუთარ სივრცედ აღიქვამენ დაახლოებით 1.20 მ სივრცეს სხეულის გარშემო. ამ სივრცის დარღვევა მხოლოდ ახლო მეგობრების და ინტიმური პარტნიორების შემთხვევაში შეიძლება.

– მოლაპარაკებისას - მოსაუბრის მარცხენა მხარეს ჯდომა ზრდის მოლაპარაკის მიერ წარმატების მიღწევის ალბათობას. პირისპირ ჯდომა უფრო შეჯიბრის და კონფრონტაციის ანუ წინააღმდეგობის მაჩვენებელია.

„ ადამიანების 2 პროცენტი - აზროვნებს, 3 პროცენტი - ფიქრობს, რომ აზროვნებს, ხოლო 95 პროცენტს ურჩევნია მოკვდეს, ვიდრე იაზროვნოს“ - ასეთი სატირითა და გროტესკით გამსჭვალული, მახვილი ფრაზით ბრიტანელმა მწერალმა, დრამატურგმა და საზოგადოებრივმა მოღვაწემ, ნობელის პრემიის ლაურეატმა - ჯორჯ ბერნარდ შოუმ (George Bernard Shaw) დაყო ადამიანები “ გონიერებად “ და „ უგუნურებად“. 5- სა 95 - ის შეფარდებას სხვა ცნობილი, მოაზროვნე ადამიანებიც იზიარებენ „ მთელი მოსახლეობის ოთხმოცდათხუთმეტ პროცენტს მიაჩნია, რომ მისი უბედობა, სიღატაკე, დაავადებები, ნაადრევი სიკვდილიანობა

დამოკიდებულია სწორედ იმ ხუთ პროცენტ - შემოქ-მედებით პიროვნებებზე, რომლებიც მიირთმევენ ყველაფერ იმას, რასაც ვერ ჭამს

ოთხმოცდათხუთმეტი პროცენტი... მათ სასტიკად სძულთ ეს ხუთი პროცენტი - შემოქმედი პიროვნებები და მზად არიან ყელი გადაუღრღნან მას - ამ სახის მოსაზრება კი კოსმონავტიკის დამაარსებელს ციოლკოვსკის ეკუთვნის.

„ ადამიანებს ყოველთვის სჭირდება ვინმე ვინც მათ მიხედავს. ადამიანების 95 პროცენტს მსოფლიოში ესაჭიროება, ვინმე რომ ეუბნებოდეს თუ რა უნდა აკეთონ და როგორ უნდა მოიქცნენ.“ ეს უკვე მსახიობისა და პოლიტიკოსის ა.შვარცნეგერის სიტყვებია.

მრავალი მეცნიერი და ფილოსოფოსი ეთანხმება იმ აზრს, რომ მოსახლეობის სწორედ 95 პროცენტი წარმოადგენს ,,ადამიანთა ხროვას'', „მდუმარე უმრავლესობა'' და ბოდიშს ვიხდით. - ,,ბრბოს'' ნაწილს მიაჩნია, რომ სოციალურ გაერთიანებებში უდიდეს ეფექტურობას ყველაზე პრიმიტიული ინდივიდები აღწევენ, ხოლო გონიერი ადამიანი ასოციალურია, ვინაიდან ის არ იზიარებს პრიმატების პრინციპებს და სხვა ღირებულებების სისტემებით- მორალითა და ეთიკით ხელმძღვანელობს. ამიტომაა, რომ, მისგან განსხვავებით, მარტივი არსებები, რომელთა მთავარ ღირებულებებს წარმოადგენს : იკვებონ, გამრავლდნენ და დომინირებდნენ - უფრო იოლად აღწევენ შედეგს. ,,ისინი ბაბუინებივით ცხოვრობენ რის გამოც ინტელექტი მათ არ ესაჭიროება.“

ერთ - ერთმა სპეციალისტმა სრულიად პესიმისტური პროგნოზიც კი გააკეთა : ,,ასე თუ გაგრძელდა, კაცობრიობა უსასრულოდ გაუგუნურდება, ვინაიდან “ ბაბუინები“ სამწუხაროდ, უკეთ მრავლდებიან. შედეგად კი ცოტა ხანში სამყარო შესაძლოა მხოლოდ ჯანმრ-

თელი, ლოყებღაჟღაჟა დებილებისგან შესდგებოდეს, რომლებიც მათთვის დადგენილ ჩარჩოში მოქცეულები ,,წესიერი'' კანონმორჩილი მოქალაქეები გახდებიან, ეს - უფერულების მასა იქნება ".

მაგრამ ბოლო კვლევები გვიჩვენებს, რომ ამ ინერტული ,,მასის" მოცულობა უკვე 95 კი არა, არამედ 65 პროცენტს წარმოადგენს. ასეთი ,,დამაიმედებელი" მაჩვენებელი გამოუვიდა მეცნიერებს, რომლებმაც ჰოლანდიაში, გერმანიაში, ესპანეთში, იტალიაში, ავსტრიასა და იორდანიაში ხელახლა გაიმეორეს ,,მილგრემის ექსპერიმენტის" სახელწოდებით ცნობილი კვლევა.

,,მტკივნეული" (მიუღებელი) ბრძანება

ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგი სტენლი მილგრემი, რომლის კვლევის საგანს ძალაუფლების ფსიქოლოგია წარმოადგენს(ამტკიცებდა, რომ ,,არცერთმა ადამიანმა არ იცის - რის მაქნისია თვითონ") ამ თემასთან კავშირში ჩაატარა საოცარი ექსპერიმენტი, ექსპერიმენტმა შოკში ჩააგდო მთელი მსოფლიო.

მილგრემის კოლეგების აზრით, მეცნიერმა ფარდა ახადა ადამიანის სულის ისეთ ბნელ მხარეს, რომ ყველაფრის მნახველი მკვლევარებიც კი გაოცებულნი დარჩნენ. კვლევის დასკვნებმა შემზარავი ეფექტი მოახდინა მათზე. ჩატარებული ცდების შედეგებმა უჩვენა, რომ ადამიანების საკმაოდ მნიშვნელოვანი პროცენტი მზადაა ავტორიტეტად მიჩნეული პიროვნების ბრძანებით ყველაფერში, სრულიად დაუშვებელშიც კი დაემორჩილოს მას.

ამ კვლევის პროცესში შემთხვევით და პირობითად შერჩეული მოხალისეები ექსპერიმენტატორის (ავტორიტეტული პიროვნება) ბრძანებით ,,მსხვერპლის'' მიმართ ,,დენისდარტყმას'' იყენებენ (იმიტაცია). ისინი ამას მხოლოდ მიღებული ბრძანების შედე-

გად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე აკეთებდნენ. ამ ბრძანებას ასრულებდნენ იმის მიუხედავად, რომ „მსხვერპლი“ იკლაკნებოდა ტკივილისგან და ითხოვდა შეწყალებას. ამ „წამების“ ექსპერიმენტმა დაარწმუნა ფსიქოლოგები იმაში, რომ დამორჩილებისკენ მიდრეკილება იმდენად ღრმად არის ჩამჯდარი ადამიანების ნაწილის სულში, რომ სრულიად აბათილებს „ მსხვერპლის“ მიმართ თანაგრძნობის განცდას.

გამოსაცდელს სთავაზობდნენ გარკვეული ხნით გაითავისოს „მასწავლებლის“ ფუნქცია და აცნობდნენ ორ ადამიანს. ერთ მათგანს-მსახიობს-აცნობდნენ, როგორც მაღალი ავტორიტეტის მქონე „მეცნიერს“, ლაბორატორიის ხელმძღვანელს, რომელიც სწავლობდა ფიზიკური ტკივილის ზეგავლენას გადაწყვეტილებების მიღებაზე. მეორეს - როგორც „მოსწავლეს“ რომელიც ვალდებულია უპასუხოს „მასწავლებლის“ მიერ დასმულ კითხვებზე. არასწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში ის უნდა დაისაჯოს დენის დარტყმის მეშვეობით. „ ჯალათის“ მოვალეობა „მასწავლებელს“ უნდა შეესრულებინა. „მეცნიერი“ მას აძლევდა ბრძანებას რომ ჩაერთო დენის გენერატორი, რომლის სადენები მიერთებული იყო „მოსწავლის“ სკამთან, ელექტროდები კი მიერთებული ჰქონდათ ხელებზე. გენერატორის გადართვის ბერკეტს გააჩნდა წარწერები: „სუსტი დენი“, „ საშუალო ძალის დარტყმა“ და „სახიფათოა - უმძლავრესი დარტყმაა“. ყოველი მომდევნო არასწორი პასუხის შემთხვევაში მოხალისეს დენი უნდა აეწია 15 ვოლტით, ანუ ამ გამოცდის განმავლობაში მინიმალური 30-დან მაქსიმალურ 450-მდე.

რა თქმა უნდა, სტენლი მილგრემი სადისტი არ იყო. მიუხედავად იმისა, რომ აპარატურა ძალიან ჰგავდა ნამდვილს, ის მხოლოდ კარგად შესრულებულ მულაჟს წარმოადგენდა და ცდების მონაწილეებს რეალუ-

რად არ აყენებდა ტკივილს „ მოსწავლე“ მოჩვენებით ქმნიდა ტკივილის განცდას ხოლო მოხალისე „მასწავ-ლებელმა“ ამის შესახებ არ იცოდა. „მოსწავლე“ სპე-ციალურად იძლეოდა მცდარ პასუხებს, „მასწავლე-ბელი“ კი შესაბამისად უმატებდა დენის სიმძლავრეს. მისი ზრდის შესაბამისად „მოსწავლე“ უმატებდა „ტკი-ვილისგან“ კივილს . მოთქმას, უბაგუნებდა ფეხებს და ითხოვდა, რომ შეეწყვიტათ მისი წამება.

300 ვოლტზე ის ჩუმდებოდა უკვე აღარ პასუხობდა კითხვებზე. „მასწავლებელს“ აძლევდნენ განმარტებას, რომ პასუხის გაუცემლობა უნდა გაუტოლოს არასწორ პასუხს და განაგრძოს „დასჯა“.

სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ მოხალისეთა უმეტესი ნაწილი რაღაც ეტაპზე მაინც მიმართავდა „მეცნიერს“ წამების შეწყვეტის თხოვნით, მაგრამ იმის შემდეგ, რომ გაიგონებდნენ მკაცრ ,,არა“-ს კვლავ კიდებდნენ ხელს გენერატორის გადამრთველ ბერ-კეტებს. ინსტრუქციის შესაბამისად ,,დასაჯა“ უნდა მიეყვანათ 450 ვოლტამდე, ანუ „უმძლავრეს დარტყ-მამდე“.

გაუგებარი, გაუმართლებელი მორჩილება საინ-ტერესოა, რომ მილგრემიც არ ელოდა ასეთ წარ-მოუდგენელ შედეგს: ,,მოსწავლის“ მძიმე ტანჯვისა და კივილის მოუხედავად, მოხალისეთა 65% მაინც მივიდა დენის სიმძლავრის სკალის ზედა ზღვრამდე. იმავდროულად, ამ ცდების დაწყებამდე პროგნოზით ბრმად მორჩილების მხოლოდ 3% იყო ნავარაუდევი! რა თქმა უნდა, ცდების დასრულების შემდეგ მოხალ-ისე - „მასწავლებლებიდან“ ბევრი უძლიერეს სტრესში იმყოფებოდა, შეწუხებულნი იყვნენ „მსხვერპლის“ ჯანმრთელობის გამო ზოგი მათგანი „მეცნიერზე“ გა-ბრაზებულიც კი იყო. მაგრამ, იმის მიუხედავად, რომ ნებისმიერს, ყველა ეტაპზე შეეძლო, არ დამორჩილე-

ბოდა „ავტორიტეტს“ და არ ეწამებინა ცოცხალი ადამიანი, უმეტესობამ მაინც არჩია შეესრულებინა მითითება, ამავე დროს ისიც არის აღსანიშნავი, რომ ამ ექსპერიმენტში მონაწილეობისთვის ისინი არავითარ გასამჯელოს არ ღებულობდნენ. მაშ, რა აქცევს ადამიანს ამდენად მორჩილ არსებად? ხოლო „მეცნიერის“ ავტორიტეტი არც თუ იმდენად დაუძლეველი იყო. ბრძანების შესრულების იძულებისთვის მას არ გააჩნდა განსაკუთრებული ძალაუფლება, მისი, როგორც ხელმძღვანელის, ერთადერთ ატრიბუტს მხოლოდ თეთრი ხალათი და ის გარემოება წარმოადგენდა, რომ მოხალისეებს საკუთარი თავი ხელმძღვანელად მან თვითონვე წარუდგინა. მაშ რა აქცევს ადამიანს ამდენად მორჩილ არსებად?

მილგრემის დასკვნა:

1. ადამიანის ცხოვრებაში დამკვიდრებულია აუცილებლობა, რომ ემორჩილებოდეს სხვა ადამიანს, რომლის ავტორიტეტიც საკუთარზე უფრო მაღალია.

2. მორჩილების მიდრეკილებას ის გამოავლენს , რომც მოუწიოს საკუთარი მორალური კოდექსის დარღვევა და ეთიკით ნაკარნახევი მოთხოვნების იგნორირება.

3. ადამიანთა უმეტესობა, რომელიც განზრახ სხვას არასოდეს არ მიაყენებდა ფიზიკურ ტკივილს, ამის მიუხედავად მაინც დატანჯავს მსხვერპლს ამის მრძანებას თუ მიიღებენ ადამიანისგან, რომელსაც საკმაოდ ავტორიტეტულ პიროვნებად აღიქვამენ.

აღნიშნული დასკვნა სხვა წლებშიც, სხვა ქვეყნებში, სხვა და სხვა ეროვნების, სქესის და სარწმუნოების ადამიანების მიმართაც მრავალ ჯერ დადასტურდა. ამ კვლევების შედეგად ფსიქოლოგებისთვის გასაგები გახდა მთავრობებისა და პოლიტიკური ლიდერების უნარი, რომელსაც ისინი იყენებენ რიგითი მოქალაქეე-

ბის მორჩილების მისაღწევად. ეს „ავტორიტეტები“ ჩვენს მიმართ ძლიერი ზეწოლის მოხდენას და ჩვენი ქცევის მუდმივ გაკონტროლებას ცდილობენ. მაგრამ ამ კვლევის შემდეგ მაინც დარჩა ღია, პასუხგაუცემელი კითხვები, კერძოდ კი - რას წარმოადგენს „მილგრემის ეფექტის“ ბუნება? შესაძლებელია შევცვალოთ საკუთარი თავი იმდენად, რომ აღარ დავექვემდებაროთ მის გავლენას?

ერთ-ერთი სკეპტიკოსის მოსაზრება

სკეპტიკოს სოციოლოგთა ნაწილმა განაცხადა, რომ „მილგრემის ეფექტის“ აღმოჩენა უფრო საზიანო და არა სასარგებლო გამოდგა. მკვლევარებმა მათ მიაწოდეს დაკვირვების სრული ამონარიდი და ილუსტრირებისთვის მოუყვანეს სიმხეცის გამოვლენის საყოველთაოდ ცნობილი მაგალითები - საკონცენტრაციო ბანაკებში ებრაელების მასობრივი განადგურების ან აბუ გრეიბის ციხეში ერაყელების წამების დადგენილი ფაქტების თაობაზე და აუხსნეს, რომ ორივე ამ ფაქტის განმარტება სავსებით შესაძლებელია იდეოლოგიური ამოცანით, რომელიც ჩაუნერგეს შემსრულებლებს. ორივე შემთხვევაში დამორჩილება ხომ არ იყო გარდაუვალი. მილგრემის ცდებს ატარებდნენ სწორედ იმისთვის, რომ დაგვენახა ავტორიტეტისადმი დამორჩილებაში რა სიღრმემდე შეიძლება მივიდეს პიროვნება ადამიანური რწმენის საწინააღმდეგოდ და სხვა ადამიანების მიმართ დამოკიდებულებაში. სამწუხაროდ, ის კონკრეტული ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომელმაც განაპირობა და უზრუნველყო ცდების დროს მორჩილების ესოდენ მაღალი დონე, დღემდე გაურკვეველი და ძირფესვიანად შეუსწავლელი რჩება. შესაძლებელია, დამორჩილების მაღალი მაჩვენებელი განსაზღვრა იმან, რომ ყოველი მომდევნო შოკი მხოლოდ ოდნავ განსხვავდებოდა წინა დასჯისგან

და ამის გამო შემსრულებლის მიერ არ აღიქმებოდა ძალიან მწვავედ. იმ შემთხვევაში თუ ცდებში მონაწილე მოხალისეებს, რომ ჰქონოდათ იმის ზუსტი შეცნობა, რომ დენის დარტყმის ძალის გაზრდა სხვა ადამიანის ტრაგედიაში გადაიზრდება, უმეტესი ალბათ ან თავიდან, ან საწყის ეტაპზევე არ დაემორჩილებოდა ბრძანებას.

შესადარებელი ანალოგია მილგრემის ხსენებულ ცდებს ხშირად ადარებენ სტენფორდის ციხის ექსპერიმენტს- „ციხის სასტიკი თამაშები". ეს არანაკლებ ცნობილი ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ჩაატარა ამერიკელმა ფსიქოლოგმა ფილიპ ზიმბარდომ ამ შემთხვევაში მოხალისე სტუდენტები ასრულებდნენ ციხის მცველების და პატიმრების როლებს.

ერთ - ერთ სხდომაზე ზიმბარდომ ასეთი დარიგება მისცა მცველებს: „შექმენით პატიმრებში სევდისა და შიშის გრძნობა, თქვენი მხრიდან თვითნებობისა და განუკითხაობის შეგრძნება, შთააგონეთ, რომ მათი არსებობა მთლიანად კონტროლდება ჩვენი ქმედებით, სისტემის, თქვენ და ჩემს მიერ, რომ მათ საერთოდ არ გააჩნიათ პირადი სივრცე... სხვა და სხვა ხერხით ვეცდებით წავართვათ მათ პიროვნული ინდივიდუალობა. ჯამში, ეს ყველაფერი, ჩამოუყალიბებთ უძლურობის შეგრძნებას. რაც ნიშნავს იმას, რომ შექმნილ ვითარებაში ჩვენს ხელთ იქნება სრული ძალაუფლება, მათ კი - „არავითარი". გამოსაცდელები ცხოვრობდნენ პირობით ციხეში, რომელიც იყო მოწყობილი ფსიქოლოგიის კათედრის კორპუსში. „პატიმრები" და „მცველები" სწრაფად შეეგუენ საკუთარ როლებს და წინასწარი მოლოდინის საწინააღმდეგოდ ძალიან მოკლე დროში შეიქმნა ნამდვილად სხიფათო სიტუაციები. პირველივე ღამეს „პატიმრებმა" გაითამაშეს ამბოხი, ხოლო „მცველებმა იგრძნეს თუ არა

ტუსაღების მხრიდან შესაძლო დაუმორჩილებლობის საფრთხე, სასტიკად ჩაახშვეს ეს ჯანყი. ბევრმა ვერ გაუძლო ასეთ წნეხს და გატყდა, ხოლო ყოველ მესამე „მცველში“ გამოვლინდა სადიზმის მიდრეკილება. ისინი აწყობდნენ ჩხრეკვებს სამოსის სრული გახდით. კრძალავდნენ ტუალეტით სარგებლობას, შეურაცხყოფდნენ, უზღუდავდნენ ძილსა და საჭმლის მიღებას. შექმნილ ვითარებაზე კონტროლის დაკარგვის გამო მეცნიერებს ვადაზე ადრე მოუწიათ აღნიშნული ექსპერიმენტის დასრულება. სამყარო, მისი ყველა შემადგენელი კომპონენტით, ერთდოულად ტალღას და ნაწილაკს წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს ფარდობითობის თეორია. დედამიწაც ერთდროულად არის ტალღაც და ნაწილაკიც. სულ რამდენიმე ათწლეულის წინ მისი ტალღოვანი სიხშირე (შუმანის რეზონანსი) 7,8 ჰც შეადგენდა, ამჟამად იგი საგრძნობლად და ინტენსიურად იზრდება. ბავშვების უმრავლესობა დღეს უკვე ახალი ცივილიზაციისთვის ადაპტირებული ტვინით იბადება, მათთვის მაღალი სიხშირეების მიღება ჩვეული საქმეა. ისინი შეგნებულად მოქმედებენ დახვეწილ სამყაროებში (В ТОНКИХ МИРАХ), თუმცა ტრადიციული (კონსერვატიული) მედიცინის თვალსაზრისით ტვინის ასეთი სიხშირე, ფუნქციონირება შიზოფრენიის ნიშანია. შუმანის რეზონანსი - ანუ დედამიწის ელექტრომაგნიტური სიხშირე 7,8 ჰც ადამიანის ტვინის ალფა-რითმის სიხშირეს ემთხვევა, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ადამიანი და ბუნება ერთნი არიან. უფრო გასაგებად, რომ განვმარტოთ ალფა-რითმი (8 დან 13 ჰც მდე) - ტვინის ის სიხშირეა, რომელშიც ადამიანი იმყოფება მოდუნებულ მდგომარეობაში და არა ძილში.

შუმანის რეზონანსის ონლაინ მონიტორინგი

- NASA დაინტერესდა ამ კვლევით და შეიმუშა-

ვა მოწყობილობა, რომელსაც იყენებდნენ კოსმონავტების რეზონანსული სიხშირის ოპტიმიზაციისთვის, ვინაიდან ისინი არ ღებულობდნენ დედამიწისგან ჩვეულ სიხშირეს. ამის გამო მათ ეწყებოდათ თავის ტკივილი, თავბრუხვევა და ა.შ. (კოსმოსური დაავადება). საქმეც იმაშია, რომ 14 – 15 ჰც სიხშირე, რომელიც დღეს აღინიშნება, ტვინის უკვე ბეტა-რითმს შეესაბამება. ამის შედეგად ადამიანთა უმრავლესობაში შეიმჩნევა თავბრუსხვევა, რადგან ტვინი იძულებულია იმუშაოს მუდმივად მზარდ სიხშირეებზე. სიხშირის შემდგომი ზრდის შემთხვევაში, ტვინი მიაღწევს 30 -ზე მეტ გამა-რითმს, რომელიც შეესაბამება შთაგონებისა და შემოქმედების მდგომარეობას. ტვინის ფუნქციონირებას (ვიბრირებას) 50 ჰც სიხშირეზე დზენბუდისტები ცნობიერ განათლებულობას (Просветлением) უწოდებენ. ხოლო ადამიანის მოუმზადებელ ტვინს არ შეუძლია მიაღწიოს ამდენად მაღალ სიხშირეს და მით უფრო, შეინარჩუნოს ის. ჩვენი ტვინის სიხშირე დედამიწის სიხშირესთან ერთად იზრდება და უფრო მეტი შეცნობით მუშაობს. საყურადღებოა, რომ წიგნის ამ თავის დაწერის დროს ძლიერ გამომადგა კომპიუტერული სისტემის ელექტრონული ჟურნალები, რომლებიც სხვადასხვა ავტორების მიერ მომზადებულ რეალურ პუბლიკაციებზეა აგებული... ძნელი დასათანხმებელი არაა, რომ ყველაფერი მეტყველებიდან იწყება, რომელიც სულ მცირე ორი ინდივიდის ურთიერთობასთან არის დაკავშირებული. ბავშვი მეტყველებას მაშინ იწყებს, როდესაც სურს რაიმე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და მიზნის მისაღწევად სხვას მიმართავს. ბავშვის ამეტყველება რთული პროცესია და მშობლებისგან ძალიან დიდ ძალისხმევას მოითხოვს. ბავშვის ამეტყველება ორ ძირითად მოვლენას უკავშირდება, ესენია:

• ბავშვის მიერ გამოყენებული მოძრაობების გაგება

• ბავშვის მიერ სიტყვების წარმოთქმა

ხოლო ბავშვებში მეტყველების განვითარება სამ მნიშვნელოვან ეტაპად იყოფა:

– მოსამზადებელი, ანუ ღუღუნის პერიოდი (2-4 თვე) - ამ ასაკში ბავშვები დადებით ემოციებს ბგერებით განოხატავენ და მათ არანაირი შინაარსობრივი დატვირთვა არ გააჩნიათ, ხოლო 5 თვის ასაკისათვის წარმოთქმული სიტყვები უფრო მრავალფეროვანი და დიფერენცირებულია. 7 თვის კი პატარა ცალკეული მარცვლების წარმოთქმას იწყებს.

– სენსორული მეტყველების ჩამოყალიბების პერიოდი – ეს არის მეტყველების განვითარების მეორე ეტაპი, რომელიც 7-8 თვის ასაკიდან იწყება. პატარა ცალკეული სიტყვების უკეთ აღქმას იწყებს. აკავშირებს მათ კონკრეტულ საგნებთან. რეაგირებს გარკვეული კითხვების მიმართ და ცდილობს სიტყვების გამეორებას. ერთი წლის ასაკისთვის ბავშვს ესმის რამდენიმე ათეული სიტყვის მნიშვნელობა.

– მოტორული მეტყველების პერიოდი – დროთა განმავლობაში უფრო ფართოვდება ლაპარაკის გაგების უნარი. წლინახევრის ბავშვებს ესმით მთელი წინადადების შინაარსი, სიამოვნებით

ათვალიერებენ ნახატებს, გულისყურით უსმენენ უფროსების მონათხრობს. 2 წლის ასაკში აინტერესებთ მარტივი მოთხრობები, ზღაპრები და წარმოთქვამენ 3-4 სიტყვისგან შემდგარ წინადადებებს.

აღსანიშნავია ისიც , რომ სანამ ენას აიდგამს ბავშვი მანამდე უნდა განუვითარდეს გაგების უნარი. თუ მშობლები სიტყვების წარმოთქმისას მიუთითებენ კონკრეტულ საგნებზე ეს ხელს შეუწყობს სწორედ გაგების უნარის ჩამოყალიბებას. ამით პატარა სიტყვების მნიშ-

ვნელობას უკეთ იგებს და ამყარებს ლოგიკურ კავშირს სიტყვასა და საგანს შორის. ბავშვის მეტყველებისთვის დამახასიათებელი ნიშნებია კივილი და ტიტინი, კივილის საშუალებით ბავშვი ზემოქმედებს სხვებზე და იპყრობს მათ ყურადღებას. ტირილთან მიმართებაში მშობლები საკმაოდ ფრთხილად უნდა იყვნენ, როდესაც ბავშვს ტირილის შემდეგ ყველა სურვილს უსრულებენ, რათა იგი გააჩერონ, ამას მივყავართ გარკვეული ქცევის დასწავლამდე. შედეგად პატარები იაზრებენ, რომ ტირილით ისინი ყველა სურვილის დაკმაყოფილებას შეძლებენ და ამ იარაღს საკმაოდ ეფექტურად იყენებენ. თანდათან კი ტირილი და კივილი მათ სამეტყველო ენაში საფუძვლიანად მკვიდრდება. ადრეულ ასაკში ისინი მექანიკური ხასიათისაა და ბავშვი ყოველგვარი გააზრების გარეშე იყენებს მათ, ეს ეტაპი დაახლოებით 8 თვემდე გრძელდება. აღსანიშნავია ისიც, რომ ტიტინს ბავშვები იშვიათად იყენებენ, რადგანაც მათი სურვილების დაკმაყოფილება ტირილით უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ტიტინით. ეს უკანასკნელი სპონტანური ხასიათის მატარებელია და გაგების უნარის შეძენის შემდეგ განსხვავებულ მახასიათებლებს იძენს.

ეტაპი, როდესაც ბავშვები იწყებენ მეტყველებას არის საკმაოდ მნიშვნელოვანი მათ ცხოვრებაში. მშობლების ხელშეწყობით კი ისინი სწორად მეტყველებას სწავლობენ, რაც არის საწინდარი მათი განვითარებისა და ხელშემწყობი ფაქტორი სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისა. თუ გვსურს დავეხმაროთ ბავშვს ენის ადგმაში უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები: ელაპარაკეთ ბავშვს ყველაფერ იმაზე, რასაც თქვენ აკეთებთ მასზე ზრუნვის პროცესში, ტანსაცმლის გახდისას უთხარით, თუ რას ხდით, მიუთითეთ სხეულის ნაწილებზე, როდე-

საც აჭმევთ უთხარით, თუ რისგან არის დამზადებული მათი საკვები, ესაუბრეთ ზუსტად დასწორად, ნუ გაამარტივებთ სიტყვებს. ბავშვებისთვის დამახასიათებელია თავისებური მეტყველება, მაგალითად ისინი ძაღლს ხშირ შემთხვევაში „აუას“ ეძახიან, მშობლებმა და უფროსებმა კი ამგვარი სიტყვები თავიანთ საუბარში არ უნდა გამოიყენონ და პატარებს უნდა უთხრან სიტყვის სწორი ფორმა. განვითარების ამ ეტაპზე ბავშვს სჭირდება უფროსების მრავალმნიშვნელოვანი საუბრის მოსმენა. თუ მშობლები მეტყველებენ ნელა, მონოტონურად და ბავშვისთვის გასაგებ ენაზე საუბარი არაბუნებრივი ხდება და შედეგი არის ის, რომ ბავშვი ყველა მოვლენასა თუ ფაქტზე თითქმის ერთნაირად რეაგირებს. ხშირად აჩვენეთ ბავშვებს სურათებიანი წიგნები და აუხსენით სურათზე მიმდინარე მოვლენა, დაუსახელეთ დახატული ობიექტი, უთხარით თუ რისთვის გამოიყენება ის და ეს ყველაფერი აუხსენით ისე თითქოსდა უხსნიდეთ 3 წლის ასაკის ბავშვს. მიუხედავად იმისა, რომ პატარას არ ესმის თუ რაზე ველაპარაკებით მას ამგვარი მანერით მოპყრობა ძალიან იზიდავს. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია თამაშის პროცესში ავუხსნათ დეტალები პატარას, მოვუსმინოთ მას საუბრის მომენტში და ყოველთვის გავცეთ პასუხი მის მიერ დასმულ კითხვებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მასთან ვერბალური კონტაქტის დამყარება, როდესაც ბავშვი იწყებს ტიტინს და ცდილობს უფროსებთან ურთიერთობის დამყარებას. გახსოვდეთ, რომ ბავშვს არ სჭირდება თქვენი კომენტარები რაიმე საქმის კეთებისას, ან მონოლოგი. მას სჭირდება მხოლოდ თქვენთან საუბარი. თუ თქვენთვის ძნელია კომუნიკაციაში შესვლა და სასურველი თემის შერჩევა სულ მცირე თავს ძალა დაატანეთ და ბავშვის მიერ დასმულ კითხვებს მაინც უპასუხეთ, განსაკუთრე-

ბით მაშინ როდესაც შვილი თვითონ ცდილობს თქვენთან საუბრის გაბმას.

ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, რომ მშობლების როლი შვილის აღზრდის პროცესში ძალიან დიდია, იგი მოითხოვს სიფრთხილესა და ყურადღებას. მშობლებო, გახსოვდეთ, რომ თქვენზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული და გულისყურით მოეკიდეთ შვილების აღზრდის პროცესს! უფროსო თაობავ, მშობლებო და პედაგოგებო, მიმოიხედეთ გარშემო. დააკვირდით ბავშვებს, უმცროს დებსა თუ ძმებს! ვერ ამჩნევთ - რამდენად განსხვავდებიან ისინი ჩვენგან თავისი აზროვნებით, ქცევით, ღირებულებებითა და თუ გნებავთ, ცხოვრების წესით, რომლის დამკვიდრებასაც ცდილობენ ჩვეულის ნაცვლად?... როგორ მოვიქცეთ? თვალი გაუსწოროთ ამ რეალობას, თუ მოვიტყუოთ თავი - ვითომ არაფერი არ ხდება და ყველაფერი მხოლოდ მოცლილი ადამიანების ფანტაზიებია? ბევრი თქვენთაგანისათვის ცნობილია, რომ გერმანიის მესამე რეიხის დროს არასტანდარტული მახასიათებლების მქონე ბავშვებს ლეგენდარულ ჰიპერბორეაში ოდესღაც მცხოვრები უძველესი ნორდიული რასის გენეტიკურ „ნამსხვრევებად“ მიიჩნევდნენ, მათზე „ნადირობდნენ“. მათ ეძებდნენ და ცდილობდნენ „გაემრავლებიათ“ სპეციალურად შექმნილ „ფერმებში“... ამას ნიცშეს თეორიას ნუ დაუკავშირებთ. ნაცისტებს, მათი იდეოლოგიიდან გამომდინარე, მხოლოდ არაჰუმანური იდეები ამოძრავებდათ. მკვლევართა ნაწილი ამტკიცებს, რომ განსხავებული თვისებების მქონე ბავშვების ამ ქვეყნად მოსვლა XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაფიქსირდა: კაცობრიობას ისინი სამ ტალღად მოევლინენ და თითვეულს განსხავებული სახელი დაერქვა: პირველი ტალღა - ინდიგო, მეორე - კრისტალური, ხოლო მესამე - ცი-

სატყელასებრი (ნათელი) ბავშვები. ყველა მკითხველმა ალბათ არც იცის, რომ უკვე საკმაო ხანია, თითქმის მთელ მსოფლიოში , ყოველწლიურად - 29 იანვარს აღინიშნება ინდიგო ბავშვების საერთაშორისო დღე. იმავდროულად საუბარი რომ იწყება ამ მახასიათებლების მქონე ბავშვების თაობაზე „სპეციალისტების“ ნაწილი, პირზე მომდგარი ქაფით, გასძახის თავის ვერსიას იმის თაობაზე, რომ განსხავებულ ნაკადებს ადგილი არ ჰქონია, სხვები კი მათ საწინააღმდეგოდ აცხადებენ-ეს აბსოლუტურად განსხვავებული თაობებია. მკვლევართა ეს ნაწილი ამტკიცებს, რომ ყველა მომდევნო ნაკადი უფრო მეტადაა განვითარებული და ამ ბავშვებს ახასიათებთ წარმოუდგენელი მოცულობის ინფორმაციის მიღებისა და შენახვის უნარი, ისინი გამოთვლით სისტემებს საკუთარი ორგანიზმის ნაწილად აღიქვამენ. მათ შესწევთ რეალობის ქსოვილის გასწვრივ ყველაფრის დანახვის, წინასწარმეტყველებისა და მომავლის შეცვლის უნარი... ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ ინდიგოს ფერი წარმოადგენს მესამე თვალის, ან თვალთაშორისი ჩაკრის ფერს. ეს ბავშვები ინტუიტიურები, მენტალურები, იმავდროულად სწრაფები არიან, რის გამოც ყველაფერი ძალიან მალე ბეზრდებათ, ზოგი სპეციალისტის მტკიცებით კი ინდიგო ბავშვებს არ გააჩნიათ კარმა. ინდიგოსგან განსხვავებით კრისტალურებს, მათი აურის ფერის გამო კი არა, არამედ მაღალი ვიბრაციის გათვალისწინებით დაერქვა სახელი. კრისტალურ ბავშვებს პასტელური ტონალობის, სხივოსანი თვალები აქვთ. ისინი გვეხმარებიან კრისტალის მშვენიერების სრულყოფილ აღქმაში. კრისტალურ ბავშვებში დომინირებს თავის გვირგვინის ჩაკრა ან იისფერი სპექტრი, თეთრი ან გამჭვირვალე აურის ჩათვლით. ამ ბავშვების მოსვლის სიგნალი მძლავრად აჟღერდა 2011

წლის სექტემბერში, დაიწყო კრისტალური ბავშვების ერა. უნდა ითქვას, რომ ცალკე, გამოკვეთილად ცისარტყელასებრი ჯგუფის თაობაზე ჯერ-ჯერობით ბევრი რამ არ თქმულა, ამ ტალღის აქტიური გამომჟღავნების დრო ახლა იწყება. მკვლევართა უმეტესობის დაკვირვებით უფროსი თაობის ადამიანები ხშირად ვერ გებულობენ ინდიგო ბავშვების აზრებს, მათი ქცევისა და ქმედების ბუნებას და ამის გასამართლებლად აფარდებენ „ყურადღების დეფიციტის“ დიაგნოზს. საუბედუროდ, მედიკამენტების გავლენის შედეგად ინდიგო ბავშვი კარგავს მისთვის დამახასიათებელ საოცარ მგრძნობიარობას, სპირიტუალურ უნარს და „მებრძოლ“ ენერგიას. გარდა ამისა უფროსები ვერც იმას აცნობიერებენ, რომ კრისტალური ბავშვები ქმნიან თაობას, რომელიც სარგებლობს ინდიგოს მიერ გაკვალული გზით და რომ წინა ნაკადისგან ისინი მშვიდი და გაწონასწორებული ბუნებით განსხვავდებიან. „... ეს იმ ბავშვების „ახალი ტიპის ცნობიერებაა“, რომლებიც ახლა იბადებიან. მათ არ გააჩნიათ არაფერი, რაც დამახასიათებელი იყო წინა ცნობიერებისთვის. ჩემო ძვირფასებო, სწორედ ამაში გამოიხატება, მათი განსხვავებულობა ჩვენგან. ხომ ხედავთ, რომ ისინი მოვიდნენ ბალანსის მქონე საწყისებით: მარცხენა/მარჯვენა, მამრობითი/მდედრობითი, ისინი წარმოადგენენ იმ კატეგორიას, რომელიც მზადაა ვენერის გადასასვლელით გავლისთვის. პირველ რიგში, ისინი წარმოადგენენ კაცობრიობის იმ ნაწილს, რომელიც ყველაზე ადრე მიაღწევს ვენერის გადასასვლელით გადანაცვლების თანხმობას. ამ რვა წლიანი ფანჯრის პერიოდში სწორედ ისინი ელოდებიან იმას, რომ იქცნენ ლიდერებად იმის მიუხედავად, რომ ძალიან ახალგაზრდები არიან (არ უთხრათ მათ ამის შესახებ) სწორედ ისინი დაუდგებიან ხელშემწყობებად მათ, ვისზეც იქნება

დაკისრებული ქვეყნების, კორპორაციების მართვა და მათ, ვინც დაიწყებს კონტინენტების განკურნვას. მიაქციეთ ყურადღება მათი ზეგავლენის შესაძლებლობებს და გაოცებულები დარჩებით...“(ამ საკითხებთან დაკავშირებით შეგიძლით გაეცნოთ კრაიონის წიგნებს: „ბოლო დრონი“, „არ იაზროვნო, როგორც ადამიანმა“, „სულიერი ზამთარი“, „ამაღლების თვალით ხედვა“, „ვენერის გასასვლელის ძღვენი“) წინასწარმეტყველი, მეტაფიზიკოსი, ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (წიგნების: “ზრუნვა ინდიგო ბაცშვებზე“, „ ღმერთები და ანგელოზები“, „ანგელოზური მედიცინა“, „ანგელოზური თერაპია“, „გზავნილი ანგელოზებისგან“, „ფერიების ჯადოსნური სამეფო“-ს ავტორი) დორინ ვირჩე (Doreen Virtue) აცხადებს, რომ „პირველი, რაც კრისტალურ ბავშვებში თქვენს

ყურადღებას იპყრობს, ეს მათი თვალებია - უზომო, გამჭრიახი, მცოდნე იმ დონეზე, რომელსაც ვერ იგულისხმებ მათი ასაკის გამო, თუ ამყარებენ მხედველობით კონტაქტს. აღარ გტოვებენ, რაც მოქმედებს გიპნოზურად და თქვენ გებულობთ, რომ სული გეხსნებათ ამ თვალების წინაშე...“ სპეციალისტების ნაწილს მიაჩნია, რომ ბავშვის სახით ამგვარი მახასიათებლების მქონე ცალკეული ადამიანები ყოველთვის ევლინებოდნენ კაცობრიობას. ისინი მოდიოდნენ ჩვენს სამყაროში როგორც მოგზაური-მკვლევარები, რომლებიც გვეხმარებოდნენ ცნობიერების ახალი ჰორიზონტების ათვისებაში, უმეტესად კაცობრიობა ვერ უგებდა და ცუდად ექცეოდა ასეთ ადამიანებს, მას ეშინოდა ამ ადამიანების და ამიტომ ხოცავდა მათ, მაგრამ ჩვენს გასანათლებლად მოსულები მაინც ტოვებდნენ წარუშლელ კვალს და თესავდნენ ღვთის ნაბოძებ განახლების მარცვალს, ორი ათასი წლის წინ კაცობრიობას მოევლინა ის, ვინც

ცნობილი გახდა, როგორც იესო ქრისტე. ზოგი იმასაც ამბობდა, რომ კრისტალი და ქრისტე (ჩრისტალ – ჩრისტო) მსგავსი სიტყვებია და მათ ერთი მნიშვნელობა გააჩნია. ასეთი მოსაზრების წაკითხვაც მომიწია: „ინდიგო ბავშვების ცნობიერება - იოანე ნათლისმცემლის ცნობიერებას შეესატყვისება, ხოლო კრისტალური ბავშვების - ქრისტეს ცნობიერების მსგავსია. ყველანი ხომ ველოდებით ქრისტეს მოსვლას, მაგრამ ვინ თქვა, რომ ის ხელმეორედ იმავე გზით მოვა? ამჟამად, როდესაც მთელ მსოფლიოში მავანი ქადაგებს და გვასწავლის მოყვასის სიყვარულსა და შემწყნარებლობას, რა მნიშვნელობა და დატვირთვა ექნება ქრისტე რომ მოგვევლინოს კიდევ ერთ მასწავლებლად? ის ხომ უკვე მოსულია, მაგრამ უფრო გლობალურად - მრავალი ათასი ახალშობილი კრისტალური ბავშვის სულისა და ცნობიერების მეშვეობით. ინდიგოსთან შედარებით ისინი ხომ ადამიანების მიმართ უფრო დიდი სიყვარულითა და შემწყნარებლობით განწყობილნი არიან. გაიხსენეთ, როგორ შეამზადეს ანგელოზებმა მარიამი და იოსები იმისთვის, რომ მათ ოჯახში მოევლინება განსხვავებული ბავშვი. იესო გაჩნდა ოჯახში, სადაც მას გაუგეს, ის უნდა გაზრდილიყო სიყვარულისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში, რათა მომზადებულიყო და დაუფლებოდა მამა ღმერთისგან დაკისრებული მისიის შესრულებისთვის საჭირო თვისებებს“. ვინაიდან ქრისტე მოგვევლინება სამყაროს გადამრჩენად და ამ დროისთვის ქვეყნად უკვე იქნება მოვლენილი ძალიან ბევრი მოსიყვარულე და ბრძენი ბავშვი. იმის ნაცვლად, რომ საკუთარ მავნე გამოცდილებაზე დაყრდნობით ეცადონ ამ ბავშვების სწავლება და აღზრდა, მშობლები თვითონ იქნებიან მზად უსმინონ და ისწავლონ მათგან. ალბათ ეს უნდა ვიგულისხმოთ ქრისტეს ქადაგებაში - თუ არ ვემსგავსებით ბავშვებს, ვერ ვიხი-

ლავთ სასუფეველსა ცათასა. ამიტომაც მიაჩნია მავანს, რომ ახალი თაობის ბავშვები გადაარჩენენ სამყაროს, ისინი მოუწოდებენ უფროს თაობას უსმინოს ბავშვებს, ვინაიდან ბავშვების ახალმა თაობამ ბევრი რამ იცის, უფრო სწორად - მას უფროსებზე მეტი „ახსოვს“. ხომ ატყობთ, რომ ბავშვების ნაწილს ტელეპატიის, ფსიქოკინეზის (ახლო მდებარე ობიექტების გადანაცვლება გონების ძალით) და ტელეკინეზის (გარკვეული დისტანციიდან ობიექტების გადანაცვლება გონების ძალით) უნარი გააჩნია გარდა ამისა, ახალი თაობის ბავშვები ადვილად ეუფლებიან ლევიტაციის და ტელეპორტაციის შესაძლებლობებსაც. სპეციალისტთა აზრით, კვლევები გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვნად იზრდება იმ ბავშვების ხვედრითი წილი, რომლებშიც დომინირებს თავის ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო, მაგრამ ამას სავალდებულოდ არ ახლავს მარცხენა ხელის დომინირებაც. ადრეულ თვითშეგნებასა და აზრის სწრაფ აღქმასთან ერთად ახალ თაობას კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისებაც გააჩნია - სახოვანი, მთლიანი, ერთიანი ათვისების უნარი, ამგვარი თვისება ბევრ, პირობითად ლეგასტენიკებად წოდებულ, ადამიანსაც ახასიათებს. ამ ტიპის აზროვნება იძლევა რეალური ურთიერთკავშირებისა და უდიდესი მოცულობის ტექსტების ელვისებურად აღქმის შესაძლებლობას, ის ათას ჯერ უფრო სწრაფია ჩვეულ აზროვნებასთან შედარებით, რომელიც აზრიდან - აზრისკენ, სიტყვიდან - სიტყვისკენ „მოძრაობს“. ინდიგო და კრისტალურ ბავშვებს დაბადებიდანვე მოსდევს მძლავრი შემოქმედებითი პოტენციალი, რომლის განვითარების ხელშეწყობისთვის ამჟამად არსებული სისტემა აბსოლუტურად არ არის მზად. ფსიქოლოგები იტყვიან, რომ ამ ბავშვებს ინფორმაციის ანალიზის ფენომენალური უნარი გააჩნიათ, მასწავლებლები მათ უმართაო-

ბას, მშობლები კი ეგოიზმსა და დაუმორჩილებლობას უჩივიან, ხოლო ექსტრასენსები ყურადღებას აქცევენ წინასწარმეტყველების ნიჭს. არ გიჯერებთ შვილი პირველივე მიმართვისთანავე, თქვენი მითითებით არ სურს დაძინება, უარს აცხადებს საჭმელზე, რომელიც თქვენი აზრით სასარგებლოა მისთვის? თავბრუ გეხვევათ მის მიერ დასმული კითხვების უსასრულო ნაკადისგან? ძალიან მოძრავია? არ ერთობა ბავშვებისთვის ჩვეული , „კლასიკური“ თამაშების მეშვეობით? ფანტაზიებით აღსავსეა? თქვენთან საუბარში უჩივიან ააღმზრდელები ან მასწავლებლები - სავსებით შესაძლებელია, რომ თქვენი შვილიც „ ახალი ბავშვების “ თაობას მიეკუთვნება, რომლის აღზრდისადმი განსაკუთრებული მიდგომაა საჭირო. როგორ მოვიქცეთ და როგორ მოვექცეთ? - ეს კითხვები ყველაზე ხშირად ისმის. საერთაშორისო ორგანიზაციის „ინდიგო ბავშვების ნათების წრე“ დამაარსებლის, აურა-სომოს მეოთხე დონის მასწავლებლის კაროლინა ჰეგენკამპის (Carolina Hehenkamp) აზრით, “ჩვენი საერთო მიზანია - ხელი შეუწყოთ ბავშვებისა და მშობლების ერთობლივ სულიერ განვითარებას“. გამოიყენეთ საკუთარი ინტუიციის შესაძლებლობები, რომ მოახდინოთ ამ ბავშვების ენერგიასთან სინქრონიზაცია, მიაღწიეთ ერთიანობას და შედეგიც საოცარი იქნება.

როგორ მოვებყროთ? რა პირობები შეუქმნათ ასეთი თვისებების მქონე ბავშვების აღზრდას?

გვესმის, რომ რთულია მშობლის შეგუება ისეთ ბავშვთან, რომელსაც არ სჭირდება მშობელი ჩვეული გაგებით. ამიტომ ყველაზე უტყუარი გამოსავალი იქნება მშობელი თუ შესძლებს საკუთარი თავის შეცვლას, მოძებნის მშობლის ქცევის ახალ ფორმას იმისთვის, რომ ბავშვმა შეინარჩუნოს ბავშვობა და იმავდროულად გრძნობდეს, რომ მისი შინაგანი სიმწიფე აღიარე-

ბულია გარშემო მყოფი ადამიანების მიერ. მშობლები, განსაკუთრებით კი დედები, ხშირად განიცდიან იმას, რომ მათი ინდიგო - შვილებისთვის დამახასიათებელია ჩვეულთან შეუსაბამი ყურადღების დაბალი კონცენტრაციის დონე და ჰიპერაქტიურობა, მათ უჭირთ შვილის მოქცევა ჩვეულ ჩარჩოებში და იმის მიღწევა, რომ ყველა უფროსის მიმართ გამოხატოს საკადრისი პატივისცემა. აწ და მარადის ყველამ დავიმახსოვროთ, რომ ავტორიტეტი - მხოლოდ ავტორიტეტისთვის ამ ბავშვებში მიუღებელია. კრისტალური და ინდიგო ბავშვები საოცრად გრძნობენ და ვერ იტანენ სიცრუეს. ისინი უმალვე გებულობენ , როდესაც მათი დასწრებით ან მათ მიმართ იძახიან ტყუილს. ამცირებენ ან ცდილობენ მანიპულირებას. ცრუ ადამიანი ვერ ეღირსება მათ პატივისცემას, მისიიდან გამომდინარე, ისინი წარმოადგენენ ტყუილის საწინააღმდეგო თავისებურ დეტექტორს. ამის გათვალისწინებით ურთიერთობაში მშობელი ყოველთვის უნდა იყოს გულწრფელი და მართალი. კრისტალური ბავშვების დიდი ნაწილისთვის 3-4 წლამდე დამახასიათებელია მეტყველების ნელი ტემპით განვითარება. მაგრამ, მშობელთა თქმით, მათ ურთიერთობაში ეს არ ქმნის გადაულახავ პრობლემებს. პრობლემა კი წარმოიშობა იმ მომენტიდან, როცა მედიკოსებისგან ან პედაგოგებისგან ამგვარი ბავშვი, განაჩენის სახით, მიიღებს დიაგნოზს- „მეტყველების განვითარების ანომალია“... გარდა ამისა პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კრისტალური ბავშვების რიცხოვნობის ზრდასთან ერთად იმატა „აუტიზმის“ დიაგნოზის რაოდენობამაც. კრისტალური ბავშვები მართლაც განსხვავდებიან წინა თაობებისგან, მაგრამ ჩვენთვის გაუგებარია, ამ განსხვავებაში რატომ უნდა დავინახოთ მაინც და მაინც მხოლოდ პათოლოგია , რატომ უნდა მოვახდინოთ პრობლემის ხელოვნური კონსტრუირე-

ბა? აუტიზმის დიაგნოსტიკის კრიტერიუმი ხომ ცალსახაა და კარგად არის ცნობილი სპეციალისტებისთვის: აუტისტი საკუთარ სამყაროში ცხოვრობს, მას არ გააჩნია გარემოსთან და სხვა ადამიანებთან შინაგანი კავშირი, ის არ მეტყველებს იმიტომ, რომ საერთოდ არ გააჩნია ამის მოთხოვნილება და სურვილი. კრისტალური ბავშვი კი სხვა რეალობას წარმოადგენს. ის - ალბათ, ყველაზე მოძრავ, ცოცხალ, ურთიერთობის მოყვარე, კეთილმოსურნე, მგრძნობიარე, სოციალურად აქტიურ თაობას მიეკუთვნება. იმავდროულად ძნელია მისი გამოყვანა ჩვეული მშვიდი მდგომარეობიდან, მას გააჩნია სპირიტუალური უნარი, სპონტანურად ის ყოველთვის ეხმარება გაჭირვებულებს. აუტისტი კი ამას ვერ, ან არ გააკეთებს. გვერწმუნეთ რომ ჩვენს სამყაროში ამჟამად მოსული ახალი თაობის ბავშვები იმსახხურებენ პატივისცემას, უფრო მეტიც-თაყვანისცემას და არა შტამპს - „ ფუნქციონალური დარღვევები“ და თუ რამ მართლაც არის დარღვეული - პირველ რიგში, ეს ის სისტემებია, რომლებიც ვერ ეწყობიან ადამიანის განვითარებას ახალი ეტაპის შესატყვისად, ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ თუ დავაპირებთ შტამპებითა და დამღის დასმით ამ ბავშვების დათრგუნვასა და დამონებას, ან ჩვეულისკენ იძულებით, მედიკამენტოზურად შემობრუნებას, ჩვენ მოვსპობთ ღვთისგან ნაბოძებ ძღვენს და საწყისშივე დავანგრევთ ცივილიზაციას, რომელიც ახლა იწყებს ამ სამყაროში ფესვის გადგმას. პედაგოგიკაში,ისევე როგორც ხელოვნებაში, საკმაოდ ხშირად გიწევს თავიდან მიღწევა იმისა, რაც ადრე უკვე იყო.

... შეიძლება ითქვას, რომ ამ გაკვეთილიდან დაიწყო სწორედ ყველაფერი. აი ახლაც კი, როცა უკვე უკანაა ასობით ღია გაკვეთილი და ლექციების მთელი პლიადა, შემიპყრობს ეჭვი: შევძელი კი იმაზე

მაღლა ასვლა, სადაც ვიყავი მაშინ, სულ პირველ გაკვეთილზე? და როგორი სასიამოვნო და საამაყოა ცხოვრება და მუშაობა ისე, რომ შეგიძლია გადმოხედო შენს ოდესღაც აღებულ სიმაღლეებს!

...იმ დროს მე სტუდენტი ვიყავი, მოსკოვის ლომონოსოვის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე, იშვიათად თუ რომელიმე ჩვენგანი უკავშირებდა თავის ბედს სკოლას. მიუხედავად ამისა მე სკოლაში დავიწყე მუშაობა, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად... და აი, ჩემი პირველი გაკვეთილი, ნეკრასოვის „რკინიგზიდან“ უნდა განმეგრძო... კლასში ვარ! ოცდაათი წყვილი თვალი ინტერესით, გამჭოლი მზერით მიყურებს - რაღაც მოხდა ახლა ... პირველი გაკვეთილი - ყოველთვის ბრძოლაა. „ავტორიტეტის“ სკოლის სასწავლო ნაწილის გამგის დასწრებაც კი არ გშველის... შეუმჩნევლად ამოვალაგე მაგიდაზე კონსპექტები, გეგმა, რაღაც-რაღაც მომზადებული მასალები და - დავიწყე. როგორც მასწავლიდნენ, როგორც მირჩევდნენ... უცებ ვხედავ: კლასი თითქოს ნაწილებად იფანტება, ჩემი უნივერსიტეტული მჭერმეტყველების ტალღებზე... კიდევ ერთი წუთიც - და მე დავუთმობ ადგილს გამოცდილ მასწავლებელს, სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს რომელიც მთელი თავისი იერით გამოხატავს უკვე ავარიულ მზადყოფნას. მაგრამ „ლომონოსოველები“ - საერთოდ ამაყი ხალხია. გადავდე რა გვერდზე ჩემი კონსპექტები, გეგმა, მე გაბედულად გამოვედი მაგიდიდან-პირდაპირ ბავშვებისკენ. ვუყურებ ყველას ერთდროულად და ერთს რომელიღაცას (გულშემატკივარს!), ვიწყებ კითხვას ნეკრასოვის ლექსისას, სადაც ლაპარაკია ჭკვიანი ვანიას შესახებ: - მოიცათ, შევჩერდეთ! კი მაგრამ, საიდან ჩანს, რომ ვანია ჭკვიან-

ია? ნეკრასოვი კი დიადია, მაგრამ მაინც არ მაქვს იმის სურვილი, რომ სიტყვაზე დავუჯერო. იქნებ, არის ტექსტში რაიმე დამადასტურებელი საბუთი? მერწმუნეთ, არ ვიცი თქვენზე მეტი.

ჩაჩუმდა ხმები, აშრიალდა წიგნის ფურცლები. თითქოს ერთიანად დაიძრა ყველა ბავშვი ერთი უხილავი ცენტრისაკენ - ჩემი შეკითხვისაკენ. იგი არ იყო წინასწარ დაგეგმილი და კლასი ამას გრძნობდა. ათი წუთი მაინც, ერთად ყველანი ეძებდნენ პასუხს, რომელიც შეიძლებოდა, არც არსებულიყო. თუმცაღა, პოეტებმა იციან სიტყვის ფასი! და აი ისიც, გადამრჩენელი ხელი. - ვანია ჭკვიანია! - დარწმუნებით განაცხადა ბაფთიანმა და კიკინებიანმა მრგვალსახა გოგონამ : „მამა! ვინ ააშენა ეს გზა?“ - ეკითხება იგი მამამისს. ეს ხომ მხოლოდ ცნობისმოყვარეობა არ არის, ეს - მადლიერების გამოხატულებაცაა! მას უნდა მშენებელთა სახელების ცოდნა... მრავალი წლის შემდეგ მივხვდი: „პასუხები“ ბავშვებზე მოქმედებენ უფრო მეტად, ვიდრე „სიტყვები“. აი, მაშინ გამეხსნა მე შეკითხვის აზრი - ამ უმტყუნო იარაღისა ბავშვებთან ურთიერთობის რთულ ხელოვნებაში, მთელი სულით ვუხდიდი გულში მადლობას ამ გოგონას გაკვეთილის ბედნიერი წამისთვის და უცებ ვიკითხე დაფიქრებულმა: „ბავშვებო! აბა ვინ იცის რუსულად სახელწოდებები ჩვენი ქალაქის საინტერესო ადგილებისა? და დავიწყე ქალაქის ღირსშესანიშნაობათა ჩამოთვლა. ერთმანეთის ზურგსუკან დამალულები, ჩემი მეექვსეკლასელები ისხდნენ შეცბუნებულები. ახლა უკვე აღარავის აღარ ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ნეკრასოვისეული ვანიას გონება და კეთილი გული გამოიხატა თავად შეკითხვაში მამისადმი, ყურადღებაში იმ სიკეთისა და ფასეულობებისადმი, რომლებსაც გვიტოვებენ ჩვენ წასული თაობები... მე დავიწყე ბავშვების შერცხვენა. მათი ინ-

ერტულობისათვის, ინტერესის არქონისთვის, უმადურობისათვის. „ჭკვიანია ის, ვინც შეკითხვებს სვამს!“ – ჩემდაუნებურად წარმოვთქვი აფორიზმი, და ვიღაც უკვე იწერდა მას რვეულში. სასწავლო ნაწილის გამგე უხმოდ მანიშნებდა საათზე, მიმითითებდა დაფაზე, სადაც თემის სათაური ეწერა... მე კი უცებ საუბარი დავიწყე, ჭიათურის მაღაროთა სტახანოველ მუშებზე.

სწრაფად ჩავიკითხეთ ჩვენ ავტორის „პასუხი“ ჭკვიანი ვანიასადმი: თითქმის მთელი პოემა. მე კი არა, ბავშვები ქმნიდნენ გაკვეთილს უფრო სწრაფს და ოპერატიულს, ვიდრე წარმომედგინა.

შემდგომში ეს გაუმართლებელი, მკაცრი სტანდარტების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დროებითი „გადახვევა“ თემიდან მეჩვენა მე არაშემთხვევითი. მის გარეშე, შესაძლებელია, იქნებოდა რუსული ლიტერატურის გაკვეთილი, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ ცხოვრების გაკვეთილი ყოფილიყო და შესაძლებელია, მაშინ გავიაზრე მთელი სიცხადით ჩემთვის უმთავრესი საკითხი: რა უფრო მნიშვნელოვანია - ასწავლო ლიტერატურა, თუ ასწავლო ლიტერატურით, შექმნა მისით ადამიანის სული? -„მე ცხოვრება, ცოლ-ქმრული ურთიერთობები არ მასწვლეს“ - ამ სიტყვების მიღმა უამრავი სირთულეებით სავალი გზა და ბავშვთა არასწორი ფსიქიკური განვითარებაა, თითქოს და მოდად იქცა, დღევანდელ რეალობაში, მარტოხელა დედები და პასუხისმგებლობას გაქცეული მამაკაცები... მე არ გავურბივარ ადამიანებთან სიახლოვეს: პირიქით, სწორედ ბავშვობისდროინდელი სიშორეგადებული ადამიანებს შორის მიბიძგებს სიმატოვისკენ“ - ასეთი მოსაზრება გამოთქვა ოდესღაც ფრიდრიხ ნიცშემ. ზუსტად ამ ფაქტორის გამო ხომ არ არის თანამედროვე საყაროში ამდენი მარტოხელა ადამიანი - გოგონა თუ ახალგაზრდა ქა-

ლბატონი?! კარტის ფურცლების სახლივით რატომ ინგრევა ხოლმე ურთიერთობა ახალ გაცნობილ ყმაწვილთან თუ მამაკაცთან? ქალის მიმზიდველი გარეგნობისა და გონიერების მიუხედავად, ზოგ შემთხვევაში, ესოდენ სწრაფად რატომ ქრება მის მიმართ ინტერესი? სად მოვძებნოთ ამ კითხვებზე პასუხი? მხოლოდ ნიცშეს გამონათქვამში?

ფრანგმა ფილოსოფოსმა და დრამატურგმა ჟან-პოლ სარტრმა თავისებურად განმარტა პრობლემის არსი. მისი აზრით: „სიმარტოვეში ყოფნის დროს მარტოხელად თუ გრძნობ თავს - ეს იმას ნიშნავს, რომ ცუდ საზოგადოებაში იმყოფები“. მისი აზრით სიმარტოვის მიზეზს პირველ რიგში, საკუთარ თავში უნდა ვეძებდეთ.

მნიშვნელოვანი მიზეზი, ენერგეტიკული ველია, ქალის მიმზიდველობა არ არის დამოკიდებული მხოლოდ მის გარეგნულ მონაცემებზე და არც მხოლოდ იმაზე თუ როგორ გამოიყურება ის კონკრეტულ მომენტში. შეიძლება მოდურად და გემოვნებით იცმევდეს, ურთიერთობის დროს საინტერესოდ და მომხიბლავად გამოიყურებიოდეს, მაგრამ მაინც „დააფრთხოს“ თანამოსაუბრე. რატომ? რის გამო? საქმე იმაშია, რომ ჩვენი შინაგანი განწყობა და ქცევის სცენარი თითქმის უშეცდომოდ იკითხება ურთიერთობაში შემოსული პარტნიორის მიერ. თავისებური დისტანციური სიგნალის სახით ის ღებულობს შეტყობინებას, ანუ იგებს, მაგალითად, რომ: „მარტოობა - მისი არჩევანია, სრულიად უმნიშვნელოა გათვითცნობიერებული აქვს მას ეს თუ გაუთვითცნობიერებელი“, „ურთიერთობა მას რეალურად არც ესაჭიროება“, ანუ მსგავს ვითარებაში თანამოსაუბრის მიერ ჩვენი აღქმა ხდება არავერბალური კომუნიკაციის დონეზე.

ამ მიმართულებით მომუშავე ზოგიერთი სპეციალ-

ისტის აზრით „უმეტესობას გაჩნია სხვა ადამიანის სურვილის ინტუიციურად აღქმის უნარი. როგორ ყალიბდება და მიმდინარეობს ეს პროცესი? ნეირონები (თავის ტვინის ნერვული უჯრედები) ერთმანეთში ურთიერთობენ მრავალი პროცესის, მათ შორის - ელექტრო იმპულსების მეშვეობით. ამის გამო ლოგიკური იქნება მივიჩნიოთ, რომ ჩვენს გარშემო იქმნება თავისებური „ენერგეტიკული ველი", რომელიც ააშკარავებს ჩვენს მდგომარეობასა და განცდას. თითოეული ადამიანი რაღაცაზე არის პროგრამირებული, ჩვენი ყველა განწყობა უმალვე ისახება ჩვენს გამომეტყველებაში, ანუ გარე გამოსახულება ასახავს შინაგან მდგომარეობას, ან გრძნობას და ერთად ახდენენ დადებით ან უარყოფით გავლენას სხვა ადამიანზე, ამ პრობლემის კიდევ ერთი ასპექტი - ვფიქრობ, რომ დიდ საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რამეთუ სიმარტოვეს განსაკუთრებულად განიცდიან მსხვილ ქალაქებში (პირველ რიგში მეგაპოლისებში) მცხოვრები ადამიანები, - გამონაკლისს არც წარმატებული და საყოფაცხოვრებო კეთილდღეობის მქონე ადამიანები წარმოადგენენ. იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი კიდევაც მოძებნიან პიროვნებას, ვისთანაც ურთიერთობის დამყარებას შესაძლებლად მიიჩნევენ, ეს ურთიერთობა, როგორც წესი, მაინც არ ღებულობს ხანგრძლივ ხასიათს. ამ კატეგორიის ადამიანები აგრძელებენ საკუთარი თავის მსგავსი პიროვნებების ძებნას და სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში - ვერც პოულობენ... ადამიანს, მისი ბუნების ეგოცენტრისტული თვისებებიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ ის სამყაროს ცენტრს წარმოადგენს, ხოლო დანარჩენები ამ სამყაროში მხოლოდ იმისთვის არსებობენ, რომ დააკმაყოფილონ მისი სურვილები, ამ კატეგორიის ადამიანი ცდილობს გამოიყენოს ყველანი და ვერ ხედავს იმის აუცილებლო-

ბას, რომ თვითონვე უნდა გასცემდეს სანაცვლოს, სხვათა სასარგებლოდ ამგვარს თუ აკეთებს კიდევაც, უმეტესად იმ შემთხვევაში- იძულებული თუ ხდება. სამწუხაროდ, ასეთია ადამიანის ბუნება. შეიძლება ითქვას, რომ ამ სახის მიდგომა წარმოადგენს „განუმეორებლობის", „ერთადერთობის" კანონს, რომელიც დამკვიდრებულია ადამიანის ბუნებაში. ეს კანონი არც ცუდი და არც კარგია, ვინაიდან ის ბუნებრივ რეალობას წარმოადგენს, მაგრამ თვითოეულს არ უნდა გვავიწყდებოდეს ბავშვობიდან საყოველთაოდ ცნობილი სიბრძნე - რასაცა გასცემ - შენია, რაც არა დაკარგულია... თუ ადამიანი მხოლოდ იყენებს სხვებს - ცხოვრებაში ის მარტოდ რჩება. სიმარტოვეს ხშირად განიცდიან ინერტული ნერვული სისტემის მქონე ადამიანები, რომლებიც რთულად ამყარებენ ახალ კონტაქტებს და ძალზე ნელა ეჩვევიან ახალ ნაცნობობას. ყველას სიფრთხილე გვმართებს. ხანგრძლივ სიმარტოვეს, მის უკიდურეს ფორმაში, ღრმა დეპრესიამდეც შეუძლია მიიყვანოს ადამიანი.

სხვა მიზეზი - აღზრდაში დაშვებული შეცდომები ან ნაკლოვანებები.

ეს ფაქტორი ფრიად ყურადსაღებია. ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში გოგონას შეიძლება ჩამოუყალიბდეს რწმენა, რომ „ბიჭები, მამაკაცები სახიფათონი არიან", „მამაკაცებს უნდა ექცეოდე ისევე მომხმარებლურად, როგორც ისინი იქცევიან ქალის მიმართ". ამგვარი მოსაზრებების ფონზე შესაძლებელია ჩამოყალიბდეს რწმენა, რომ „მარტოდ ყოფნა - უფრო მშვიდია". ამ სახის პროგრამების ჩანერგვა და დამკვიდრება გოგონას გონებაში ადრეული (5წლამდე) ასაკიდან იწყება, მით უფრო თუ ის მშობლებს შორის კონფლიქტების მომსწრე ხდება ან იზრდება მარტოხელა დედის ხელში, რომელმაც ბავშვი მხოლოდ თავისთ-

ვის გააჩინა. მარტოხელა დედები ხშირ შემთხვევაში სრულიად „ იპყრობენ“ ბავშვს, ცდილობენ მთლიანად შეავსონ მისი ფსიქიკური სივრცე და არ მისცენ ოდნავი თავისუფლებაც კი. ეს ყველაფერი ხდება მხოლოდ იმის გამო, რომ მარტოხელა დედებს თვით აშინებთ მარტოობა, ამის შედეგად ყველა ეტაპზე გოგონას უმკვიდრდება მოსაზრება, რომ მის გვერდით მხოლოდ დედის ყოფნა წარმოადგენს ცხოვრების არსს. სამწუხაროა, მაგრამ სწორედ ასეთ ვითარებაში მარტოობას ის განიცდის განსაკუთრებული სიმწვავით, ნებისმიერი დუმილი მისთვის მოუთმენელია. ის ყოველთვის ცდილობს შეავსოს პაუზები, მისთვის არა აქვს მნიშვნელობა რას იძახის, მთავარია, არ მისცეს სხვა ადამიანს ჩუმად ყოფნის შესაძლებლობა. ხომ მოგისმენიათ ფრაზა: „რამე მაინც მითხარი...“. ერთის მხრივ, მას არ შეუძლია და არც სურს მარტო ყოფნა, მისთვის აუცილებელია, რომ „მიეწებოს“ ვინმეს, ხოლო მეორეს მხრივ, დედის ცხოვრებისეული სცენარის კოპირების შედეგად არ შეუძლია სხვა ადამიანის ტრაგედიად იქცეს.

ქართველმა ერმა მრავალი, უდაოდ მნიშვნელოვანი ტრადიცია და ღირებულება შემოინახა. საუკუნოვანმა სიბრძნემ და ტრადიციებმა შეგვანარჩუნებინეს ერის სიწმინდე და გადაგვარჩინეს გადაგვარებისგან, მაგრამ ეპოქათა ცვლის და უცხო გავლენის შედეგად ჩვენს მართლაც ღირებულ ადათ-წესებში ზოგ შემთხვევაში ყალბი ან მეშჩანური ღირებულებებიც შემოგვეპარა. მათი ნაწილი არა მხოლოდ შემოგვრჩა, არამედ მყარად დამკვიდრდა კიდევაც ადამიანთა ცნობიერებასა და ცხოვრების წესში. სამწუხაროდ მავანი და მავანი დღესაც მიჰყვება მათ, ნაწილმა კი ერთგვარად „დააკანონა“ ისინი ჩვენს ყოფაში. ფსევდო - ღირებულებების ჩამონათვალი შეიძლება საკმაოდ ვრცელი აღმოჩნდეს და მათ მიმართ ბევრის თქმა შეი-

ძლება. დამკვიდრებული ფსევდო - შემზღუდავი ჩარჩოების თაობაზეც შესაძლებელია ვრცელი საუბარი, მათი ნუსხაც არანაკლებ შთამბეჭდავი იქნება, მაგრამ ამ ჩამონათვალის დასახელება და ნუსხის შედგენა უმჯობესია თვით ქალს მივანდოთ, ვინაიდან მასზე უკეთ არავინ იცის - რა უშლის ხელს ბედნიერების მოპოვებაში...

კიდევ ერთი შესაძლო მიზეზი - წარუმატებელი გამოცდილება.

წარუმატებელი გამოცდილების გააზრების შემდეგ ქალი ხშირ შემთხვევაში ირჩევს მარტო დარჩენას და ასაბუთებს ამას იმ მოსაზრებით, რომ აღარ სურს კვლავ განიცადოს განშორების ან შეცდომის სიმწარე და ამის გამო მარტოობა ურჩევნია. რა თქმა უნდა, ამ ხასიათის გადაწყვეტილებას არსებობის უფლება გააჩნია, ოღონდ ეს - უშუალოდ პირადად მისი არჩევანი უნდა იყოს. მსგავსი არჩევანის თაობაზე ბრძენმა ომარ ჰაიამმა ბრძანა: „უმჯობესია მარტოდ იყო, ვიდრე განურჩევლად ვისთან“. ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი მოტივით ხელმძღვანელობს ქალი,როდესაც რამდენიმე წარუმატებელი მცდელობის შედეგად მას ეკარგება სურვილი გამოიყურებოდეს მომხიბლავად და მიმზიდველად, რათა გამოიწვიოს ინტერესი და აღტაცება, რათა მამაკაცის გატაცება აქციოს ძლიერ გრძნობად. მარტოობით ის ცდილობს, დაიცვას თავი მორიგი იმედგაცრუებისგან და იცხოვროს მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის.

ერთ-ერთი მიზეზი - ემოციებისგან გაქცევა ზოგჯერ ქალი უბრალოდ გაურბის ემოციებს და ამგვარი გამოვლენა შესაძლოა არა მხოლოდ წარუმატებელი გამოცდილების ან დანაკარგის შედეგი იყოს, მას საკუთარი იმედგაცრუება უკვე აღარ ადარდებს იმდენად, რამდენადაც აფიქრებს, რომ თუ არ იქნება მოლოდი-

ნის შესაბამისი თვითონ არ გაუცრუოს იმედი სხვას. ის აშინებს, რომ ახალო ურთიერთობამ შესაძლოა გამოაჩინოს უშუალოდ მისი პიროვნული სუსტი მხარეები. ამ სიფრთხილის მიზეზი, ხშირ შემთხვევაში გარეგნული მიმზიდველობის და კარიერული წარმატებულობის მიუხედავად, დაქვეითებულ თვითშეფასებაშიც იმალება. ასეთ სიტუაციაში ქალი მიიჩნევს, რომ ის არ არის სასურველი ურთიერთობის შესატყვისი და რომ ყურადღებას მას კი არა, არამედ მხოლოდ მის გარეგნობას ან წარმატებულობას აქცევენ. მოდით, ამგვარი ვითარების განხილვის დროს ყური არ დაუგდოთ და უპირობოდ არ დავეთანხმოთ შოპენჰაუერს, რომელმაც განაცხადა, რომ „სიმარტოვის დროს თვითოეული საკუთარ თავში ხედავს იმას, რასაც წარმოადგენს სინამდვილეში“ კვლავ მიზეზი - გარანტიების არ არსებობა.

ზოგჯერ ურთიერთობის შიში უკავშირდება ნდობის ორმხრივ დეფიციტს : როგორც საკუთარი თავის - აგრეთვე სხვა ადამიანის მიმართ. ქალს ხელს უშლის სამი მუდმივი საკითხი, რომელიც დომინირებს ცნობიერებაში:

პირველი: „შესაძლებელია, რომ ვუყვარდე ვინმეს?“, „რამდენად შესაძლებელია, რომ ჩემით ვინმე მოიხიბლოს და სერიოზულად იყოს გატაცებული??“ /ეჭვი საკუთარი თავის მიმართ/

მეორე : „ეს ადამიანი ერთგული იქნება?“, „რამდენ ხანს შესძლებს ის ამას?“ /ეჭვი სხვა ადამიანის მიმართ/

მესამე : „რამდენად შესაძლებელია გიყვარდეს ვინმე მთელი ცხოვრების განმავლობაში?“ /ეჭვი საკუთარი თავის და სხვის მიმართ ხანგრძლივი გრძნობების უნართან დაკავშირებით/ მამაკაცთან ურთიერთობაში ასეთი განწყობის მქონე ქალს აშინებს ურთიერთობის დესტაბილიზაციის შესაძლებლობა და ის, რომ ყველა მცდელობა შესაძლოა უშედეგო გამოდგეს და

მომავალში მოგონებებით მოუწიოს ცხოვრება. ეს დასკვნა ძირშივეა მცდარი, ვინაიდან: „შეუძლებელია სიმარტოვის მოგონებებით შევსება, ისინი მხოლოდ აღრმავებენ მას“ /გ.ფლობერი/ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზთაგანი-ხანგრძლივი ურთიერთობის დამყარების შიში: მშობელთა ან ახლობელთა წარუმატებელი ან პრობლემური სცენარების განმეორების შიში: ცხოვრების ჩვეულ წესში და რიტმში შესაძლო ცვლილების შეტანის შიში: საკუთარ ილუზიებთან განშორების შიში: პასუხისმგებლობის შიში: საკუთარი ცხოვრების წარმართვის საკუთარ ხელში აღებისა და მისი მსვლელობის შეცვლის შიში.

სად ვეძებოთ გამოსავალი?

ერთი მამაკაცის მოკრძალებული რჩევა: უპირველეს ყოვლისა, დამშვიდდით! მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში სასურველი იქნება საკუთარი გენეალოგიური ხის შედგენა და იმის გარკვევა საგვარეულოში ვინ გყავდათ მარტოხელა, ვის მოუწია ოჯახის გარეშე ცხოვრება და იმის დანახვა თუ როგორ მჟღავნდება ამ საკითხებთან მიმართებაში თქვენი რწმენა, განწყობა და სურვილი. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ თქვენ შესძლებთ გაანალიზოთ საკუთარი სიტუაცია და გამოიტანოთ შესაბამისი დასკვნები. ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც დაგეხმარებათ ამ ტიპის ანალიზის ჩატარებაში „ოჯახური განლაგების“ მეთოდს უწოდებენ. თუ გრძნობთ, რომ დადგა ცხოვრებაში ცვლილებების შეტანის დრო, მაგრამ სიმარტოვეც არ გიშვებთ, გადაწყვეტილების მიღების წინ აიღეთ სუფთა ფურცელი, გახაზეთ ის შუაში, მარჯვენა მხარეს ჩამოწერეთ ცვლილების ყველა პლიუსი, ხოლო მარცხენა ნაწილში ყველა მინუსი. იმ შემთხვევაში თუ ჭარბი იქნება მინუსი-თქვენ ალბათ სიმარტოვეზე შეაჩერებთ არჩევანს, ხოლო თუ პლიუსი უფრო მეტი

აღმოჩნდა, გამოტანილი დასკვნა გადაგადგმევინებთ ახალი ნაცნობებისკენ და ურთიერთობებისკენ უფრო გაბედულ ნაბიჯს. სასიამოვნო გაცნობა შესაძლოა გადაიზარდოს რომანტიულ, ხოლო შემდგომში კი ოჯახურ ურთიერთობებში. ამისთვის საჭიროა თავს მისცეთ საკუთარი ოცნებისკენ სვლის უფლება და უკვე თვით ამ ცვლილებების პროცესისგან მიიღოთ სიამოვნება!

„დიდი სული არასდროს არ რჩება მარტოდ. ბედ-იღბალი მუდმივად რომ ართმევდეს მეგობრებს საბოლოოდ ის მაინც ყველასთვის შეიქმნის მათ“ /რომენ როლანი/

არაიშვიათობაა დღეს წიგნი, დაწერილი ორი, ან სულაც სამი ავტორის მიერ. ხოლო ლიტერატურის გაკვეთილი? რატომ უნდა ზიდოს იგი ერთმა მასწავლებელმა? სცენარისტისა და მწერლის მსგავსად, ხომ არ შევიდეთ ჩვენც თანაავტორობაში რომელიმე მოსწავლესთან? ისწავლიან რა, პარიტეტულ საწყისებზე იმუშაონ მასწავლებელთან, ბავშვები ამავე სქემით ითანამშრომლებენ ერთმანეთთანაც: ისინი თანაავტორობით დაწერენ საშინაო თხზულებებს, მოამზადებენ ანგარიშებს, ლიტერატურულ სიახლეთა მიმოხილვებს, ლექციებს, დისპუტებს და ა.შ. მისწრაფებით - გაამდიდრონ და შეავსონ ერთმანეთი შემოქმედებითად - იბადება თანაავტორობა. ეხება ეს მასწავლებელსაც. მაგალითად, მე, მოსწავლეებთანაც სიხარულით მივდივარ თანაავტორობაზე, ვანდობ რა სკოლის მოსწავლეს ხანდახან დიდ და საუკეთესო ნაწილს გაკვეთილისას. თემატური გეგმა, რომელსაც წლების მანძილზე არ ვაქცევდი სათანადო ყურადღებას, გახდა ორგანულად აუცილებელი, როგორც გრაფიკი თანაავტორული გაკვეთილების თანმიმდევრობისა, და როგორც რაღაც ტაბელი საკუთარი და მოსწავლეთა შესაძლებლობების აღნუსხვისა, მათი რაციონალური გამოყენებისა და

სრულყოფისა. და ბოლოს, აგრეთვე როგორც პანორამა იმისა, თუ რითი უნდა გაამდიდროს ყოველმა ჩვენგანმა ერთმანეთი, ერთობლივი მუშაობის მრავალი კვირისა და თვის მანძილზე.

ნებისმიერ კლასში არის მოსწავლე, რომელსაც შეუძლია წაიყვანოს სხვებიც. მოძებნოს იგი და მიყვეს მას - მასწავლებლის სიბრძნეა. თანაშემოქმედების სიხარულში იბადება გრძნობა საერთო პასუხისმგებლობისა ლიტერატურის წინაშე, გაკვეთილის, სკოლის საზოგადოების წინაშე. იმ საზოგადოებისა, რომლის ხვალინდელი დღის მამოძრავებელი ძალა დღევანდელი მოსწავლე თუ სტუდენტია, მე ხშირად მომიყოლია ჩემი მოსწავლეებისთვის შემდეგი ისტორია, რომ ერთი მესაათე მეგობარი მყავდა, რომელმაც თავისი მოულოდნელი მონათხრობით გამაოცა, თურმე იმ მექანიკურ საათში, რომელიც მე მაჯაზე მიკეთია, ორიათასამდე მცირე ზომის დეტალია, ჩვენ კი მხოლოდ ციფერბლატს ვხედავთ და ისრების მოძრაობით დროის აღქმა გვიხარია... სინამდვილეში კი საკმარისია, იმ ორიათასი დეტალიდან რომელიმემ წაიფორხილოს, რომ საათი მუშაობას შეწყვეტს... ასეა რეალურ ცხოვრებაშიც, ყველა თავისი თანამდებობით, სახელმწიფოს განვითარების მიმართულების ამსახველი ისარი ვერ იქნება, თუმცა „უმნიშვნელო“ ადგილზე მყოფის არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულებაც საკმარისია, რომ არშემდგარ სახელმწიფოში აღმოვჩნდეთ. ამიტომ პროფესიონალიზმთან ერთად, ქცევის ნორმებიც უნდა გავითავისოთ, რამეთუ ყველა ქვეყანას ახასიათებს თავისი ეტიკეტი და ქცევის ნორმა სხვადასხვა სიტუაციაში. ქცევის ეტიკეტი ძალიან მომაბეზრებელი, დაუწერელი კანონია, რომლის შესრულებაც მართლაც დიდ ნებისყოფასა და ყურადღებას მოითხოვს. ეტიკეტი არის ქცევის კოდ-

ექსი, რომელიც გამოხატავს თქვენს დამოკიდებულებას სოციალური კლასის ან ჯგუფის მიმართ. ეტიკეტი ფრანგული სიტყვაა, რაც ნიშნავს რაიმეზე დაშვების ბილეთს. ეს სიტყვა საერთაშორისო ენაში პირველად 1770 წელს გამოჩნდა.

განვიხილოთ უნარები, რომელსაც მომსახურების სფეროში მომუშავე პროფესიონალების წარმატებული საქმიანობისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ეს არის საქმიანი კომუნიკაციის ეტიკეტი. საქმიან ურთიერთობებში ეტიკეტის მნიშვნელობაზე მრავალრიცხოვანი კვლევები მიუთითებს. დამქირავებელი, ორგანიზაციის ლიდერები და რიგითი თანამშრომლები, ყველა ერთხმად აღიარებს, რომ საქმიანი ეტიკეტი ორგანიზაციის წარმატებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ისეთი საკითხები, როგორიცაა ინდივიდის ქცევის მანერები, ჩაცმულობა, საუბრის სტილი და შინაარსი, ორაზროვანი და რთული სიტუაციების მოგვარების უნარი, მნისვნელოვნად განსაზღვრავს საქმიანი ურთიერთობის ეფექტურობას. მისალმება და საკუთარი თავის წარდგენა საქმიანი კომუნიკაციის დასაწყისია. პირველი შთაბეჭდილებების ჩამოყალიბება სწორედ აქედან იწყება. ძალიან მარტივი წესი - შეხვედრისას თანამშრომლებსა და კლიენტებს უნდა მივესალმოთ. აუცილებლად თქვით „გამარჯობა“ ან „დილა მშვიდობისა“, როდესაც სამსახურში მიხვალთ ან კლიენტს შეხვდით, არასოდეს ჩათვალოთ, რომ არსებული სოციალური კონტექსტი უკვე გულისხმობს ამას და სხვები თქვენგან მისალმებას არ ელოდებიან. იგივე წესები ვრცელდება დამშვიდობებაზეც. როდესაც თქვენ მასპინძლის როლში ხართ, და ერთმანეთისთვის წარდგენა თქვენი მოვალეობაა, ამ შემთხვევაში აუცილებელია დაიცვათ წესები - ვინ და როგორ უნდა წარუდგინოთ. დაბალი თანამდებო-

ბის პირი უფრო მაღალი თანამდებობის პირს უნდა წარუდგინოთ, მამაკაცი - ქალს. დასავლეთის ქვეყნებში მნიშვნელობა მხოლოდ თანამდებობას ენიჭება. მნიშვნელოვანი ყურადღება ხელის ჩამორთმევას ეთმობა. მარჯვენა ხელი გაუწოდეთ ისე, რომ ცერი ზემოთ იყოს აწეული; კონტაქტის დამყარებისას ცერი დახარეთ ქვემოთ, თითები მეორე პიროვნების მტევანს შემოახვიეთ და ხელი 2-3 ჯერ ჩამოწიეთ, ხელის ჩამორთმევა უნდა იყოს საკმაოდ ძლიერი, მაგრამ არა მტკივნეული. მოსმენის უნარი საქმიანი კომუნიკაციის ეფექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რის თქმასაც თქვენთვის ცდილობენ და არა იმაზე, რისი გაგონებაც თავად გსურთ. საკითხს მოსაუბრის პოზიციიდან შეხედეთ და ყოველთვის მიხვდებით რისი თქმაც სურს. კლიენტის მოსმენის ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს თვალებით კონტაქტი და ურთიერთობისათვის სწორად შერჩეული მანძილი. მომსახურების სფეროს თანამშრომლებს ცუდი და არასასიამოვნო ინფორმაციის მოსმენა ხშირად უწევთ. არასასიამოვნო ინფორმაციაზე რეაგირებამდე აუცილებელია თავი გაართვათ მასთან დაკავშირებულ უარყოფით ემოციებს. თუ გაბრაზებული კლიენტი ყვირის ან თქვენი მისამართით სარკასტულ და შეურაცხმყოფელ კომენტრებს გამოთქვამს, თავაზიანობა უნდა შეინარჩუნოთ და არ უნდა მისცეთ ემოციებს კლიენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის გაგების ბლოკირების საშუალება - უნდა მოუსმინოთ ფაქტებსაც და ემოციებსაც. გახსოვდეთ, ყველაზე ნაკლებად კლიენტი თქვენგან განსჯას ელის. კლიენტთან საუბრისას გასათვალისწინებელია ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ხმის ტემბრი, ტონი, ექსპრესიულობა. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ლექსიკონს, რომელსაც მოსაუბრე იყენებს, მსმენელისთვის რბილი

და მშვიდი ხმა უფრო მისაღებია ვიდრე მკვეთრი და ხმამაღალი; არასოდეს გამოიყენოთ ჟარგონი და კუთხური დიალექტი. როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ საუბარში ემოციური სიტყვების გამოყენებას განსაკუთრებული პოზიტური ეფექტი აქვს.

სავიზიტო ბარათების გაცვლა საქმიანი კომუნიკაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. როცა ორი ადამიანი დაასრულებს საქმიან საუბარს, რომელიც ორივესთვის საინტერესო და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის მომასწავლებელი იყო, გადაწყვიტეს შემდეგი ურთიერთობებისთვის საკონტაქტო ინფორმაცია გაცვალოს. შეშფოთებული სული ძნელად შეიმეცნებს საკუთარ თავს. იოლად ვერც სხვებისთვის პოულობს დამაჯერებელ, საჭირო სიტყვებს. როგორ გავათავისუფლოთ ნორჩი არსება თავმოყვარეობის ყველაზე მტკიცე „არტახებისაგან?“ ვათავისუფლებდი ბავშვებს შეკითხვებზე პასუხის გაცემისაგან. ვეუბნებოდი: ნუ უპასუხებთ, თუ დარწმუნებულნი არა ხართ, ან უპასუხეთ არა ნიშნისთვის, არამედ ისე, უბრალოდ, თქვენი აზრის გამოსათქმელად. ვამშვიდებდი სახუმარო აფორიზმებით: ყოველგვარი აზრი, მცდარიც კი - ხმამაღლა, მთელი ხმით! ან; მოლაპარაკე მოაზროვნეა! ერთხელ პლაკატიც კი ჩამოვკიდე ცნობილი სიმღერის სიტყვებით: „ნუ გაჩუმდები, დე გამამწარე, ოღონდ შენ მაინც ილაპარაკე“, ან და... მითხარი რამე, თუნდაც უკვე მრავალჯერ ნათქვამი... ალაპარაკდნენ... უფრო ხშირად და უფრო ხმამაღლა, ვამხნევებდი ხუმრობით: „რატომ მიყურებ ისე, როგორც სოციალისტები დემოკრატებს? თქვი რამე!“ ვიყენებდი სხვა საშუალებებსაც, რითაც სიტყვიერების გაკვეთილიდან უსიტყვობას „ვერეკებოდი“. და ბოლოს უკანასკნელი, სასოწარკვეთილი შეგონება: თუ კი სრულიად მართალი ხარ, მაშინ პასუხიც არ

არის საჭირო. საინტერესოა მხოლოდ დაეჭვებული მოსწავლე, რადგან დაეჭვება აზროვნების ნიშანია... ძნელია კაცის იძულებით ალაპარაკება. უფრო ძნელია იმის მიღწევა, რომ ყოველი სიტყვა გონებისა და სულის ერთობლივი შრომის ნაყოფი იყოს. აქ საკმარისი არ არის დაძაბულობის განმუხტვა, შიშის დაძლევა, არამედ რაღაც სხვა. სიჩუმე დასატკბობი საშუალება მაინც არ არის. ის მოსწავლის აზრობრივი და მეტყველებითი აქტივობის ერთ-ერთი პირობაა. თუ კი შეკითხვით ვამახვილებ ყურადღებას, პასუხებით უფრო განვამტკიცებ მას. შეკითხვით დაინტერესება საბოლოოდ მასზე პასუხის გაცემის შესაძლებლობაა. დარწმუნებული ვარ, რაც შემიძლია მე, ის შეუძლია მოსწავლესაც, თუ კი ის ჩემთან ერთად მუშაობს. როცა მოსწავლე დუმს და კითხვაზე პასუხს ვერ იძლევა, არ ვჩქარობ მეორის გამოძახებას, ვცდილობ „მეორე“ მასშივე ვიპოვო. ჩემშიც, სხვათა შორის ,მოსწავლის დამოუკიდებლობის განვითარება შეიძლება მხოლოდ მისი ძალებით. მოთხოვნა ნიშნავს სასურველისა და შესაძლებლის ცოდნას, ესე იგი მოსწავლეებისადმი დახმარების ზომის ცოდნას. ეს დახმარება თვალში საცემი არ უნდა იყოს. ამიტომაც ბავშვი კი არ „გამყავს“ დაფასთან. არამედ მე თვითონ „მივდივარ“ მასთან. აზრის განვითარებაში ისე ვრთავ მოსწავლეს, რომ მას ჰქონდეს იმის შეგრძნება, თითქოს ძირითადი სამუშაო შეასრულა მან და არა მე. „არა, ეს შენ თქვი, შენ... ...მე მხოლოდ დავამატე, დავასრულე“... ვუმტკიცებ მას ვინც დაეჭვდება იმაში, რომ მონაწილეობა არ მიუღია დასკვნის გამოტანაში ან: „შენ ეს გინდოდა გეთქვა, ხომ მართალია?“ „ძლიერებს“ სხვა გასაღები აქვთ: „სამწუხაროა, რომ არ თქვი ეს. სამაგიეროდ შენს პასუხში არის მეტად საინტერესო მომენტი. მე სულ ცოტათი გავაგრძელებ მას“...

პასუხს ყოველთვის განვიხილავ არა მოსწავლის შესაძლებლობებთან მიმართებაში, არამედ შეკითხვის ხასიათთან კავშირში, იმ შეკითხვისა, რომელზეც პასუხგაუცემლობა არ მოგასვენებს. როგორიც პასუხია, ისეთივეა მოსწავლეც! ეს ერთ-ერთი პირობაა. საშინელებაა, როცა მასწავლებელი ცდილობს „ამოქაჩოს“ მოსწავლეს უფერული, წყალწყალა შეკითხვის პასუხი და ეს მიიჩნიოს ინდივიდუალურ მუშაობად. სინამდვილეში ეს დროისა და ძალების ფუჭი ხარჯვაა: ეშმაკმა იცის, ვინ ვისგან რას „ქაჩავს“. უმნიშვნელო შეკითხვაზე მივიღებთ უმნიშვნელო პასუხს, რომელიც შემეცნებაში და სულში არავითარ კვალს არ ტოვებს, მაგრამ სულიერება, რომ აუცილებელია, ხომ ფაქტია?!-ჰოდა ბოლო ზარის დამთავრების შემდეგ კოლეჯში აღელვებული დედა მოვიდა:-

-ეს როგორ შეიძლება, სწავლასა და სხვა საქმეებში წარჩინებისათვის გიორგის პირადად თქვენ აჩუქეთ ილიას ტომეული, ახალი წიგნი თქვენთვის დაიტოვეთ, გიორგის კი, როგორც ჩანს, თქვენი, შენიშვნებით აჭრელებული წიგნი მიეცით, ესეც პედაგოგიური ხერხია?!

-დიახ, ესეც პედაგოგიური ხერხია თანაცარაერთი, არამედ ორი. იმ „შენიშვნებში“ გიორგი თავისთვის სასარგებლო რაღაცეებსაც იპოვის. მთავარი მაინც...“ ჩვენ მერხზე ჩამოვსხედით და მე დავიწყე „მთავარი“... ეს ყმაწვილი მე მომწონდა, კარგი ამხანაგი იყო, უანგაროდ ასრულებდა საზოგადოებრივ დავალებებს, კოლეჯიც თითქმის წარჩინებით დაამთავრა. მთლიანად მეცნიერებებში იყო ჩაფლული. ერთხელ კი მთხოვა, რომ ამეხსნა ლექსთწყობის თეორია. „ლექსებს წერს?“ - გამიკვირდა მე, არც წერდა და არც უწერია. თეორია ისე, უკიდურესი შემთხვევისათვის სჭირდებოდა.

მახსოვს, გიორგი დაფაზე სალექსიკონო კარნახს წერდა და ორი უხეში შეცდომა დაუშვა. მე გავუსწორე, ავუხსენი. მერე ბავშვები რომ დავითხოვე, გიორგის ვთხოვე დაფაზე ნაწერი წაეშალა, - იქნებ არ ღირდეს წაშლა? - ვითომ რატომ? - ახლა პირველკურსელები შემოვლენ, შეხედონ, რაღაცა ისწავლონ. მან მაჩუქა ახალი საინტერესო ხერხი, რომლითაც ახლა ხშირად ვსარგებლობ (ზოგჯერ მთელი კვირა არ ვშლი დაფაზე ნაწერს) და რომელსაც კოლეგებთან საუბრის დროს გიორგის ხათრით „იქნებ არ ღირდეს“ ვუწოდებ. ეს საყვარელი ყმაწვილი, როგორც იტყვიან, თანამედროვეობით ცხოვრობდა: გეგმებს არა მარტო ასრულებდა, არამედ შემხვედრსაც წამოაყენებდა ხოლმე. თავად სიტყვა - საგანთშორის კავშირის -მნიშვნელობას პირველად და ღრმად გიორგის მეშვეობით ჩავწვდი. „ჩემო კალამო, ჩემო კარგო რად გვინდა ტაში...“ აუდიტორია ყუჩდებოდა ერთი შტრიხით რამდენია ნათქვამი! გიორგი კი უფრო შორს წავიდა. მეორე ლექციაზე მან ილია ჭავჭავაძისეული სამშობლოსა და ხალხის უანგარო, ღმერთს მინდობილი სიყვარული ახსნა... სტუდენტებო - ვთქვი ერთხელ. - რითი ხართ სხვებზე ნაკლებნი... ყველა ევოლუციას განიცდის, ის კი ვითომ ჩვენში არც არსებობს. მოდით დავწეროთ თხზულება „ჩემი (სულიერი) ევოლუცია“.გიორგიმ წითელი მელნით, ბეჭდური ასოებით თემის ქვეშ მიაწერა: - „სამშობლოვ ჩემო, თქვენი შვილი განებებთ თავსა...“ სხვებისგან განსხვავებით თემას რვეულში წერდა და „მინდორზე“ არსად ჩანდა სამი ძახილის ნიშნით დამშვენებული მინაწერი „სრულიად საიდუმლოდ“, პირიქით, ბოლოს იყო მინაწერი: „შეიძლება კლასში წაკითხვა“. ვფიქრობთ კი სწორად? რუსის ღენერალს ხომ ფიქრიც არ შეუძლია, ის ლუარსაბივით მხოლოდ

თავის მუცელზე ზრუნავს... აუდიტორია გაირინდა „სრული სიმართლეა!“ ვკამათობთ სახეებზე, წამოდგა გიორგი, ხელში ეჭირა, ის „აჭრელებული“ ილიას სქელი ტომი, რომელიც ვაჩუქე, ხმამაღლა განაცხადა:- „ცუდად ვკითხულობთ ილიას!“ და „მგზავრის წერილების“ ციტატირებას მოჰყვა... მე კი ვუყურებდი და ვფიქრობდი თუ რა მარტივად და ჭკვიანურად კითხულობს წიგნს კეთილი გული... აი ასეთია, ის თქვენი გიორგი!- როდესაც აუდიტორიაში გენიალურ, ილიას შესწავლას დავიწყებთ, ჩამოვუვლი და ყველას ვუჩვენებ ყდის არა მარტო გარეთა მხარეს, არამედ შიდა ფურცელსაც. წავუკითხავ ყველაფერს, რაც იქ სწერია. შემდეგ კი მთელი გაკვეთილი თქვენს გიორგიზე ვისაუბრებ. ხომ შეიძლება რომელიმე მოსწავლე თქვენს სახლშიც ცხოვრობდეს? ნიკალასავით გაყინული ხელებით უწვდიდეს ადამიანებს თავისი სულის სითბოს? იქნებ ერთი მოსწავლე არც ღირდეს მთელ გაკვეთილად? - მადლობელი ვარ გიორგისათვის - თქვა გულშეძრულმა ქალმა. - მეც თქვენი მადლობელი ვარ, - მივუგე იმავე ტონით. - ყურადღება, - უპირველესი ადამიანური მოთხოვნილებაა, ნებისმიერ კლასში თუ აუდიტორიაში, არიან მოსწავლეები თუ სტუდენტები, რომლებსაც ძალიან სჭირდებათ სიტყვა... სიტყვა, რომელიც კურნავს... და არა მარტო ასწავლის... მოგეხსენებათ, რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლისათვის პუშკინი, ლერმონტოვი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი... ერთი ამოსუნთქვაა... მეცხრე კლასში ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი უნდა შევიყვანო, ჰო, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, უნდა შვიყვანო და გავაცნო იგი ჩემს მოსწავლეებს და პირიქით მას ჩემიანები... ამისათვის ყველაზე კარგი მისი „ალუბლის ბაღის“ გაცნობაა... დიახ, ანია, ჩემი მოსწავლეების თანატოლი გოგონა ანია, მიდის დედასთან, იჩოქებს

და ... - დედა!... დედა, შენ ტირი? ჩემო საყვარელო, კეთილო, კარგო დედიკო, ჩემო მშვენიერო, მე შენ მიყვარხარ... მე შენ გაღმერთებ. ალუბლის ბაღი გაიყიდა, ის ჩვენი აღარ არის. ეს მართალია, მაგრამ შენ ნუ ტირი, დედი. შენ მთელი ცხოვრება წინა გაქვს. შენ დაგრჩა ფაქიზი, წმინდა სული... წამოდი ჩემთან საყვარელო. წავიდეთ აქედან, წავიდეთ!... ჩვენ გავაშენოთ ახალი ბაღი, ძველზე ურო დიდებული. შენ მას იხილავ, იგრძნობ და წყნარი, უზომო სიხარული ისე მოეფინება შენს სულს, როგორც ჩამავალი მზე ჩასვლის წინ და შენ გაიღიმებ, დედა! წავიდეთ საყვარელო, წავიდეთ!... - რომელი თქვენგანი, - ვეკითხები საკუთარ თავს და ბავშვს, - მიმართავს დედას მისთვის ასეთ მძიმე ჟამს ისე, როგორც ანია: „ჩემო საყვარელო, კეთილო, კარგო დედიკო, ჩემო მშვენიერო დედა?“ ვინ „აღმერთებს“ დედას დაჩოქილ ანიასავით, რომელმაც გრძნობათა მოზღვავების ჟამს თავის თავში იგრძნო პოეტი („წყნარი, უზომო სიხარული მოეფინება შენს სულს, როგორც ჩამავალი მზე“), ინტონაციებით სულის მკურნალი ექიმი („შენ ნუ ტირი, დედი, შენ მთელი ცხოვრება წინა გაქვს. შენ დაგრჩა შენი ფაქიზი, წმინდა „სული“) და უბრალოდ ადამიანი, რომლის „გულსაც უყვარს იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეუძლია“. ვინ შეძლო გზააბნეული დედის მობრუნება მის საბოლოო დაღუპვამდე ისე, როგორც ეს დაჩოქილმა ანიამ შეძლო? მის ნაღველგარეულ ხმაში მოწყალება, საყვედური კი არ ისმის, არამედ ფიქრი, ზრუნვა მშობლებზე. მე ვჩერდები. ყურადღებით ვაკვირდები ბავშვების დაფიქრებულ, გაცისკროვნებულ სახეებს. ვუსმენ მათ დუმილს. ვუსმენ იმასაც, რაც ჩემში ფუთფუთებს. ჩემში კი იგივე ხდება, რაც მათში: „წყნარად უკრავს მუსიკა“. მომინდა და ისევ ვამბობ: „ჩემო საყვარელო, კეთილო, კარგო დედიკო, ჩემო მშვენიერო. მე შენ მიყვარხარ“...

გაკვეთილზე მარტო სიყვარულის კი არა, მშობლებისადმი პასუხისმგებლობის აღზრდას ვცდილობ, მიუხედავად იმისა, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი. დღეს ჩვენს რეალურ ცხოვრებაში, რუსი კლასიკოსებისადმი ყურადღება მოდუნდა, თუმცა ლიტერატურამ და პოეზიამ, მეცნიერებამ და ხელოვნებამ საზღვრები არ იცის, ამიტომაც იმ ჩემი პირველი პედაგოგიური ნათლობის ოცდაათი წლის გადასახედიდანაც არ გამნელებია კითხვა:- ბევრი გყავს თუნდაც დღეს ანიასნაირნი?! ყველაზე უფრო და ყველაზე მეტად მინდა გამოვიწვიო ინტერესი ჩემდამი და არა ჩემი „საგნისადმი“.

სტუდენტებს ყოველთვის აღელვებთ იმ კაცის პასუხი, ვისაც ეკითხებიან ლექციის დამთავრებისას ჩვეულებრივ ვკითხულობთ ხოლმე: შეკითხვები გაქვთ? ძალიან კმაყოფილნი ვართ, თუ ხელს არავინ სწევს. თავიც მოგვწონს - აი ნახეთ, როგორ ამოვწურეთ თემაო. არა, ასე არ შეიძლება. ლექტორი რომელიც „ყველაფერს ამბობს“, არასოდეს არ აღძრავს შეკითხვის სურვილს. ამ დროს სტუდენტები კითხვებსაც ივიწყებენ და პასუხსაც გადაეჩვევიან. რა არის შეკითხვა, თუ არა პასუხის „ნაგლეჯი“, რომელიც უნდა გაღრმავდეს, შეივსოს? „სად უფრო ჩანს პიროვნება- კითხვასა თუ პასუხში?“ - ვკითხე ერთხელ სტუდენტებს. მათ დამიდასტურეს, რომ პიროვნება პასუხში ჩანს. ამიტომ ლექციის ბოლოს, დროის ამოწურვის შემდეგ კი არა, სადღაც ლექციის შუაში მივმართავ სტუდენტებს: შემეკითხეთ - გიპასუხებთ. მათი შეკითხვების მიხედვით განვსაზღვრავ ჩემი ცოდნის ხარვეზებს და შევიცნობ სტუდენტებს, ვცდილობ დავაჯერო ისინი, რომ აზროვნებს ის, ვინც შეკითხვებს იძლევა და კიდევ: შეკითხვების დროს ყალიბდება პიროვნებად. ზოგჯერ სტუდენტების შეკითხვა შორს სცილდება ლექციის ფარგლებს.

მაშინ უნდა ვცადოთ ამ ფარგლების გაფართოება და „ავტორიტეტულად“ განზე არ გავდგეთ. წარმოიდგინეთ ასეთი რამ: რომელიღაც სტუდენტი უცებ ალაპარაკდა პოლიკაუზალიზმის თანამედროვე პრობლემებზე, რომელსაც ჩვენ ზოგჯერ ვუვლით გვერდს და კიდევ უარესი... ყველაფერი ეს კიდევ უფრო გააშიშვლა კითხვით: გვჭირდება კი პოლიტიკა? - სტუდენტმა გაბედა თავისი შეკითხვის ჩამოყალიბება. მისთვის ამაზე ლაპარაკისა და შეკითხვის აკრძალვა, რა თქმა უნდა, მდგომარეობიდან გამოსავალი არ არის. ამას მაშინვე მოყვება რეპლიკა: „ვდუმვარ, მაგრამ იგივეს ვფიქრობ“, ყველა კითხვას უნდა უპასუხო. როგორც ჩანს, მხოლოდ ჩემი „გეგმით“ როდი ვზრდი სტუდენტებს, შეკითხვის უფლებით მას სულიერი ზრდის საშუალებას ვაძლევ. სტუდენტმა საკუთარ თავზე იცის მეტი, ვიდრე ჩვენ ვიცით მასზე. ჩვენი ლექციით დავუმტკიცოთ მას ეს, ანუ დავეხმაროთ საკუთარი თავის მართვაში, ჩვენი დახმარების გარეშე, ანუ ვასწავლოთ აზროვნება, საკუთარი აზროვნების შესახებ. რა უნარებით უნდა აღვჭურვოთ მოსწავლეები იმისათვის, რომ მათ შეძლონ თანამედროვე, კონკურენტუნარიან გარემოსთან ეფექტურად ადაპტირება? როგორ შევუქმნათ მოსწავლეებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისა და განვითარების მოტივაცია? სტატია განიხილავს იმ უნარ-ჩვევებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეებს დამოუკიდებელ და წარმატებულ პიროვნებებად ჩამოყალიბებაში. განხილულია აგრეთვე ამ უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობა სწავლება-სწავლის პროცესში. ითვლება, რომ მოსწავლეს, რომელსაც კარგად აქვს განვითარებული მეტაკოგნიტური უნარები, შეუძლია დაგეგმოს, აწარმოოს მონიტორინგი და სეაფასოს საკუთარი სწავ-

ლის პროცესი, საჭიროების შემთხვევაში კი, მუშაობის დროს გამოყენებული სტრატეგიები შეცვალოს ან მათი მოდიფიცირება მოახდინოს. მრავალმა კვლევამ დაადასტურა, რომ მეტაკოგნიცია შედეგზე ორიენტირებული სწავლის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და საშუალებას აძლევს მოსწავლეს განუვითაროს თვითშემეცნების, საკუთარი აზროვნების მართვის, დამოუკიდებლად სწავლის, პრობლემების ეფექტურად გადაჭრისა და სხვა ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, რომლებიც არა მარტო სწავლაში, არამედ სხვა საქმიანობებშიც მაღალი შედეგების მიღწევას განაპირობებს. მეტაკოგნიციას, რომელიც მარტივად განიმარტება, როგორც „აზროვნება აზროვნების შესახებ", მკვლევარები ორ ძირითად ნაწილად ყოფენ 1. მეტაკოგნიტური ცოდნა, რომელიც გულისხმობს შემეცნების პროცესების გაცნობიერებას და კითხვაზე პასუხს, თუ როგორ სწავლობს ადამიანი ეფექტიანად: ასევე, ცოდნას საკუთარი კოგნიტური სისტემებისა და მათი ფუნქციონირების შესახებ. 2. თვითრეგულაცია, ანუ საკუთარი აზროვნების პროცესების მართვის უნარი და სასწავლო გამოცდილების რეგულაცია.

მეტაკოგნიტური ცოდნა, თავის მხრივ, პირობითად სამი ტიპის ცოდნას აერთიანებს:

დეკლარირებული ცოდნა პასუხობს კითხვაზე, თუ რა ცოდნას ფლობს მოსწავლე საკუთარი სწავლის პროცესებისა და მეტაკოგნიტური სტრატეგიების შესახებ;

პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვაზე თუ როგორ უნდა გამოიყენოს მოსწავლემ მეტაკოგნიტური უნარები და სტრატეგიები;

პირობითი ცოდნა პასუხობს კითხვებზე, თუ როდის და რატომ უნდა გამოიყენოს მოსწავლემ სხვადასხ-

ვა სასწავლო სტრატეგია. თვითრეგულაცია, ისევე, როგორც მეტაკოგნიტური ცოდნა, მეტაკოგნიციის მნიშვნელოვანი ნაწილია და მისი არსი სამ ფუნდამენტურ უნარს ეფუძნება: დაგეგმვა მუშაობის დაწყებამდე შესასრულებელი პროცესია, მაგ: შედეგების პროგნოზირება, პრობლემების გადაჭრამდე სტრატეგიის შერჩევა, საკუთარი ფიქრების ორგანიზება, დავალების შესრულებისთვის საჭირო დროისა და რესურსის წინასწარ განზრახვა და ა.შ. მონიტორინგი მოსწავლეთა პროგრესის გაცნობიერებას გულისხმობს; მონიტორინგის დროს მოსწავლე პერიოდულად ამოწმებს, რამდენად კარგად გაიგო და გაიაზრა ახალი ინფორმაცია, რამდენად ეფექტურია შერჩეული სტრატეგია დასახული მიზნის მისაღწევად, რა არის შესაცვლელი უკეთესი შედეგის მისაღებად და ა.შ. შეფასება მოიცავს დასახული მიზნების, დასკვნების, შედეგებისა და მიღებული გამოცდილების გაანლიზებასა და განსჯას. თვითრეგულაციის ამ ეტაპზე მოსწავლე ეკითხება საკუთარ თავს, თუ რამდენად კარგად შეასრულა დავალება, სად რა ხარვეზია და რა არის გასაუმჯობესებელი. როგორც ვხედავთ, მეტაკოგნიციის ეს ორივე კომპონენტი - მეტაკოგნიტური ცოდნა და შემეცნების რეგულაცია ეფექტიანი სწავლება-სწავლის განუყოფელი ნაწილია და მათი განვითარება მაღალი სააზროვნო უნარებით მოსწავლეთა აღჭურვას გულისხმობს. როგორ დავეხმაროთ მოსწავლეებს მეტაკონიტური უნარების განვითარებაში?

მასწავლებლები, რომლებიც მიმართავენ მრავალფეროვანი სასწავლო მეთოდების მიზანმიმართულად გამოყენებას და მოსწავლეთა აღჭურვას სხვადასხვა სტრატეგიით, ხელს უწყობენ მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას და შესაბამისად, უკეთესი შედეგის მიღწევას. მარტივიდან რთულისაკენ სააზ-

როვნო დონეების მიხედვით დასმული შეკითხვები, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, ტექსტის კონკრეტული ინსტრუქციებით კითხვა, დისკუსიები,როლური თამაშები და სხვა სტრატეგიების გამოყენება შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, დააკვირდნენ საკუთარი აზროვნების პროცესს, გააცნობიერონ და გააკონტროლონ ის. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის მასწავლებელმა უნდა შექმნას აზროვნებისთვის ხელსაყრელი გარემო და წაახალისოს მოსწავლეები, სწავლის სხვადასხვა სტრატეგიით შეასრულონ დავალებები, ის უნდა დაეხმაროს მათ იმის გააზრებაში, თუ როგორ სწავლობენ, რა ფაქტორები უწყობს ან არ უწყობს ხელს მათი სწავლის პროცესის ეფექტიანობას, როგორ გააუმჯობესონ შედეგი და ა.შ. ქვემოთ მოცემული სტრატეგიების სასწავლო პროცესში გათვალისწინება დაეხმარება მოსწავლეებს სწავლის პროცესის გააზრებასა და საკუთარი შემეცნებითი აქტივობების მართვაში.

სტრატეგიების შერჩევა - ეს მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესია.მასწავლებელმა ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლეებს და წაახალისოს ისინი, დამოუკიდებლად განსაზღვროს დავალების წარმატებით დაძლევისთვის ყველაზე ეფექტური სტრატეგია. დავალების დასრულების შემდეგ მასწავლებელმა შეიძლება ჰკითხოს მოსწავლეებს, რომელი სტრატეგია აირჩიეს და რატომ? როგორ გადაჭრეს პრობლემა და რა სირთულეებს წააწყდნენ? როგორ ფიქრობენ, სხვა სტრატეგიის გამოყენება უკეთესი ხომ არ იქნებოდა და რატომ? ამგვარი მსჯელობით მოსწავლეები აფასებენ არა მარტო შერჩეული სტრატეგიის ადეკვატურობას, არამედ საკითხს სიღრმისეულადაც იაზრებენ. შესრულებული

სამუშაოს შეფასება - სამუშაოს დასრულების შემ-
დეგ მოსწავლეები განიხილავენ მიღებულ შედეგებს
და განსაზღვრავენ, რა გამოუვიდათ კარგად, რისი
გაკეთება სჯობდა სხვანაირად, სად აქვთ ძლიერი მხ-
არე და რა უნდა გააუმჯობესონ. მოსწავლეების მიერ
შედეგების თვითანალიზი და შეფასება ხელს უწყობს
მათ როგორც საკითხის სიღრმისეულად გააზრებაში,
ასევე საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერებაში.
თვითშეფასება - მოსწავლეები განსაზღვრავენ, რამდე-
ნად კარგად ისწავლეს საკითხი და რა აქვთ ხელახლა
დასამუშავებელი, რომელი უნარები განუვითარდათ
და რას უნდა მიაქციონ ყურადღება. თვითშეფასება
საშუალებას აძლევს მათ, თვალი ადევნონ საკუთარ
განვითარებასა და პროგრესს, საკუთარი აზროვნების
გაცნობიერებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, წი-
ნასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე,
მოსწავლეთა მიერ ერთმანეთის შეფასებაც.

დავალების შესრულების პროცესის გააზრება –
მუშაობის დროს მასწავლებელი მოსწავლეებს უს-
ვამს ისეთ შეკითხვებს, რომლებიც ეხმარება მათ,
გაიაზრონ, რამდენად ეფექტური გზა აქვთ არჩეუ-
ლი დავალების შესასრულებლად. მაგ: „რას აკეთებ
ახლა? რატომ აკეთებ ამას? როგორ დაგეხმარება
ეს?“ და ა.შ. მასწავლებელმა ასევე უნდა წაახალი-
სოს მოსწავლეები, თავადაც დაუსვას მსგავსი ტი-
პის შეკითხვები საკუთარ თავს. სხვადასხვა ტიპის
შეკითხვები - მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელ-
მა და მოსწავლეებმა, ცოდნის შემოწმებისა და საა-
ზროვნო პროცესების მართვის მიზნით, საკუთარ თავს
და ერთმანეთს დაუსვან შემდეგი სახის კითხვები: რა
იციან განსახილველი ან და შესასწავლი საკითხის
შესახებ? რა შეიძლება, რომ არ იცოდნენ? რა აინტერ-
ესებთ? რა უნდათ, რომ იცოდნენ? რა ისწავლეს? რა

ვერ გაიგეს? რაში დასჭირდებათ დახმარება? და ა.შ. გარდა ზემოთ აღნიშნული კითხვებისა, სასურველია, მასწავლებელმა უბიძგოს მოსწავლეებს, დაუსვან შეკითხვები როგორც საკუთარ თავს, ასევე თანაკლასელებს უშუალოდ დავალების შინაარსიდან და ფორმიდან გამომდინარე (წერითი, კითხვითი, მსჯელობითი და ა.შ). მაგ: ვეთანხმები თუ არა ავტორის პოზიციას და რატომ? მოცემული პრობლემის გადაჭრის რა ალტერნატიული გზები არსებობს? რა დააინტერესებს ჩემს მკითხველს? და ა.შ. მსგავსი ტიპის შეკითხვებით მოსწავლე დამოუკიდებლად იაზრებს საკითხს და პარალელურად ახდენს საკუთარი აღქმის გაკონტროლებას. შედეგების პროგნოზირება - ეს ყველაზე ხშირად გამოიყენება მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნებში. საკითხის დამუშავებამდე მისაღები შედეგის პროგნოზირება ეხმარება მოსწავლეებს, გამოთქვან ვარაუდი, თუ რა სახის ინფორმაცია შეიძლება დასჭირდეთ პრობლემის წარმატებით გადაჭრისთვის. პროგნოზირება ასევე ეხმარება მოსწავლეებს, შეადარონ საკუთარი მოსაზრება პრობლემის ან ექსპერიმენტის საბოლოო რეზულტატს. ამგვარად გააზრებული საკითხი კი ხელს უწყობს ახალი მენტალური სქემის ჩამოყალიბებასა და მყარი გამოცდილების შეძენას. მსჯელობა - მსჯელობის პროცესი აზროვნების განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა. მოსწავლეთა მიერ გარკვეული იდეებისა და მოსაზრებების საკუთარ თავთან, ერთმანეთთან ან მასწავლებელთან ერთად განხილვა ხელს უწყობს მათ, ისწავლონ კითხვების დასმა, სხვისი ნაფიქრის გაზიარება და საკუთარ მოსაზრებებთან შედარება-შეჯერება, არსებულ ცოდნასა და გამოცდილებაში ხარვეზების იდენტიფიცირება, პირადი მოსაზრებების გაანალიზება დ

შეფასება. უკუკავშირი - შესრულებული საქმიანობის კონსტრუქციული მიდგომით განხილვა და უკუკავშირი ხელს უწყობს მოსწავლეებს, პოზიტიურ კონტექსტში გაიაზრონ საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და დაფიქრდნენ, რა ცვლილებების განხორციელება იქნება საჭირო არსებული სიტუაციის გაუმჯობესებისთვის. გადამოწმება - მასწავლებელი უბიძგებს მოსწავლეებს, რომ უკუკავშირის მიღების შემდეგ დაუბრუნდნენ შესრულებულ სამუშაოს და შეიტანონ შესაბამისი ცვლილებები. ეს შესაძლებლობა აძლევს მოსწავლეებს, გადაამოწმონ სწავლის სტრატეგიის გამოყენების ადეკვატურობა და აზროვნების პროცესი. მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეთა სწავლის სტილის განსაზღვრა, რაც მათი ინდივიდუალური მახასიათებელია და დიდ გავლენას ახდენს სწავლის შედეგებზე. სხვადასხვა მოსწავლე ავლენს ვიზუალური, სმენითი, კინესთეტიკური ან ტაქტილური აზროვნების სტილს, რის გამოც მასწავლებელმა ხშირად უნდა ცვალოს სწავლების მეთოდები. მან უნდა შეძლოს ყველა მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინება. ბოლოს უნდა აღინიშნოს რომ გარდა ზემოთ მოცემული რეკომენდაციებისა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეთა ემოციური მხარდაჭერა და გამხნევება, რაც გულისხმობს მათი პიროვნების აღიარებას, მოსაზრებების პატივისცემას, საკლასო ოთახში სამართლიანობის პრინციპის დაცვას, ინდივიდუალური ძალისხმევის დაფასებას, ნდობის ატმოსფეროს შექმნას, თვითრწმენის განმტკიცებას და ა.შ. ეს ყველაფერი კი მთლიანობაში ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებას იმისთ-

ვის, რომ უფრო ხალისით ჩაერთონ საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში.

... და მაინც, რა არის აზროვნება?

აზროვნება არის ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, რომლის მიზანია პრობლემის გადაჭრა, დასკვნების გამოტანა და გადაწყვეტილების მიღება. აზროვნება კოგნიტური პროცესია, ანუ შინაგანად, გონებაში მიმდინარეობს, მაგრამ მისი შედეგი ქცევით ვლინდება. მაგალითად, მოჭადრაკე თავის აზროვნებას ჭადრაკის ფიგურის გადაადგილებით ავლენს. აზროვნების დროს ხდება ცოდნის გამოყენება და მანიპულირება სიტუაციის შესაბამისად. ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისგან აზროვნების სტილით და ეს კარგად ჩანს მათ საქმიანობაში. ზოგს პრაქტიკული საქმიანობა უფრო ეხერხება, ზოგს თეორიული ტიპისა ურჩევნია, ზოგი მშრალი თანმიმდევრული ლოგიკით მსჯელობას ამჯობინებს, ზოგისთვის კი ეს მთლიან ხატად გაერთიანებული პროცესია, მოზრდილისა და ბავშვის აზროვნებაც განსხვავდება ერთმანეთისგან; სხვადასხვა კულტურის მატარებელთა აზროვნების წესიც არ არის ერთნაირი. ამრიგად, ფსიქოლოგიაში გამოყოფენ აზროვნების სახეებს და ტიპებს, ასეთ დაყოფას მეტ-ნაკლებად პირობითი ხასიათი აქვს და დამოკიდებულია იმ კრიტერიუმებზე, რომელთა საფუძველზეც მოხდა აზროვნების ტიპების ან სახეების შინაარსობრივი დახასიათება. ეს კრიტერიუმები კი მეტად მრავალფეროვანია.

კლასიკურ ფსიქოლოგიაში აზროვნების შემდეგი სახეები გამოიყოფა:

– პრაქტიკული ანუ მოქმედებით-ხატოვანი აზროვნება;

– ხატოვანი აზროვნება;

ვერბალურ-ლოგიკური აზროვნება;

ასეთი კლასიფიკაციის კრიტერიული საფუძველი ორნაირია, პირველი ეხება ბავშვის აზროვნების ონტოგენეზურ განვითარებას, რომელშიც კარგად ჩანს, როგორ ხდება მეტყველების დაუფლებასთან ერთად პრაქტიკულიდან ვერბალურ-ლოგიკურ აზროვნებაზე გადასვლა. ამდენად, აზროვნების ზემოთ მოყვანილი სახეები განიხილება როგორც აზროვნების განვითარების საფეხურები, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისგან არა ოპერაციულად ან ფუნქციურად, არამედ განზოგადების დონით. იგულისხმება, რომ ვერბალურ-ლოგიკური აზროვნების შემთხვევაში უფრო მეტადაა შესაძლებელი სინამდვილის განზოგადება და ანალიზი, ვიდრე მხოლოდ მოქმედებით შემოსაზღვრული აზროვნების შემთხვევაში.

პრაქტიკული აზროვნება გულისხმობს აზროვნების ისეთ სახეს, როდესაც ამოცანის გადაწყვეტა ხდება თვით მოქმედების პროცესში, რეალური სიტუაციის გარდაქმნის ხარჯზე, ობიექტებთან რეალური ურთიერთქმედების საშუალებით. ასეთი აზროვნება ახასიათებს ბავშვს, სანამ მეტყველებას დაეუფლება.

ხატოვანი აზროვნება თვალსაჩინოებებით აზროვნებაა, როდესაც რაიმე პრობლემის გადასაჭრელად სააზროვნო ოპერაციები თვალსაჩინოებების დაყრდნობით ხორციელდება.

ლოგიკური აზროვნება კი ცნებებით აზროვნებას გულისხმობს. ეს არის განყენებული აზროვნება, რომელიც არ არის თვალსაჩინო და რაიმე პრობლემის გადაჭრისას ვერბალურ-ლოგიკურ მსჯელობას ეყრდნობა.

თანამედროვე ადამიანთან სამივე სახის აზროვნებას ვხვდებით. იმის მიხედვით, რა დონის პრობლემის გადაჭრა უხდება, პიროვნება მიმართავს ხან პრაქტიკულ, ხან ვერბალურ-ლოგიკურ, ხან ხატოვან აზროვნებას.

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში გვხვდება აზ-

როვნების სხვაგვარი კლასიფიკაცია. უფრო მეტად - დიქოტომური დაყოფა („დიქოტომია“ - მთელის დაყოფა ორ ნაწილად). განასხვავებენ: თეორიულ და პრაქტიკულ აზროვნებას. ამ სახის კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს გადასაწყვეტ ამოცანათა ტიპი. თეორიული აზროვნება განსაზღვრულ კანონზომიერებათა შემეცნებაა აბსტრაქტულ მიმართებათა დამყარების საფუძველზე ეს პროცესი ხანგრძლივია, მოწყვეტილია რაიმე კონკრეტულ სიტუაციას და მისი ნაყოფიერება საბოლოო შედეგის მიხედვით ფასდება. დიდ თეორეტიკოს მეცნიერთა ფუნდამენტური აღმოჩენები ასეთი თეორიული აზროვნების შედეგია, ნიუტონის კანონები იქნება ეს თუ მენდელეევის პერიოდული სისტემა. პრაქტიკული აზროვნება მიმართულია უფრო კერძო, კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისკენ. მისი მთავარი ამოცანაა არა რაიმე ზოგადი კანონზომიერების შემეცნება, არამედ კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელი გეგმის პროექტის შედგენა. პრაქტიკული აზროვნება უშუალოდ კერძო, პრაქტიკული ამოცანის გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული. ის სპეციფიკურია იმით, რომ დროის დეფიციტის პირობებში მიმდინარეობს და ჰიპოთეზების შემოწმების დრო მკვეთრად შეზღუდულია. ამდენად, პრაქტიკული აზროვნებისას გადაწყვეტილება თვით მიმდინარე პროცესის სწრაფი ანალიზის შედეგად მიიღება. სამწუხაროდ, ამ ორ ტიპს ხშირად უპირისპირებენ ერთმანეთს თეორიული აზროვნების სასარგებლოდ. მიიჩნევა, რომ პრაქტიკული აზროვნება უფრო მარტივი და ადვილია, პრაქტიკული ტიპის აზროვნების გარეშე წარმოუდგენელია მხედართმთავრის, საწარმოო და სავაჭრო მმართველობის წარმატებული საქმიანობა. ვერავინ იტყვის, რომ მეცნიერ-თეორე-

ტიკოსის საქმე უფრო ძნელია, ვიდრე საწარმოო მენეჯერისა - მათი საქმიანობა უბრალოდ სხვადასხვა ტიპის აზროვნებას და პიროვნულ თვისებებს მოითხოვს. განასხვავებენ: ანალიტიკურ (ლოგიკურ) და ინტუიციურ აზროვნებას. ამ დაყოფის კრიტერიუმია აზროვნების პროცესის დროში მიმდინარეობის ხასიათი და გაცნობიერების დონე. ანალიტიკური აზროვნება დროში გაშლილია. ეტაპობრივად მიმდინარეობს და მეტ-ნაკლებად წარმოდგენილია ადამიანის ცნობიერებაში. ინტუიციური ტიპის აზროვნებას ახასიათებს დროში შეკუმშულობა და მინიმალური გაცნობიერება, ამ ტიპის აზროვნების მქონე ზუსტად ვერასოდეს გეტყვით, როგორ მიმდინარეობდა მისი მსჯელობა და რამ მიიყვანა პრობლემის გადაჭრამდე.

აზროვნების ფსიქოლოგიისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში გვხვდება შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ცნებებიც. ასეთი დაყოფის კრიტერიუმი აზროვნების პროცესის შედეგია. შემოქმედებითი ტიპისაა აზროვნება, რომლის შედეგიცაა ახალი კანონზომიერების აღმოჩენა ან ახალი პრობლემის გადაჭრა. კრიტიკული აზროვნების მიზანია უკვე მიღებული გადაწყვეტილებების შემოწმება და იმის ანალიზი, პრაქტიკულად როგორ და სად შეიძლება მათი გამოყენება? შემოქმედებითი აზროვნება მიმართულია ახალი იდეების შექმნისკენ, კრიტიკული აზროვნება კი მათ ნაკლოვანებებს, ხარვეზებს წარმოაჩენს, ადამიანის წინაშე დასმულ ამოცანათა ეფექტური გადაწყვეტისთვის აუცილებელია ორივე სახის აზროვნება, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ერთი ყოველთვის ხელს უშლის მეორეს, რაიმე კონკრეტული პრობლემის შემოქმედებითად გადაჭრის მაგალითია, ამოცანათა ჯგუფური გადაწყვეტის მეთოდი „გონებრივი იერიში“,

რომელიც წარმატებით გამოიყენება მოულოდნელად წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად. იკრიბება სპეციალისტთა ჯგუფი, რომელმაც უნდა მოახდინოს „თავისუფალი ასოცირება“ განსაზღვრული პრობლემის გარშემო. ჯგუფის ყოველ წევრს ევალება, გამოთქვას ყველაფერი, რაც აზრად მოუვა, კრიტიკა აკრძალულია, ყველა იდეა იწერება და იერიშის ბოლოს ხდება მათი კრიტიკული შეფასება სხვა ჯგუფის მიერ. ფსიქოლოგიაში მიღებულია აზროვნების კიდევ ერთი დაყოფა: რეალისტურ და აუტისტურ ტიპებად. ამ დიქოტომიას საფუძვლად უდევს აზროვნების პროცესის მიმართულება - რისკენ არის მიმართული ადამიანის აზროვნება, რა წარმოადგენს მის საგანს? რეალისტური აზროვნება მიმართულია გარე სამყაროსკენ, მისი მიზანია რამის შემეცნება, ის ემყარება ლოგიკურ კანონებს, ამ ტიპის აზროვნებასთან საქმე გვაქვს ნებისმიერი ისეთი პრობლემის გადაჭრისას, რომელიც ანალიზსა და აბსტრაქციას მოითხოვს. აუტისტური ტიპის აზროვნება მიმართულია პიროვნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ, მისი სურვილების რეალიზაციისკენ, ხანდახან მის აღსანიშნავად ტერმინ „ეგოცენტრულ აზროვნებასაც“ იყენებენ. ამ ტიპის აზროვნება თავს ვერ აღწევს აფექტური სფეროს გავლენას, მისი მიმდინარეობა მთლიანად არის განპირობებული პიროვნების სურვილებით, მისი ძლიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ სწრაფვით. რეალურ ობიექტებს შორის მიმართების დამყარება, პრობლემის გადაჭრა ხდება არა რეალურად არსებული მიმართებების ან სიტუაციის ანალიზის, განყენების საფუძველზე, არამედ საკუთარი სურვილის შესაბამისად. რამდენადაც რეალურ მიმართულებათა ამსახველი ლოგიკა არ წარმოადგენს ამ აზროვნების მამოძ-

რავებელ ძალას. პიროვნების ცნობიერებაში თანაარსებობენ წინააღმდეგობრივი და ურთიერთგამომრიცხავი აზრები და სურვილები, ასევე განასხვავებენ პროდუქციულ და რეპროდუქციულ აზროვნებას. ასეთი გარჩევის საფუძველია შედეგის სიახლე: პროდუქციული აზროვნების ცნება გეშტალტფსიქოლოგებმა შემოიღეს . ამ ტერმინით ხაზს უსვამენ აზროვნების შემოქმედებით ხასიათს. იმას რომ,აზროვნების პროცესის შედეგად მიიღება სრულიად ახალი ცოდნა , გამოცდილება... აზროვნების პროდუქციულ და რეპროდუქციულ ტიპებს შორის ის განსხვავებაა, რომ ეს უკანასკნელი იყენებს უკვე მზა ჩვევას, გამოცდილ სქემას რაიმე პრობლემის გადასაჭრელად, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირია შემთხვევა, როდესაც ჩვენ წინაშე წამოჭრილ პრობლემას ჩვეული, გამოცდილებაში არსებული წესით ვწყვეტთ: ეს რეპროდუქციული აზროვნებაა, მაგრამ ასევე ხშირად ვეჯახებით ისეთ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტის გამოცდილება არ გვქონია. აქ კი საჭიროა გადაწყვეტის ახალი გზების ძიება, რასაც პროდუქციული აზროვნება ემსახურება. საღი გონება სკოლის მოსწავლისა ყველანაირად ეწინააღმდეგება განყენებულ ცოდნას, რომელიც არც დღეს, არც ხვალ, არც აქ, არც იქ, არანაირად არ გამოავლენს თავს. ეწინააღმდეგება მით უფრო დაჟინებით და მტკიცედ, რაც უფრო მეტად და ღრმად დაარწმუნა ამ ცოდნაში მასწავლებელმა. ურთიერთობები, ამ დროს წარმოქმნილი, რაღაცით მოგვაგონებს უფრო დუელს, ვიდრე თანამოაზრეთა ერთობლივ შემოქმედებას. ლექსიკონური მუშაობა კლასის დაფასთან გამოიყურება ხშირად ასე: გამოიძახა მასწავლებელმა ვინმე რთულ მოსწავლეთაგანი, კარნახობს, ის კი, არ ეჭვობს რა არაფერს, მინდობილად წერს სვეტში: უპრინციპო, ცინიკური, უნამუ-

სო... ხოლო საღამოს, ხედავ, ხან აქ, ხან იქ გატეხილია შუშა, ჩამოგლეჯილია სტენდი, გაფუჭებულია კედელი... ესეც საფასური, „ინდივიდუალური“ ყურადღებისთვის! სამწუხაროდ, პედაგოგიური რეპრესიების მომხრეები გვხვდებიან არცთუ იშვიათად, ეს კი, ცხადია, არ მუშაობს მასწავლებლური ავტორიტეტის სასარგებლოდ, რის გამყარებაზეც ჩვენ ყველანი ასე ვზრუნავთ. ერთმა ჩემმა კოლეგა ქალმა, მომხრემ „პედაგოგიური შოკის“ მეთოდისა, მახსოვს, თავისებურად მოახდინა საკუთარი პოზიციის ფორმულირება: „დასაწყისში ყველას უნდა მაგრად „მიარტყა“, შემდეგ კი ნახო: დაუმატო კიდევ თუ არა.“ სწავლება არ არის მოსწავლესთან ჭიდაობა, არამედ პირიქით, ეს არის თანამშრომლობა, ურთიერთობა, თანასწორობა, ურთიერთგაგება, კოლეგიალობა, რომელიც გამორიცხავს „დუელს.“ ეს შესაძლებელია, სწავლისეული დამოკიდებულება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის გადაიზარდოს ამხანაგურ და მეგობრულ ურთიერთობებშიც კი. ხოლო მეგობრობას თავისი კანონები აქვს. მასში ვერ ითამაშებ. იგი მოითხოვს თანასწორობას და არა მორჩილებას. „როგორ ფიქრობ?“, „მირჩიე“, „დამეხმარე“- ხშირად მიმიმართავს ასე აუდიტორიისათვის. „რამდენიმე სასარგებლო რჩევა მასწავლებელს“ - ეს არის თხზულება, რომელსაც წერდნენ ჩემი სკოლის მოსწავლეები ყოველი სასწავლო წლის ბოლოს, ეს კიდევ ერთი ხერხია საიმისოდ, რომ ავიცილოთ კონფლიქტური სიტუაციები, რომლებშიც არ ვართ დაინტერესებულნი არც მე და არც ისინი... კეთილისმსურველობა, მოთმინება, უბრალოება, ადამიანურობა, ურთიერთპატივისცემა - ურთიერთობის სტიქიაა, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მასწავლებელს არ შეუძლია გამოთქვას თავისი აღშფოთება მოსწავლის ცუდი საქციელისათვის შეუძლია და ვალდებულიცაა! მაგრამ

ჰუმანური მეთოდებით, - გაღიზიანების გარეშე. არა, კონკრეტული კონფლიქტსაც არ უნდა გავექცეთ. ზოგიერთს, მიმაჩნია, უნდა გავუფრთხილდეთ კიდეც, არა სიწყნარეში და სიმარტივეში, არამედ საკუთარ თავთან და გარემოებებთან ჭიდილში იბადება ადამიანური ადამიანში. ურთიერთობა - ეს არის ძებნა არა მარტო კონტაქტისა, არამედ კონფლიქტისაც, როგორც აღზრდის ხერხისა... ერთხელ როგორღაც მე შევთავაზე ბავშვებს გამოეშვათ ლიტერატურული ჟურნალი. მიიღეს ენთუზიზმით. აირჩიეს რედკოლეგია, კორესპონდენტები. ვადები განსაზღვრეს მკაცრი - ორი კვირა. ვიღაცამ უკვე კიდეც ინანა, რომ დათანხმდა... - და რას მივიღებთ ჩვენ სანაცვლოდ? სიცილით იკითხა ერთმა. - ხო-ხო, რა თქმა უნდა, როგორ გამომრჩა ეს... დაბნეულად მოვიქექე ჯიბეებში და საფულე ამოვიღე. - აი, მაპატიე, ის რაც მაქვს. ვფიქრობ, დასაწყისისთვის საკმარისი იქნება - და დავდე 10 ლარი იმ მერხზე, რომელთანაც იჯდა შეკითხვის ავტორი. ბავშვებს ერთმანეთისაკენ გადახედვისაც კი მოერიდათ, ასე გავამწვავე მე შეგნებულად კონფლიქტური სიტუაცია, მაგრამ, ვფიქრობ, სასიკეთოდ მოსწავლისათვისაც და კლასისთვისაც. ურთიერთობის, როგორც პედაგოგიური პრინციპის, მიზანი არის, რა თქმა უნდა, არა მხოლოდ ის, რომ შეიქმნას ადამიანური, მეგობრული, ნამდვილად სამუშაო ატმოსფერო მოსწავლესა და მასწავლებელს შორის. არის სხვა საფიქრალიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ჰუმანისტურ საფუძველზე უნდა გადაიჭრას დროის უმწვავესი პრობლემები... ჩამოვაყალიბოთ ადამიანში სული! დისციპლინა, იდეური და პოლიტიკური შეგნება, სოციალური და ზნეობრივი აქტიურობა, პასუხისმგებლობა - ეს ყველაფერი საბოლოო ჯამში სულის თვისებებია! ურთიერთობა ეს არის არა თამაში კარგი ურთიერთობებისა, არამედ

საშუალება, რომელიც ეხმარება მასწავლებელს, დღევანდელ რთულ პირობებში შეასრულოს სოციალური შეკვეთა საზოგადოებისა. ახალგაზრდათა თავისებურებაა - მოთხოვნილება თვითდამკვიდრებისა. აქედან მოდის მათი საქციელიც, მასწავლებლის აღშფოთების გამომწვევი გამოხდომებიც. მორიგი ბავშვური „ცელქობის“ შემდეგ არაერთხელ გამიგია... „ლიტერატურა ზოგიერთი მესიტყვესათვის არის რაღაც „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ მსგავსი, ყველაფერი მხოლოდ წიგნის საფუძველზე! ცხოვრება კი - ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი სულიერი სამუშაოსი - მიცემული აქვს მოსწავლეს სტიქიური გააზრებისათვის. მოდი და აღზარდე ახლა ჰარმონიული ადამიანი, თუ არ არსებობს მთავარი საყრდენი. შევთანხმდეთ: კითხვაზე რეაგირება უფრო საჭიროა, ვიდრე პასუხი! რადგან მოსწავლეებს ახსოვთ არა პასუხები, არამედ კითხვები და მასზე თავიანთ რეაქციასთან კავშირში ნაპოვნი ახალი დასკვნები. ბავშვების აქტივობა პრიმიტიულად არ უნდა განვსაჯოთ: სდუმან - მაშასადამე პასიურობენ. მიყვარს მდუმარე ბავშვები, რომელთაც თვალებში აზროვნების ნაპერწკლები უელავთ და პირდაპირ შეჰყურებენ მასწავლებელს, პასუხები კი არა, თვალები მიმანიშნებენ ჩემს მიღწევებსა თუ წარუმატებლობაზე, მაგრძნობინებენ ჩემსკენ გადმოდგმულ მათ იდუმალ, უხმო ნაბიჯებს, მაშინ, როცა მე უკვე გაჩერებული ვარ. მოდიან! თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად! აქ პასუხებიც „ათიანზეა“ დუმილიც - წარმატებული! ზოგჯერ ერთ კითხვაზე მთელი გაკვეთილი ლაპარაკობენ მოსწავლეები.

ზოგჯერ პირიქით: უამრავ კითხვაზე მხოლოდ ერთი - მასწავლებელი ლაპარაკობს... კარგად. გაკვეთილზე მოსწავლის ძებნა საჭირო არ არის, სდუმს თუ ლაპა-

რაკობს, ის მაინც არის! ამიტომ მასწავლებელს არ ეკადრება მისი გამომზეურება, როგორც ადვილად გასასაღებელი მოდისა, რომელსაც გაზაფხულზე ცოცხალი მანეკენებით აჩვენებენ ხოლმე მყიდველებს. მერე და... ბავშვებმა თვითონ უნდა გადაწყვიტონ არიან თუ არა გაკვეთილზე. მასწავლებელთან ერთად? მასწავლებლის სულში? იქნებ მასწავლებელი ჩასახლდა მათ არსებაში? ეს არის მოსწავლესთან უხილავი ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტები, რომელთაც მივყავართ სხვადასხვა წარმატებამდე, სხვადასხვა წარმატებულ შედეგამდეც და იქამდეც, სადაც შედეგია მასწავლებლის ძირითადი წარმატება. სიმართლე თუ გინდათ, მე მიყვარს რთული, მოულოდნელი შეკითხვის შემდეგ გაყუჩებული ბავშვების ყურება. ხანდახან ვერ ვითმენ და ვამბობ: „რა სიჩუმეა. გმადლობთ“. ეს ის „დანაკარგებია“, რომლებშიც შენაძენიც არის. ვცდილობ ბავშვებს კითხვებით მივანიჭო ფიქრის, გონების იდუმალი ფორიაქის უბედნიერესი შესაძლებლობა... სიტყვის შეგრძნების უნარი მხოლოდ სიტყვით არ აღიზრდება. ლიტერატურულ შემოქმედებასთან მოსწავლეთა ზიარება, სიტყვიერების ლიტერატურის მასწავლებლის რთული, მაგრამ აუცილებელი მოვალეობაა. უნარის შეძენა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე ცოდნის შეძენა. - ბავშვებო, გინდათ ცოტა რომ წავიფანტაზიოროთ? - ვიკითხე ერთხელ კლასში შესვლისთანავე. - წარმოიდგინეთ, რომ მე ვარ ერთი დიდი გაზეთის რედაქტორი. ჩემს განკარგულებაშია სპეციალური და საკუთარი კორესპონდენტების მრავალრიცხოვანი შტატი. საჭიროა კიდევ ერთი კორესპონდენტი, უნარიანი და გამოცდილი. ვაცხადებ კონკურსს. თქვენ მისი მონაწილეები ხართ. 30 წუთის შემდეგ თითოელი წარმოადგენს თავის „მასალას“ სასინჯად.

- თემა, თემა გვითხარით. დრო მიდის! მოსწავლეებს ასეთი ხალისით ჯერ არ აუღიათ ბურთულებიანი კალმები, თუ გინდა ოცდაათივე „სამუშაოზე“ აიყვანე... რაც მთავარია, მასწავლებელმა კი არ დაავალა, თვითონ ივალდებულეს დაემტკიცებინათ მთავარი, პრესტიჟული - თავიანთი უნარი. მოსწავლე თავის აზრს ზოგჯერ იმიტომ კი არ მალავს, რომ ეს აზრი ბუნდოვანი და სარისკოა, არამედ... არ ძალუძს აზრის გამოთქმა. ინტელექტი არ აძლევს ამის საშუალებას, არა ნიშნისთვის, არა შეფასებისთვის, არამედ თავისივე ამანაგებისთვისაც კი, სულის მოთხოვნილების გამომხატველი ენის უქონლობაა ლიტერატურის გაკვეთილზე ბავშვების დუმილის მიზეზი, ერთმანეთთან ურთიერთობაში ვასწავლი მოსწავლეებს აზრის გამოთქმის ძნელად მისაღწევ უნარს. ჯერ საერთოდ, ზოგადად, შემდეგ - მასწავლებელივით, ბოლოს თავისებურად, ინდივიდუალურად. პედაგოგიური ხელოვნება არ არის ის, რომ მოსწავლეს გააგებინო, თუ ვინ არის თვითონ, პედაგოგიური ურთიერთობის ხელოვნებაა ის, რომ მოსწავლეს დაანახო როგორი და რანაირი შეიძლება იყოს, თუ კი ... არ შეჩერდება, თუ შეცდომებს არ შეუშინდება. განსაკუთრებით მორიდებულსა და თავის თავში დაეჭვებულებს თამამად ვეუბნები, ვარწმუნებ:- დაუშვი შცდომა! ასეთ დროს საქმე ყოველთვის კარგად მიდის. უნარი ხშირად იბადება იმ „გმირის“ მეშვეობით, რომლითაც ბავშვებს სჯერათ და რომელიც უყვართ. დიდი ლიტერატურის წინაშე მოსწავლე და მასწავლებელი თანაბარნი არიან, ამ გაგებით გაკვეთილი ენის, სტილის, ჟანრის თავისებური პოეტური სემინარი, ლაბორატორიაა... სიტყვის გაგება და გამოყენება ერთიანი, განუყოფელი პროცესია. ბავშვების სიტყვას ისეთივე ყურადღებით ვეპყრობი, როგორც მწერლებისას, მაშინ ისინიც ერთგვარი მწერლები, კრიტიკოსები და ...

უკეთესი მოსწავლეები ხდებიან! დროდადრო მე მიყვარს საკლასო დაფიდან მათი მოუხეშავი, მოუქნელი ფრაზების გადმოწერა, მერე ბავშვებისვე დახმარებით არა მარტო ლიტერატურულ ნორმებამდე „მიყვანა“, არამედ მათთვის ხატოვანი, პოეტური ჟღერადობის მინიჭება. ხანდახან ისეც ხდება, რომ ერთ ფრაზას მთელ გაკვეთილს ვანდომებთ. იმ გაკვეთილს თუ ლექციას, რომელზედაც მოსწავლე თუ სტუდენტი ძირითადად ზის, მაშინ როცა უნდა „იაროს“... ანუ საჭიროა „მოძრაობა“ და გზა, საინტერესო - ყველასათვის და თითოეულისათვის... წინამდებარე წიგნი, სწორედ ამ გზის გზაჯვარედინია, არც დასაწყისი და არც დასასრული...

GARI CHAPIDZE

“Art of Pedagogical Relationship”

რედაქტორი: დარიკო ონიანი
მხატვრული რედაქტორი: მაკა სამხარაძე
ტექნიკური რედაქტორი: შორენა გზირიშვილი
კორექტორი: მარიამ ქებაძე

გამომცემლობა ,,აკადემიური ქალაქი”
ქ.რუსთავი
2019

მთავარია ყურადღება! - მას არასოდეს ჭირდება, დისციპლინაზე საუბარი, ასობით სტუდენტთა აუდიტორიის წინაშეც, ის მსმენელთა ყურადღების მობილიზაციაზე არასოდეს დაკარგავს დროს - რამეთუ ერთი ამოსუნთქვით ისმინება მისი ლექციები და მაინც, თუ როგორ ახერხებს იგი ათასობით აღსაზრდელის ყურადღების ეპიცენტრში ყოფნას- აკადემიკოსი გარი ჩაფიძე პასუხობს, რომ ეს ძალზე იოლია, მთავარია ლექცია ააწყო ისე, როგორც მხატვრული ნაწარმოები... სწორედ ასეთი ნაწარმოების წიგნისეული შექმნაც არ გაჭირვებია საყოველთაოდ ცნობილ პედაგოგს, მწერალსა და მეცნიერს მრავალათასიან მკითხველთა აუდიტორიის წინაშე წარსადგენად.

9 789941 809637